საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟიტრა მედია

# ლომი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

20 დეკემბერი **სამშაბათი** 2011

№299 (13596) ფასი 80 თეთრი

კრისტიანო დონი

# მუღაჭი მაჰი MONKEY ნაციონალური ფეხბურთი დაჭერობანა გრძელდება

იტალიურ ფეხბურთში მანიპულირებული მატჩების სკანდალს ბოლო არ უჩანს. შესაბამისად, გრძელდება ფეხბურთელებისა თუ ფუნქციონერების დაკავება-დასჯაც. ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ კრემონას პროკურატურამ სერია A-ს რამდენიმე ადრინდელი მატჩი გარიგებულად მიიჩნია და გამოძიება დაიწყო – ეჭვქვეშაა შემდეგი შეხვედრები: „ბრეშა“-“ბარი“, „ბრეშა“-„ლეჩე“ და „ნაპოლი“-„სამპდორია“.

ორშაბათს ხუთი ფეხბურთელი დააკავეს. ესენი არიან: ბერგამოს „ატალანტას“ ყოფილი კაპიტანი **კრისტიანო დონი**, რომელსაც იტალიის ეროვნულ ნაკრებში 7 მატჩი აქვს ჩატარებული (1 გოლი), სერია B-ს ფეხბურთელები **კარლო ჯერვასონი** და **ფილიპო კარობიო**, „ინტერის“ ყოფილი ფეხბურთელი **ლუიჯი სარტონი** და ნაკლებად ცნობილი ექსფეხბურთელი **ალესანდრო ძამპერინი**. საერთო ჯამში, დაკავებულია 17 პიროვნება. ფეხბურთელთაგან ყველაზე ცნობილი 38 წლის დონია, რომელსაც ამავე სკანდალის ფარგლებში ფეხბურთთან შეხება ივნისში სამი წლით აეკრძალა. შეგახსენებთ, რომ ზაფხულში ასეთივე, ოღონდ ხუთწლიანი სასჯელი 90-იანი წლების ერთ-ერთმა საუკეთესო იტალიელმა ფეხბურთელმა **ჯუზეპე სინიორიმაც** დაიმსახურა.

*„იტალიური ფეხბურთისთვის ეს მორიგი უმძიმესი დარტყმაა. კალჩოს პრესტიჟის სრულფასოვნად აღდგენას წლები დასჭირდება,“* - ეს **ადრიანო გალიანის** სიტყვებია.

მანიპულაციები მარტო იტალიაში არ ხდება. გუშინვე ესპანეთში მალაგის სასამართლომ „სევილიას“ პრეზიდენტ **ხოსე მარია დელ ნიდოს** თავისუფლების შვიდნახევარი წლით აღკვეთა მიუსაჯა. ეს პროცესი 2010 წელს დაიწყო და საბოლოო წერტილი ახლაღა დაესვა. დელ ნიდოს ქალაქ მარბელიას მერ **ხულიან მუნიოსთან** და კიდევ 16 პირთან ერთად ფინანსური მაქინაციები დაუმტკიცდა. აღსანიშნავია, რომ პროკურატურა „სევილიას“ პრეზიდენტისთვის თავისუფლების 30 წლით აღკვეთას ითხოვდა.

**გოტფრიდ ლენცი**

# შერმადიანი

**გიორგი საუკეთესო მომხსნელია**

12

# საქართველო დიდ სამიანშია

11

● ინტერვიუ



# იშვიათი გამონაკლისი: მხოლოდ ნიჭით დამკვიდრებული

## რა და როგორ იყო დავით რაჟამაშვილის გზაზე... ბევრ ვითომ-ვითომს გადაგყრის ბედი, მაგრამ არ უნდა დანებდე!

## გოლზე მეტად საგოლე პასი მიხარია

**დავით რაჟამაშვილი 23 წლისაა, მაგრამ უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონს ატარებს. გორის "დილას" ახალგაზრდა ნახევარმცველი, რომელიც სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენაა, ქართული ფეხბურთის გრანდების თვალთახედვის არეში უმალ მოექცა და მან არჩევანი "ზესტაფონის" სასარგებლოდ გააკეთა - რაჟამაშვილი უკვე ფეროელთა გუნდის წევრია.**

**გადავწყვიტეთ, ნიჭიერი გორელი შუახაზელი მკითხველს უფრო ახლოს გავაცნოთ და მისი წარსულისა და სამომავლო გეგმების შესახებ შევიტყოთ.**

**- ალბათ, დამეთანხმები, რომ უმაღლეს ლიგაში დებიუტი დაგიგვიანდა.**

- რაღა თქმა უნდა, დამიგვიანდა, მაგრამ კარიერაში იმდენი იმედგაცრუება გადამიტანია, არცთუ დიდი ხნის წინ უმაღლეს ლიგაზე ვერც ვიოცნებებდი.

**- იმედგაცრუება რამ მოგიტანა?**

- საქართველოში ხომ ასეა – თუ "პატრონი" არ გყავს, უმცირესი შანსი გაქვს იმისა, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშო. "უპატრონობის" სიმწარე არაერთხელ ვიწვნიე და თავის დასამკვიდრებლად დიდი ბრძოლა დამჭირდა. ბევრი ვინმე და რამ მიშლიდა ხელს – ვითომ მწვრთნელები, ვითომ აგენტები და ვითომ კეთილისმყოფელები, რომლებიც ტყუილად მაიმედებდნენ რომელიმე ნორმალურ კლუბში გადაყვანით, მაგრამ რაც იყო - იყო. დიდი მადლობა ყველას, ვინც მხარში ამომიდგა და ჩემი ირწმუნა. თამაშის გაგრძელება კი, გულისხმიერი ხალხის გარდა, შეუპოვარი ხასიათისა და შრომისმოყვარეობის წყალობით შევძელი. გორში დავიბადე და გავიზარდე, სადაც ჩემზე არანაკლებ ნიჭიერი ბიჭებიც იყვნენ, მაგრამ ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო დღეს მათ ფეხბურთთან აღარაფერი აკავშირებთ.

**- "დილას" ძირითად შემადგენლობამდე რა გზა გაიარე?**

- თამაში 10 წლისამ დავიწყე გორის "ორბში". მერე იყო ტინისხიდის "ანცი", საიდანაც 15 წლისა "ცხინვალში" მოვხვდი. ცოტა ხანი პირველი ლიგის ბინადარ ტყიბულის "მეშახტეში" გავატარე, ბოლოს კი "დილაში" თამაშიც მელირსა. მე და ჩემმა თანაგუნდელებმა ბევრი ვიბრძოლეთ და გია ცეცაძის დამსახურებით უმაღლეს ლიგაშიც გადმოვედით.

**- გადამწყვეტ მატჩში "დილამ" შენი დუბლის წყალობით იმარჯვა.**

- დიახ, "სამტრედიას" ორი გოლი გავუტანე და ჯერჯერობით ეს შეხვედრა საუკეთესოა ჩემს კარიერაში. თუმცა მჯერა, უკეთესებიც მელის.

**- "ზესტაფონს" "დილასთან" შედარებით მეტი გასაქანი აქვს, მაგრამ, ალბათ, ისიც გესმის, რომ იქ დასამკვიდრებლად დიდი ბრძოლა დაგჭირდება.**

- ამას ძალიან კარგად ვაცნობიერებ და ამ გამოცდისთვის მზად ვარ. ცხოვრებასა და კარიერაში ბევრი დაბრკოლება გადამილახავს და ვიმედოვნებ, ახალ გამოწვევასაც გავუმკლავდები. იმისთვისაც მზად ვარ, რომ შესაძლოა, "ზესტაფონის" ძირითად შემადგენლობაში თავიდან იშვიათად მათამაშონ, მაგრამ ახალ გუნდში ჩემი სიტყვის თქმას ეტაპობრივად შევეცდები.

**- ცნობილია, რომ სხვა კლუბებიც გიწვევდნენ. რატომ არჩიე "ზესტაფონი"?**

- "ზესტაფონის" გარდა, ქუთაისის "ტორპედოც" მიწვევდა, მაგრამ "ზესტაფონი" უფრო ძლიერ კლუბად მიმაჩნია და გადავწყვიტე, ძალები იქ მეცადა. თანაც, ეს გუნდი საჩემო ფეხბურთს თამაშობს – შემტევს და კომბინაციურს. გიორგი ჭიაბრიშვილი კლუბის გეგმებზე ბევრს მელაპარაკა, მითხრა, რომ ჩემი დიდი იმედი აქვს. ასე რომ, ისღა დამრჩენია, მოვინდომო და მისი და ზესტაფონელი გულშემატკივრების იმედები გავამართლო. "ზესტაფონი" ჩემპიონობის უმთავრესი ფავორიტია და ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ახალი კლუბის ჩემპიონობაში წვლილს შევიტან.

**- წინადადება რომ მიგეღო "ზესტაფონთან" შედარებით სუსტი გუნდიდან, მაგრამ უკეთესი ფინანსური პირობებით, დათანხმდებოდი?**

- მე მხოლოდ 23 წლის ვარ და ჩემთვის დამღუპველი იქნებოდა, არჩევანი ფულის სასარგებლოდ გამეკეთებინა. ფეხბურთელი, რომელიც აზერბაიჯანში ან მსგავს ქვეყნებში მიდის, გასაგებია, რომ ფეხბურთზე ნაკლებად ფიქრობს და აქცენტს შემოსავალზე აკეთებს. ამაში ვერავის გავამტყუნებ, მაგრამ უმჯობესია, ასეთი გადაწყვეტილება ფეხბურთელმა მას შემდეგ მიიღოს, 30-ს რომ გადააბიჯებს.

**- სეზონის დაწყებამდე წარმოიდგენდი, რომ ამ დროისთვის შენზე ასეთი მოთხოვნა იქნებოდა?**

- ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუმცა სეზონის დაწყებისთანავე აღმოვაჩინე, რომ უმაღლეს ლიგაში თამაში არ მიჭირდა. ალბათ, ჩემი ხასიათის გამოა, რომ მოედანზე ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე გავდიოდი და ვაკეთებდი იმას, რაც შემეძლო. თუ როგორ დონეზე ვაკეთებდი, ეს უკვე ჟურნალისტებმა და ქომაგებმა უნდა განსაჯონ.

**- შენთვის იდეალური ამპლუა რომელია?**

- გია ცეცაძემ მარჯვენა ნახევარმცველად გამამწესა, მანამდე კი თავდამსხმელების უკან ვთამაშობდი. ნახევარდაცვის ნებისმიერ პოზიციაზე შემიძლია თამაში. თანამედროვე ფეხბურთელი უნივერსალი უნდა იყოს და ეს კარგად მესმის. შეტევების წამოწყების გარდა, ნორმალურად გამომდის მოედნის ცენტრში ბრძოლა და ართმევაზე თამაშიც. უამისოდ დღეს ნახევარმცველს ფასი არ აქვს.

**- საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე რას იტყვი?**

- ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე კომპონენტში განსაკუთრებულად მოვიკოჭლე. სასურველია, პროგრესი ყველაფერში მქონდეს, უფრო მეტად – ფიზიკურ მომზადებასა და სისწრაფეში. დარწმუნებული ვარ, "ზესტაფონში" ყოველგვარ მცირე პრობლემას დავძლევ. ვისურვებდი, რომ გადამწყვეტ მომენტებში უფრო თამამად მივიღო გადაწყვეტილება და საჭირო დროს თავად ვცადო კარში დარტყმა. საერთოდ კი, კარგი საგოლე პასის გაკეთება უფრო მსიამოვნებს, ვიდრე გოლის გატანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ტრანსფერი

# გუგუჩია ზესტაფონელია

ლუკა გუგუჩია

რამდენიმე დღის წინ "ლელოსთან" ინტერვიუში "ზესტაფონის" მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი ჭიაბრიშვილმა** თქვა, რომ მის გუნდში **ლუკა გუგუჩიას** გადასვლას მხოლოდ კონტრაქტზე ხელის მოწერა აკლდა. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ ზუგდიდის "ბაიას" 20 წლის ნახევარმცველმა საქართველოს ჩემპიონებთან ხელშეკრულება უკვე გააფორმა. ახლა გასარკვევი ის დარჩა, გადავა თუ არა "ზესტაფონში" კიდევ ერთი ზუგდიდელი, 17 წლის **გურამ სამუშია**.

რაც შეეხება გუგუჩიას, მან მიმდინარე სეზონში 15 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ყველას თავისი აზრი აქვს...

# სად დაგვეკარგა მადლიერება?

## მიხეილ აშვეთია სიტყვებშიც ეძებს და ცხოვრებაშიც, მაგრამ... კალაძე გაცილებას იმსახურებს

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის "ლოკომოტივის" ყოფილი თავდამსხმელი **მიხეილ აშვეთია** თავად დაგვიკავშირდა და **კახა კალაძის** ნაკრებიდან წასვლასა და ამის თაობაზე ხალხისა და ფედერაციის რეაქციაზე კომენტარის გაკეთება ისურვა:

- მას შემდეგ, რაც პროფესიული ფეხბურთიდან წავედი, მხოლოდ მოყვარულთა ტურნირებში ვმონაწილეობ. ბუნებრივია, მედიაში ჩემი გვარი იშვიათად ჩნდება და მირჩევნია კიდეც, ჩრდილში ვიყო — საზოგადოებაში გამოჩენა და განცხადებების კეთება არ მიყვარს, ჩემი მოკრძალებული ცხოვრებით ვცხოვრობ.





მიხეილ აშვეთია

მაგრამ ჩემთვის გაუგებარი აღმოჩნდა ის რეაქცია, რაც კახა კალაძის ნაკრებიდან წასვლას მოჰყვა. არ შემიძლია, გულგრილად ვუყურო, როგორ ლანძღავს ზოგიერთი იმ ფეხბურთელს, რომელსაც საქართველოსთვის ბევრი კარგი გაუკეთებია.

მე პოლიტიკაში არ ვერევი, ამის არანაირი სურვილი არ მაქვს. გასაგებია, რომ "ქართული ოცნების" პრეზენტაციაზე მისვლით კახამ თავისი არჩევანი გააკეთა.

მაგრამ მიმაჩნია, რომ კახას წასვლასთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაციას ჯერ მისი სანაკრებო კარიერა უნდა დაეფასებინა, მისი წვლილი გაეხსენებინა და მადლობა გადაეხადა დაღვრილი ოფლისთვის.

პირველად რომ წავიკითხე ფედერაციის განცხადება, ვიფიქრე, ყურადღება დავაკელი და კახასთვის ნათქვამი მადლობა გამომრჩა-მეთქი. მაგრამ თურმე არაფერი გამომპარვია, იქ ამაზე სიტყვაც არ თქმულა.

არადა, არა მგონია, ნაკრებიდან წასვლის შემდეგ კალაძე ფედერაციისგან დაგმობასა და ჭკუის სწავლებას იმსახურებდეს, მას ეროვნულ გუნდში და საერთაშორისო სარბიელზე საქართველოსთვის ბევრად მეტი გაუკეთებია, ვიდრე ფედერაციის იმ ხელმძღვანელებს, ვინც ეს წერილი დაწერა.

მეორეც - დროა, ასეთი დონის ფეხბურთელი ფედერაციამ ნაკრებიდან გამოსამშვიდობებელი მატჩით გააცილოს და არა უაზრო ჭკუის დარიგებით.

**- შენი აზრით, კალაძე-ფედერაციის ურთიერთბრალდებების შემდეგ ეს რეალურია?**

- რეალურია თუ არა, წარმოდგენა არ მაქვს, მაგრამ ფედერაცია ვალდებულია, გააცილოს ნაკრების კაპიტანი, რომელმაც ეროვნული გუნდი მოედანზე 50-ჯერ გაიყვანა.

დროა, ცივილიზებული ევროპისგან ეს მაინც ვისწავლოთ. ერთადერთს - შოთა არველაძეს მოუწყვეს გაცილების მატჩი, რაც ყველა ფეხბურთელს გაგვიხარდა, მაგრამ, როგორც წესი, ასეთი რამ საქართველოში არ ხდება და ეს ჩვენი სირცხვილია. ჩვენს თაობას ყოველთვის უკვირდა, როგორ შეიძლებოდა წინა თაობის მიმართ ასეთი ზერელე დამოკიდებულება - ევროპამოვლილ ფეხბურთელებს უცებ, ერთ დღეში ვივიწყებდით.

საკუთარ თავზე არაფერს ვამბობ და არც ვითხოვ, მაგრამ რა დაეშავა თემურ ქეცბაიამ, რომელიც კვიპროსელებმა გააცილეს? რაც მან მოედანზე ოფლი ღვარა, ნუთუ საქართველოსგან გაცილების მატჩს არ იმსახურებდა? ან რა დააშავეს კახა ცხადაძემ, გიორგი ქინქლაძემ, გოჩა ჯამარაულმა, გიორგი ნემსაძემ, კახა გოგიჩაიშვილმა, მურთაზ შელიამ, გიორგი დემეტრაძემ, ზაზა ჯანაშიამ, არჩილ არველაძემ, კაკო დევაძემ, ირაკლი ზოიძემ, ნიკა ტოგონიძემ... თუნდაც ომარ თეთრაძემ, რომელსაც რუსეთში დღემდე საქართველოსთან აიგივებენ და ჩვენი ფეხბურთელების დასაწინაურებლად ბევრი გაუკეთებია?

მიუხედავად იმისა, რომ ამ თაობას სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღწევია, ქართული ფეხბურთი და საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, უცხოეთს სწორედ მათ გააცნეს.

შემდგომ თაობებს წინათა თუნდაც მცირედი ღვაწლის დაფასებაც უნდა ვასწავლოთ და არა მათი ლანძღვა და, მით უფრო, უმადურობა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com*

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გეზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ

# სად იმუშავებს თამაზ პერტია?

## ქართველს სკონტოს და ლატვიის ნაკრებებს სთავაზობენ

ლატვიელ გულშემატკივრებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ინტერნეტგაზეთმა Sportacentr.com-მა 2011 წლის უმაღლესი ლიგის საუკეთესო მწვრთნელად თამაზ პერტია დაასახელა.

შესაძლოა, ეს ბევრს ეუცნაუროს, რადგან ბოლოხანს პერტია რიგის „ოლიმპსს“ ავარჯიშებდა და გუნდი უმაღლესი ლიგიდან მისი ხელმძღვანელობის დროს დაქვეითდა. მაგრამ სანამ "დაუგავას" წვრთნიდა, დაუგავპილსელები ლატვიის ვირსლიგაში ლიდერობდნენ, ქართველის წასვლის შემდეგ კი მესამე ადგილზე ძლივს გავიდნენ.

შეგახსენებთ, რომ 35 წლის პერტია გასულ სეზონშიც საუკეთესო იყო, ოღონდ ახალგაზრდა მწვრთნელების კატეგორიაში.

ახლა პერტიას საინტერესო წინადადებები აქვს და მალე ახალ თანამდებობაზე ვიხილავთ. ქართველ მწვრთნელს ლატვიაში დავუკავშირდით.

**- მართალია, "დაუგავაში" კარგად იმუშავეთ, მაგრამ გავარდნილი "ოლიმპსის" თავკაცის საუკეთესო მწვრთნელად დასახელება მოულოდნელი იყო.**

- მესმის, მაგრამ გამოკითხვისას ხომ ობიექტური კრიტერიუმებით იხელმძღვანელეს. ჩემს ხელში "დაუგავა", რომელიც სულაც არ არის ლატვიაში ყველაზე მდიდარი კლუბი, პირველ ადგილზე იყო და, რაც მთავარია, კონკურენტებს თამაშის ხარისხითაც ვჯობდით.




მერე მოხდა ისე, რომ "დაუგავა" დავტოვე, "ოლიმპსში" გადავედი და გეთანხმებით, ბოლო ადგილზე გასული გუნდის მწვრთნელის საუკეთესოდ დასახელება მართლაც უცნაურია. მაგრამ მე მისვლისთანავე ვამბობდი, რომ ლიგაში დარჩენის შანსი არ გვქონდა, რადგან ბოლოსწინა ადგილზე მყოფი "იურმალა" 15 ქულით გვისწრებდა. თანაც, ფეხბურთელებს რომ შევხედე, მივხვდი, განწირულები ვიყავით, ამასთან, თამაში არ გვქონდა მოგებული. ამის მიუხედავად, გადათამაშებაში მაინც მოვხვდით, ორი მატჩი მოვიგეთ, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო, თვენახევარში ძნელი იყო გუნდის შემოტრიალება და გავარდით.

**- "დაუგავადან" რატომ წახვედით?**

- ჩვენი პრეზიდენტი იყო იგორ მალიშკოვი, ლატვიასა და პოსტსაბჭოეთში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი. მამამისი მოსკოვის გათავისუფლებული მერის, იური ლუჟკოვის მოადგილე იყო და როდესაც თანამდებობიდან მოხსნეს, შვილმა გუნდზე უარი თქვა და ჩააბარა სხვა პიროვნებას, რომელმაც შემომთავაზა, ან "ეს", ან უნდა წახვიდეო.

**- "ეს", ანუ...**

- ფეხბურთში ჩახედული ადამიანი მიხვდება, რატომ ტოვებს მწვრთნელი პირველ ადგილზე მყოფ გუნდს და რა არის "ეს". არადა, იმ დროს კონკურენტ "სკონტოს" 11 ქულით ვუსწრებდით.

მინდა, იცოდეთ, რომ "ოლიმპსი" რეალურად ეკუთვნის გუნტის ინდრიქსონს, რომელიც ლატვიის ფეხბურთის ფედერაციისა და რიგის "სკონტოს" პრეზიდენტია. მუშაობასაც იმიტომ დავთანხმდი, რომ ალეკო რეხვიაშვილმა მითხრა, შეიძლება, მერე "სკონტოში" დაგნიშნონო.

**- როგორც ვიცი, ახლა "სკონტოს" საფეხბურთო აკადემიის მთავარ მწვრთნელობას გთავაზობენ.**

- დავაზუსტებ, რომ მთავაზობენ "სკონტოს" სტრუქტურაში შემავალი ყველა გუნდის მწვრთნელის მუშაობის გაკონტროლებას. უარი არ მითქვამს, მაგრამ ვფიქრობ: როგორია, "სკონტოს" ავარჯიშებს მარიან პახარსი, რომელსაც სხვა შეხედულებები აქვს, ლატვიაში ერთ-ერთი სახელოვანი ფეხბურთელი იყო და მე როგორ უნდა გავაკონტროლო? სხვა საქმეა დუბლებისა და ასაკობრივი გუნდების გაწვრთნა. მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთანხმდები, თუ მომავალში მთავარ მწვრთნელად დავინიშნები.

სხვათა შორის, ეს პოზიცია იმიტომაც შემომთავაზეს, რომ ლატვიაში "პრო" ლიცენზია მხოლოდ მე და ალექსანდრ სტარკოვსს გვაქვს და შესაძლოა, ევროთასებზე გასულ კლუბებს ლიცენზირებული მთავარი მწვრთნელების ყოლა მოსთხოვონ.

ვირსლიგაში წლეულს გადასული იურმალას "სპარტაკისა" და ერთ-ერთი ლიტვური კლუბის გაწვრთნაც შემომთავაზეს, მაგრამ ეს კლუბები ნაკლებად მიზიდავს.

**- შესაძლოა, პერტია ერთ-ერთ ქართულ კლუბშიც დანიშნონო, კონკრეტულად "მეტალურგიც" დაგვისახელეს, თუმცა რუსთაველთა მმართველმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ გვითხრა, რომ კობა ჟორჟიკაშვილს ენდობა.**

- ჩემამდეც მოდის ხმები, რომ საქართველოში მიწვევენ, მაგრამ "მეტალურგიდან" არავინ დამკავშირებია. შარშან, საუკეთესო ახალგაზრდა მწვრთნელად რომ დამასახელეს, მართლაც შემომთავაზეს ერთ-ერთი ქართული კლუბის გაძღოლა, მაგრამ უარი ვთქვი – მთლიანად "დაუგავაზე" ვიყავი კონცენტრირებული, მიზნად ლატვიის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლა გვქონდა დასახული, მაგრამ...

**- ამბობდნენ, თითქოს ფედერაცია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად თქვენს კანდიდატურასაც განიხილავდა.**

- გაბელიას გადაგომის შემდეგ? ჩემთვის ეს უცნობია. ბოლოს ლატვიაში 17, 19-წლამდელთა და ახალგაზრდული ნაკრებების სამწვრთნელო შტაბის ხელმძღვანელობა შემომთავაზეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს საჩემო საქმე არ არის. მე ყოველდღიური საკლუბო მუშაობა უფრო მიზიდავს. ნაკრები სულ სხვა დონეა და ჯერ არც ვიცი, საამისოდ მზად ვარ თუ არა.

**- საიდან ასეთი აღიარება ლატვიაში?**

- ისეთ ხალხთან მითამაშია და მიმუშავია, რომ მათგან ბევრი რამ შევიძინე. ბავშვობაში ნოდარ ლეჟავა და ალექსანდრე ილიადი მზრდიდნენ, სკოლის შემდეგ "დინამო 2"-ში რევაზ ძოძუაშვილმა და ნოდარ აკობიამ ამიყვანეს, "მერანში" თემურ მახარაძე მავარჯიშებდა. მერე თავად მოვკიდე ხელი ამ საქმეს და კალაძემ "მილანში" მომიწყო სტაჟირება, შოთამ — "ქაისერში", შარშან ამის საშუალება ცსკა-ში სლუცკიმ მომცა, მაგრამ ყოველთვის ვამბობდი - საფეხბურთო ცოდნა "დინამოს" ბაზაზე, კვადრატში 5/2-ზე ვარჯიშის დროს შევიძინე. ეს იყო დიდი აკადემია, ისეთი ხალხის გვერდით ვვარჯიშობდი, როგორებიც იყვნენ შოთა და აჩიკო არველაძეები, ქინქლაძე, ჯამარაული, ნემსაძე, ყაველაშვილი, შელია... არზიანს, ჩიქოვანსა და კუდინოვს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში უთამაშიათ... ბაზაზე მოდიოდნენ ჩივაძე, ხურცილავა, გაბელია, სულქველიძე, შენგელია...

- ნიჭიერი ფეხბურთელები და მწვრთნელები გვყავს. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა გელა სანაიასთან და შოთა არველაძესთან ურთიერთობა, ფეხბურთი კარგად ესმით და კარგი გემოვნებაც აქვთ. შარშან კიევში ლიცენზია შოთამ და ცხადაძემ აიღეს და დღემდე აქებენ, ნიჭიერი მწვრთნელები არიანო.

**- ლატვიელ ქართველებზე ობიექტურად ვთქვათ: რეალურად რა დონის მოთამაშეები არიან?**

- ლატვიელები დისციპლინაში გვჯობნიან, მაგრამ ფეხბურთის ცოდნაში შედარება არ არის, ბევრად ნიჭიერები ვართ. არადა, ლატვიამ საქართველოს ნაკრებთან 4 ქულა მოიპოვა. ანუ რაღაცაშია საქმე და ეს არის ყველაზე საინტერესო და დასაფიქრებელი. ვინც საქართველოდან ჩამოდის, ლატვიაში ყველა თამაშობს, რეჟიმს ეჩვევა და ნიჭიც ჩანს. ალბათ, ეს არის ჩვენი ნაკლი, ფეხბურთელის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი სრულფასოვანი გარემო და დისციპლინა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინფრასტრუქტურა

# გორში ამბებია, მოდი, ნახე!

## საფარი უკვე დაიგო, რეკონსტრუქცია დაიწყო

„დილას“ ხელმძღვანელობასთან სტადიონის განახლების გეგმებზე საუბრიდან მალევე საქმეზეც მოგვიწია წერამ. ამ ორი დღის წინ გორის ცენტრალურ სტადიონზე ბალახის საფრის დაგების ამბის გასაგებად მივედით და, არათუ დასრულებულა ეს საქმე, არამედ სტადიონის ტრიბუნების რეკონსტრუქციაც დაწყებულა.

*„მინდორი ხარისხიანი გამოვა. როგორც სპეციალისტებმა გვითხრეს, საფრის დასაგებად ეს ყველაზე უკეთესი დროა — ფესვთა სისტემის მოქმედება ახლა შეჩერებულია და მისი ამოქმედება პირდაპირ ამ ნიადაგში მოხდება. მონტაჟდება თანამედროვე, კომპიუტერული სარწყავი სისტემა. გარკვეული დრო, ბუნებრივია, საფარის ნიადაგთან შეხორცებასაც დასჭირდება და ჩემპიონატის განახლებას ჩვენი ფეხბურთელები შესანიშნავი მოედანით შეხვდებიან. დაიწყო ტრიბუნების რეკონსტრუქციაც. მალე დასრულდება დასავლეთ ტრიბუნის დემონტაჟი, ეს საქმე სანახევაროდ უკვე შესრულებულია. ამ ტრიბუნასაც განვაახლებთ, აქ უფრო კომფორტული და დიდი იქნება გასახდელები, საშხაპე, მსაჯთა ოთახი, საპატიო სტუმართა ლოჟა, საპრესკონფერენციო დარბაზი და სხვა. დაგეგმილია გარკვეული სამუშაოები სტადიონის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ტრიბუნებზეც,“* — გვითხრა კლუბის პრეზიდენტმა **ზურაბ დალაქიშვილმა.**

შეგახსენებთ, გორში სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ოთხი წლის წინ, „დილას“ კერძო მფლობელის ხელში გადასვლის მერე, კლუბის პრეზიდენტ **მიხეილ ლურსმანაშვილის** დროსაც ჩატარდა. მაშინ ინდივიდუალური სკამები და ტაბლო დამონტაჟდა, შეკეთდა გასახდელები... ეს, ცხადია, სასიკეთო საქმე იყო, თუმცა, რაც ახლა ამ არენაზე ხდება, მაშინდელს მნიშვნელოვნად აღემატება. თუმცა, დაველოდოთ ჩემპიონატის განახლებას და გამოჩნდება, რა როგორ იქნება. თუ სამუშაოების ტემპს გავითვალისწინებთ, ზამთრის შესვენების შემდეგ გორის საფეხბურთო არენა გვარიანად შეცვლილი უნდა დაგვხვდეს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

**დავით ასპანიძის** ფოტო

კოლხეთი

# ნახევარი მილიონის მოლოდინში

## კოლხეთი ფაზისს ზამთარშივე დაუბრუნდება

რამდენიმე დღის წინ ფოთის "კოლხეთის" ბიუჯეტი შეივსო. როგორც კლუბის დირექტორმა **ზაალ კუჭუხიძემ** გვითხრა, ქალაქის ბიუჯეტიდან "კოლხეთმა" დამატებით 300 ათასი ლარი მიიღო, უახლოეს მომავალში კი იმედოვნებენ, რომ ქალაქისა და ფოთის პორტის შემწეობით კლუბს კიდევ 200 ათასი შეემატება.

*"მოლაპარაკებებს კერძო ინვესტორებთანაც ვაწარმოებთ და არ გამოვრიცხავთ, რომ ჩვენი ბიუჯეტი 800 ათას ლარამდეც გაიზარდოს. დღესვე გვაქვს ყველა პირობა იმისთვის, რომ ამ სეზონში ღირსეულად ვიასპარეზოთ, სამომავლოდ კი უფრო სერიოზულ მიზნებსაც დავისახავთ",* - აცხადებს კუჭუხიძე.

ბუნებრივია, შემოსული თანხები შემადგენლობის გაძლიერების საშუალებას უნდა იძლეოდეს. "კოლხეთის" დირექტორის თქმით, ეს საკითხი აქტიურად დგას დღის წესრიგში, თუმცა ჯერ ნაადრევად მიაჩნია იმ ფეხბურთელების დასახელება, რომლებთანაც კლუბი მოლაპარაკებას აწარმოებს ან ახლო მომავალში აპირებს მისთვის კონტრაქტის შეთავაზებას. ცხადია, ახალწვეულების გამოჩენის პარალელურად, "კოლხეთს" რამდენიმე მოთამაშე დატოვებს.

რაც შეეხება სეზონის მეორე ნახევრისთვის სამზადისს, ფოთელები 10 იანვრის შემდეგ შეიკრიბებიან და ჯერ ადგილზე მოემზადებიან, რის შემდეგაც კლუბის ხელმძღვანელობა უცხოური შეკრების მოწყობასაც გეგმავს. თუკი საკმარისი სახსრები გამოჩნდა, "კოლხეთი" ანტალიაში გაემგზავრება.

გრძელდება სტადიონ "ფაზისის" რეკონსტრუქცია. ბერძნულმა კომპანიამ, რომელმაც სამუშაოების წარმოების უფლება ტენდერით მოიპოვა, მაღალი ხარისხის ბუნებრივსაფრიანი მოედნის დაგება უკვე დაასრულა და მალე ტრიბუნებზე ინდივიდუალური სკამების მონტაჟსაც დაიწყებს.

"ფაზისზე" 3 700 სკამი დამონტაჟდება, საიდანაც დაახლოებით 2 000-ს ზემოთ ნახსენები ბერძნული კომპანია შემოიტანს, დანარჩენ სკამებს კი, რომლებიც ადრე "მიხეილ მესხზე" იყო დამონტაჟებული, "კოლხეთს" საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გადასცემს. მოწესრიგდა სადრენაჟო და სარწყავი სისტემა, მალე მზად იქნება ახალი გასახდელებიც.

*"მიმდინარე სეზონში ფოთში ერთი მატჩიც კი არ ჩაგვიტარებია, რაც იმას ნიშნავს, რომ სულ სტუმრად ვთამაშობთ. დარწმუნებული ვარ, რომ არა ეს უსიამოვნო ფაქტი, დღეს სატურნირო ცხრილში გაცილებით უკეთეს პოზიციაზე ვიქნებოდით. შევეცდებით, რაც შეიძლება მალე დავუბრუნდეთ "ფაზისს"",* - ესეც ზაალ კუჭუხიძის სიტყვებია.

თუ სარეკონსტრუქციო სამუშაოები ამინდმა არ შეაფერხა, "კოლხეთი" საშინაო მატჩებს ფოთში თებერვლიდანვე ჩაატარებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სანქცია

# ცხადაძეს ერთი მიუსაჯეს

აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა **კახა ცხადაძეს** ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. შეგახსენებთ, ბაქოს "ინტერის" ქართველი მთავარი მწვრთნელი აზერბაიჯანული პრემიერლიგის გასულ ტურში "ნეფთჩისთან" შეხვედრისას მოედანზე რამდენჯერმე შევიდა. ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გარდა, ცხადაძე 1 000 მანათითაც დააჯარიმეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი

# უცნაური რებუსები და ღირსეული ჩემპიონი

საქართველოს ჩემპიონატში საფეხბურთო, 2011 წელი „ოფიციალურად“ დასრულდა, მაგრამ ორი გუნდისათვის გათამაშება კვლავაც გრძელდება: 22 დეკემბერს, XVI ტურის გამოტოვებული შეხვედრაა („მერანი“ — „ზესტაფონი“) დანიშნული. აი, ამის მერე კი ეს მართლაც უცნაურფორმატიანი ჩემპიონატი 14 თებერვლამდე „დაგვემშვიდობება“; ჰო, უცნაური-თქო, ვთქვით და, აღბათ, სხვა ეპითეტი უფრო შეეფერება ჩემპიონატის ჩატარების ახლებურ რეგლამენტს! აბა, სად გაგონილა, ყოველი ტურის წინ თუ შემდეგ ერთდროულად ორ-ორი ცხრილის გამოქვეყნება? აღარაფერს ვამბობთ ამ ცხრილებში (განსაკუთრებით - ვირტუალურში) გუნდების ხშირ ადგილმონაცვლეობაზეც და ამიტომაც არის, ფეხბურთის გულშემატკივართა უმრავლესობას კი არა, ამა თუ იმ კლუბის წარმომადგენლებსაც რომ უჭირთ ამ რებუსებს დამსგავსებულ ცხრილ(ებ)ში გარკვევა. აბა, უცნაური (გნებავთ - კურიოზული) არ არის ის ფაქტი, როცა ესა თუ ის გუნდი ერთ ცხრილში მეოთხე ადგილზეა, მეორეგან კი - პირველზე? თუმცა, ადგილებს რა უშავს - არანაკლები „უცნაურობებია“ ქულებთან დაკავშირებითაც: ერთ ცხრილში კონკრეტული გუნდი თავის ერთ-ერთ კონკურენტს შესაძლოა 9 ქულით უსწრებდეს, მეორეში კი ეს სხვაობა სამ ქულას წარმოადგენდეს და ასე შემდეგ. მაგრამ, ჯერ სადა ვართ: 2011 წლის ბოლო ტურმა (როგორც ვივარაუდეთ) ხომ შეიტანა მნიშვნელოვანი კორექტივები „ვირტუალურ ცხრილში,“ არანაკლები ცვლილებები პირველი ეტაპის იმ დარჩენილ ოთხ ტურში გველოდება, მომავალი წლის თებერვალსა და მარტის დასაწყისში რომ უნდა ჩატარდეს. მოკლედ, ჩვენს ჩემპიონატს რასაც ვერ დავუკარგავთ, ეს ინტრიგაა. მით უფრო, რომ საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრის შანსები (თანაც, სავსებით რეალური) კიდევ ორ გუნდს („დილას“ და „კოლხეთს“) გაუჩნდა; ეს ყველაფერი კი ბოლო ტურის დაფიქსირებულმა შედეგებმა განაპირობა და ყოველივე ამან კი ვირტუალურ ცხრილში არაერთი „საინტერესო“ გადაადგილება გამოიწვია. უპირველესად, რაღა თქმა უნდა, ლიდერის შეცვლაზე უნდა ვთქვათ: საბედნიეროდ, მთლად კურიოზული სიტუაცია აღარ შეიქმნა და „ზესტაფონი“ ორივე ცხრილში პირველ ადგილზეა! არადა, შესაძლოა, ვინმეს გაუკვირდეს კიდეც: ქვეყნის ჩემპიონმა ბოლო ტურში ფრედ ითამაშა „მეტალურგთან“ და აქამდე კი სწორედ რუსთაველები ლიდერობდნენ ვირტუალურ ცხრილს; ანუ, წესითა და რიგით, ორივე გუნდს თითო-თითო ქულა უნდა დამატებოდა, მაგრამ „სპარტაკის“ წაგებამ და „გაგრას“ გამარჯვებამ, როგორც ტურის წინათქმაში ვივარაუდეთ, ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამ შეცვალა - ანუ, „გაგრას“ საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრით, უპირველეს ყოვლისა, „მეტალურგმა“... იზარალა: რუსთაველებს „გაგრასთან“ ურთიერთდაპირისპირებაში 1 ქულა აქვთ, მაშინ როცა „სპარტაკთან“ მოპოვებული ოთხი ჰქონდათ. უფრო „ცუდ“ (თუმცა, უარესი რაღა უნდა იყოს - ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდი თამაშს თამაშზე აგებს) დღეში ჩავარდა „დინამო“: ჯერ ერთი, იმ გუნდთან წააგო მატჩი, თითქმის 99 პროცენტით რომ აქვს გარანტირებული საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა („მერანს“ ვგულისხმობთ), ამას გარდა, სამი ქულაც ჩამოაკლდა! უფრო ზუსტად, „გაგრას“ აღზევება „დინამოსთვისაც“ არ იყო „სასურველი“ - ამ გუნდთან ერთი თამაში ჩასატარებელი აქვს, მაშინ, როცა „სპარტაკთან“ ექვსი ქულა ჰქონდა მოპოვებული.

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | გატ | გაშ | |
| 1 | ზესტაფონი | 17 | 12 | 3 | 2 | 35 | 15 | 39 |
| 2 | ტორპედო | 18 | 12 | 2 | 4 | 26 | 13 | 38 |
| 3 | დინამო | 18 | 10 | 3 | 5 | 34 | 22 | 33 |
| 4 | მეტალურგი | 18 | 8 | 6 | 4 | 21 | 18 | 30 |
| 5 | მერანი | 17 | 9 | 2 | 6 | 22 | 19 | 29 |
| 6 | გაია | 18 | 7 | 3 | 8 | 19 | 20 | 24 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 18 | 6 | 5 | 7 | 21 | 22 | 23 |
| 8 | გაგრა | 18 | 6 | 3 | 9 | 18 | 23 | 21 |
| 9 | სპარტაკი | 18 | 5 | 4 | 9 | 16 | 25 | 19 |
| 10 | დილა | 18 | 5 | 3 | 10 | 23 | 25 | 18 |
| 11 | კოლხეთი | 18 | 4 | 6 | 8 | 15 | 24 | 18 |
| 12 | სიონი | 18 | 1 | 4 | 13 | 11 | 35 | 7 |

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | გატ | გაშ | |
| 1 | ზესტაფონი | 10 | 7 | 2 | 1 | 22 | 8 | 23 |
| 2 | მეტალურგი | 12 | 6 | 3 | 3 | 14 | 12 | 21 |
| 3 | ტორპედო | 12 | 6 | 2 | 4 | 12 | 10 | 20 |
| 4 | მერანი | 11 | 5 | 1 | 5 | 12 | 13 | 19 |
| 5 | დინამო | 11 | 4 | 2 | 5 | 19 | 19 | 14 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 12 | 3 | 3 | 6 | 8 | 13 | 12 |
| 7 | გაია | 11 | 3 | 2 | 6 | 9 | 14 | 11 |
| 8 | გაგრა | 11 | 3 | 1 | 7 | 8 | 15 | 10 |

აი, ასეთი მდგომარეობაა დღესდღეობით და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მომავალი წლის დასაწყისში არანაკლებ „სახალისო ისტორიები“ გველოდება. ხოლო რაც შეეხება წლეულს ჩასატარებელ იმ ერთადერთ შეხვედრას, „ზესტაფონის“ ლიდერობას არც ერთ ცხრილში საფრთხე არ ემუქრება. ისე, მასეც უნდა ყოფილიყო: „ზამთრის ჩემპიონის“ არაოფიციალურ ტიტულს თუ რომელიმე გუნდი იმსახურებდა, ეს „ზესტაფონია“!

მეტალურგი-ზესტაფონი 0:0

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## XVIII ტურის სიმბოლური რაზმი

## ბიბლიოთეკა

## წინასაახალწლო განწყობილება

18 დეკემბერს ოფიციალურ მატჩებს რომ ჩაატარებ, მაშინ განსაკუთრებული შედეგიანობაც არავის უნდა მოთხოვო, - წლის ბოლოა, ყველა გადაღლილიცაა და დამსახურებულ (ოღონდ, მოკლევადიან) შვებულებაზეც ფიქრობს; ჰოდა, აღბათ, წინასაახალწლო განწყობილებას უნდა „დავაბრალოთ“ ის ფაქტიც, რომ 2011 წლის ბოლო ტური ასეთი ნაკლებადშედეგიანი გამოდგა: ექვს მატჩში ათი გოლი გავიდა! სხვათა შორის, მიმდინარე სეზონში ამაზე დაბალი მაჩვენებელი მხოლოდ ერთადერთხელ დაფიქსირდა, როცა VII ტურში 9 გოლი გავიდა. საინტერესო დამთხვევაა, მაგრამ ფაქტია, რომ იმ ტურშიც სწორედ ახლანდელი მეტოქეები ხვდებოდნენ ერთმანეთს - ანუ პირველი წრის შეხვედრები იყო. ისე, „წინასადღესასწაულო განწყობილებას“ ვაბრალებთ ჩვენი ფეხბურთელების მწირ შედეგიანობას და კინაღამ დაგვავიწყდა, რომ შარშან ამ დროს, 2010 წლის ბოლო ტური რომ ტარდებოდა, 16 გოლით პირველი ეტაპის საუკეთესო მაჩვენებელი დაფიქსირდა; თანაც, 16 გოლი ხუთ მატჩში გავიდა...

## მეგოლეები: ახლები და ძველები

ზედიზედ ორი ტურის განმავლობაში „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელები „ჰეთ-თრიქით“ იწონებდნენ თავს: „ბაიას“ კარში სამი გოლი 22 წლის **გიორგი კორიფაძემ** გაიტანა, სამი დღის მერე იგივე მიღწევა 23 წლის **ბესიკ ჩიმაკაძემ** გაიმეორა („სიონთან“ შეხვედრაში). მანამდე კი მიმდინარე სეზონში მხოლოდ ერთ ფეხბურთელს ჰქონდა 3 გოლი გატანილი: X ტურში, „სპარტაკთან“ შეხვედრაში „ჰეთ-თრიქი“ შეასრულა „ზესტაფონის“ 26 წლის თავდამსხმელმა **ჯაბა დვალმა**. 22 დეკემბრამდე (ანუ ამ წლის ბოლო მატჩამდე) მეტი ჰეთ-თრიქი აღარ იქნება, სამაგიეროდ, პირველი ეტაპის ბოლო ტურში სეზონის დაწყებიდან „საიუბილეო“, მეოცე „დუბლი“ დაფიქსირდა. „სიონის“ კარში ორი გოლი გაიტანა გორის დილას“ 24 წლის შემტევმა **დავით ჩაგელიშვილმა,** რომელიც 5 ბურთით პირველი ეტაპის მიხედვით თავის გუნდის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. აქვე, ბარემ ის ფეხბურთელებიც ვახსენოთ, ყველაზე მეტჯერ რომ შეძლეს კონკრეტულ მატჩში ორი-ორი გოლის გატანა: სამ-სამჯერ შეასრულეს „დუბლი“ 31 წლის **ჩისკომ** („დინამო“) და 28 წლის **დიმიტრი ტატანაშვილმა** („მეტალურგი“), ორჯერ — 30 წლის **გიორგი მანწკავამ** („მერანი“). კვლავაც გოლების თემას განვაგრძობთ და ის ფეხბურთელებიც ვახსენოთ, სეზონში პირველად რომ შეძლეს ბურთის გატანა; თანაც, ორივე ფეხბურთელის ამ ზუსტმა დარტყმებმა, ფაქტობრივად, იმ შეხვედრების ბედი გადაწყვიტა: 22 წლის **დავით მეგრელიშვილის** გოლით „კოლხეთმა“ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა, ხოლო 23 წლის **ვალერი იობაშვილის** გოლით „მერანმა“ ანგარიში გაათანაბრა და მერე კი სულაც ისტორიული გამარჯვება მოიპოვა თბილისის „დინამოსთან“. დაბოლოს, კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს გოლსა და მის ავტორზეც: დღევანდელ მიმოხილვაში უკვე არაერთხელ ვახსენეთ „გაგრას“ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება. შეხვედრის ბედი კი 20 წლის **შალვა კვანტალიანის** ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა, — თანაც, ამ თავდამსხმელმა ოთხთვიანი „მშრალი სერია“ შეწყვიტა. შეგახსენებთ, რომ საწყისი ორი ტურის შემდეგ საუკეთესო ბომბარდირთა დავაში 3 გოლით სწორედ კვანტალიანი ლიდერობდა...

## გამორჩეული ფაქტები

XVIII ტურის მთავარ მოვლენად, წესითა და რიგით, „ზამთრის ჩემპიონის“ გამოვლენა უნდა მიგვეჩნია; მით უფრო, რომ **გიორგი ჭიაბრიშვილის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ზესტაფონმა“ მართლაც არანორმალურად გადატვირთული კალენდრის მიუხედავად, მაინც, შეძლო წაუგებელი სერიის გაგრძელება და 2011 წელი ყველა „არსებულ თუ არარსებულ“ ცხრილში პირველ ადგილზე დაამთავრა!

არანაკლებ გამორჩეულ მოვლენად უნდა შეფასდეს „მერანის“ მორიგი წარმატება: უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა კვლავაც გააგრძელა ნაუგებელი საშინაო სერია; თანაც, ახალგაზრდა მწვრთნელის, **მალხაზ ჟვანიას** გუნდმა ამჯერად თბილისის „დინამო“ დაამარცხა და ვირტუალურ ცხრილში მარტვილელები ახლა უკვე 5 ქულით უსწრებენ ჩვენს ყველაზე ტიტულოვან კლუბს.

დაბოლოს, კიდევ ერთ ფაქტზეც: 2011 წლის ბოლო ტურში აქტიური სამსაჯო კარიერა დაასრულა ფიფას ასისტენტმა **ზურაბ ჯვარიძემ**, რომელმაც „მეტალურგი“-„ზესტაფონის“ მატჩის დაწყებამდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და სამსაჯო კომიტეტისგან სამახსოვროდ საჩუქრები მიიღო.

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XVI ტურის შეჯამება.

# ჰეთ თრიკი, რომ მოკეტონ!

## ვინ ჩაიბარებს ატლეტიკოს, რა ბედი ეწია სევილიას პრეზიდენტს და ვინ შეიმატა ლა ლიგამ

**ლა ლიგა 2012 წლის 8 იანვარს ბარსელონური და ვალენსიური დერბებით განახლდება, მანამდე კი შობა-ახალ წელს ლიდერის რანგში ჟოზე მოურინიოს „რეალი" ეგებება - 40-ქულიანი „სამეფო კლუბი" 3-ით უსწრებს ჩემპიონ „ბარსელონას". ჩემპიონის ვინაობა, ბუნებრივია, ამ ორი გრანდის დავაში გადაწყდება (შეიძლება ლაპარაკი „ვალენსიას" თეორიულ შანსებზე), „ელ კლასიკო" კი კატალონიაში დარჩა გასამართავი...**

შეტევაზეა ტურის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ოსკარ დე მარკოსი (ბილბაო)

### ბოლო მატჩი

ოთხშაბათს მადრიდის „ატლეტიკო" ესპანეთის თასის საპასუხო 1/16 ფინალში „ალბასეტეს" მიიღებს. არა აქვს მნიშვნელობა, შეძლებს თუ არა „ლოს როხიბლანკოსი" 1:2-ის ამოქაჩვას და შემდეგ ეტაპზე გასვლას, ეს თამაში **გრეგორიო მანსანოსთვის** უკანასკნელი იქნება გუნდის მწვრთნელის პოსტზე. ვის განიხილავენ მანსანოს შემცვლელად? და ვის აღარ! - **ლუის არაგონესს, რაფა ბენიტესს, დიეგო სიმეონეს, ხუანდე რამოსს, მილინკო პანტიჩს** და **ლუიშ ფელიპე სკოლარის**. ეს, რაც შევიტყეთ.

### ტურის მონაგარი: მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ღამურა გახდა

სწორედ „ვალენსიაზე" უნდა ვთქვათ - „ღამურებს", გარდა იმისა, რომ უშუალო კონკურენტ „მალაგას" 2:0 მოუგეს და მესამე ადგილი მყარად მიითვისეს, გუნდში მატება აქვთ, თანაც როგორი! მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა **გრეგორი ვან დერ ვილმა** განაცხადა, რომ „ვალენსიასთან" პირად კონტრაქტზე მიაღწია შეთანხმებას, ახლა ჯერი კლუბებზეა („ვალენსია" და „აიაქსი") და თუ ყველაფერი კარგად დასრულდა, 23 წლის მარჯვენა მცველი 5 წლით „მესტალიაზე" „დასახლდება". ვან დერ ვილი, „აიაქსისა" და ჰოლანდიის ნაკრების შეუცვლელი მარჯვენა მცველია, **მიხაელ რაიციგერის** ღირსეული მემკვიდრე, როგორც მას **ჯონი ჰეიტინგამ** უნოდა.

### 6 გოლი რეალისგან, 7 წელი სასამართლოსგან

„სევილიას" ცუდი დროება დაუდგა - ტურის ცენტრალურ მატჩში ანდალუსიურმა კლუბმა „რეალისგან" თითქმის იმდენი გაუშვა, რაც მანამდე მთელ სეზონში. ამას დაერთო პრეზიდენტ **ხოსე მარია დელ ნიდოს** სასამართლო, რომელიც გუშინ დასრულდა და მაქინაციებში მხილებული ფუნქციონერი ციხეში 7,5 წლით ჩააყუდეს. პროცესი 2010 წლის აპრილში დაიწყო და საბოლოო ნერტილი ახლა დაესვა. სკანდალი ძირითადად ქალაქ მარბელიაში მიმდინარე მაქინაციებს შეეხება და არა საფეხბურთო ამბებს, დელ ნიდოსთან ერთად ციხეში გაატარებს სიცოცხლის უახლოეს წლებს ქალაქის ყოფილი მერი **ხულიან მუნიოსი** და კიდევ 16 პირი.

### რონი vs ლეო

ამ უქმეებზე **ლეო მესისა** და **კრიშტიანო რონალდოს** ყველაზე უცნაური დაპირისპირება ჰქონდათ - მას შემდეგ, რაც რონალდომ „სევილიას" კარში ჰეთ თრიკი შეასრულა, მესიმ შორეულ იაპონიაში დუბლი მიითვალა და „ბარსელონა" საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონი გახადა. ბუნებრივია, ეს „დუელი" ვერ იმოქმედებდა ამ ორი სუპერვარსკვლავის ჩვენებურ „ტურნირში", სადაც მესი რონალდოს 10:8-ს უგებდა, მაგრამ ამ ტურის მატჩი „ბარსამ" იაპონიაში გამგზავრებამდე, ნოემბრის ბოლოს გამართა და „რაიო ვალეკანოს" 4:0 მოუგო. ასე რომ, რონალდოს ანდალუსიური მონაგარი ამ შეხვედრას უნდა შევადაროთ.

მესიმ „რაიო ვალეკანოსთან" 90 წუთი ითამაშა, კარისკენ 3-ჯერ დაარტყა, აქედან 1 ზუსტად და გაიტანა კიდევაც. მის წინააღმდეგ ორჯერ დაჯარიმდნენ, თავად კი ერთხელ დაარღვია წესი.

რონალდომ 8-ჯერ დაარტყა კარისკენ, 4-ჯერ ზუსტად, აქედან 3 გაიტანა, მას ერთხელ ეუხეშნენ და ერთხელ თამაშგარე მდგომარეობაში მოხვდა.

კრიშტიანომ ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა - 9:10.

### ტურის სიმბოლური ნაკრები

GOALCOM. 4-4-2

კრიშტიანო რონალდო მერვედ მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში, **ანხელ დი მარია** და **რობერტო სოლდადო** - მეხუთედ, ტრავმამოშუშებული **ევერ ბანეგა** - მეოთხედ. მათ გარდა რჩეულთა გუნდში 4 „დებიუტანტიცაა".

**კასტო** ესპინოსა (ბეტისი, 1) - ოსკარ **დე მარკოსი** (ბილბაო, 2), **სერხიო** გონსალესი (ოსასუნა, 1), ვადიმ **დემიდოვი** (რეალ სოსიედადი, 1), ხორდი **ალბა** (ვალენსია, 2) - ანხელ **დი მარია** (რეალი, 5), აბდელ **ბარადა** (ხეტაფე, 2), ევერ **ბანეგა** (ვალენსია, 4), კრიშტიანო **რონალდო** (რეალი, 8) - რობერტო **სოლდადო** (ვალენსია, 5), გაისკა **ტოკერო** (ბილბაო, 1).

### ტურის გმირი

**გაისკა ტოკერო** (ბილბაო)

ბასკურ თქვეშში „ბილბაოს" ფორვარდმა გაისკა ტოკერომ 86-ე წუთზე გაიტანა გამარჯვების გოლი „სარაგოსას" კარში - 2:1. აუტსაიდერთან ქულების დაკარგვა ნამდვილად არ შეიძლებოდა.

### ტურის ფრაზები

**მანუელ პრესიადო**: *„ფეხბურთში იღბალს დიდი მნიშვნელობა აქვს და მან ამ თამაშში ორჯერ გაუღიმა „ესპანიოლს"*, - „სპორტინგის" თავკაცი „ესპანიოლთან" 1:2 მარცხის შემდეგ.

**ხოაკინ კაპაროსი**: *„ხეტაფესთან" მარცხი ჩვენთვის დიდი დარტყმა იყო*", - „მალიორკას" თავკაცი შინ 1:2 წაგების შემდეგ.

**კრიშტიანო რონალდო**: *„ეს ჰეთ თრიკი მესიჯია ზოგ-ზოგიერთებისთვის, მოკეტონ"*, - პორტუგალიელი მისი თამაშის კრიტიკოსებზე.

**მარსელინო**: *„რაშია მადრიდელთა წარმატება? სულ 7-ჯერ დაგვირტყეს კარში და 6-ჯერ გაგვიტანეს, ვფიქრობ, დასკვნებს თავადაც იოლად გააკეთებთ"*, - „სევილიას" თავკაცი „რეალთან" გამანადგურებელი მარცხის შემდეგ.

**გრეგორიო მანსანო**: *„ფეხბურთელებმა წაგება ძალიან განიცადეს"*, - ჯერ კიდევ „ატლეტიკოს" მწვრთნელი „ბეტისთან" 0:2 მარცხის მერე.

**ფაბრი გონსალესი**: *„ეს სამი ქულაა და ჩვენ უკვე ვოცნებობთ"*, - „გრანადას" თავკაცი „ლევანტეს" 2:1 დამარცხების შემდეგ.

**ხოსე ლუის მენდილიბარი**: *„ჩვენ მხოლოდ გულით არ ვთამაშობთ, თავსაც ვაყოლებთ"*, - „ოსასუნას" დამრიგებელი „ვილიარეალის" 2:1 დამარცხების შემდეგ.

**ფერნანდო იერო**: *„მალაგა" ზუსტად იქაა, სადაც უნდა იყოს, მისი შედეგები არც ცუდია და არც კარგი"*, - კლუბის გენერალური მენეჯერი სეზონს აფასებს.

### ტურის მსხვერპლნი

„რეალისთვის" ერთობ წარმატებული გამოდგა „სანჩეს პისხუანზე" სტუმრობა, მაგრამ არა 25 წლის **სერხიო რამოსისთვის**, რომელიც ადრე „სევილიას" ფეხბურთელი იყო. 6:2 მოგებულ მატჩში მსოფლიოს ჩემპიონმა ბარძაყი იტკინა. რამოსს კუნთის მცირე დაზიანება (I ხარისხის) დაუდგინეს და ახალ წლამდე ვარჯიში აუკრძალეს. მის ბედად, თუ არ ჩავთვლით „პონფერადინასთან" სათასო თამაშს, რომელიც ამაღამ გაიმართება, „რეალს" წლეულს სათამაშო არც დარჩა. იმავე მატჩში დაიმტვრა **ქარიმ ბენზემაც**, თუმცა მისი ტრავმა არასერიოზული აღმოჩნდა.

„ლევანტეს" დაახლოებით იმავე პრობლემის გამო დაკარგა **კარლოს არანდა**. თუმცა ეს ტურის მატჩამდე, ვარჯიშზე მოხდა.

### პირველი...

გუშინ „ბილბაოს" გარემარბი **იკერ მუნიაინი** 19 წლის გახდა. მიუხედავად ასეთი ასაკისა, ის უკვე ჩამოყალიბდა ბასკური კლუბის ერთ-ერთ ლიდერად და მის ანგარიშზე უკვე თითქმის 100 მატჩია „ატლეტიკის" მაისურით. კარიერის დასაწყისიც ასეთი უნდა!

### ტურის სტატისტიკა

29 გოლი ტურში (2,9 მატჩში). 4 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 1 ფრედ დასრულდა, სტუმრებმა 4 მოიგეს. ტურში მსაჯებმა 59 ყვითელი და 6 წითელი ბარათი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი - **კრიშტიანო რონალდო** (რეალი)

დუბლი - **რობერტო სოლდადო** (ვალენსია), **ალექსის სანჩესი** (ბარსელონა), **აბდელაზიზ ბარადა** (ხეტაფე)

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ხოსე კამპანია** (სევილია, 18 წლის)

ყველაზე მეტი მაყურებელი: 85 000 - **„კამპ ნოუ"**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: 14 000 - **„ონო ესტადი"**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: 31 - **ატლეტიკო**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: 10 - **რეალი**

ყველაზე მეტი ჯარიმა: 23 - **სარაგოსა**

ყველაზე მეტი კუთხური: 13 - **ატლეტიკო**

ყველაზე მეტი თამაშგარე: 7 - **ბილბაო**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: 67% - **ატლეტიკო**

**ბარსელონა-რაიო ვალეკანო 4:0**

**საუკეთესო:** ალექსის სანჩესი (ბარსელონა)

**სპორტინგი-ესპანიოლი 1:2**

**საუკეთესო:** სერხიო გარსია (ესპანიოლი)

**მალიორკა-ხეტაფე 1:2**

**საუკეთესო:** აბდელაზიზ ბარადა (ხეტაფე)

**ბილბაო-სარაგოსა 2:1**

**საუკეთესო:** ოსკარ დე მარკოსი (ბილბაო)

**სევილია-რეალი 2:6**

**საუკეთესო:** ანხელ დი მარია (რეალი)

**ატლეტიკო-ბეტისი 0:2**

**საუკეთესო:** ალეხანდრო პოსუელო (ბეტისი)

**გრანადა-ლევანტე 2:1**

**საუკეთესო:** გილერმე სიკეირა (გრანადა)

**ოსასუნა-ვილიარეალი 2:1**

**საუკეთესო:** სერხიო გონსალესი (ოსასუნა)

**რასინგი-სოსიედადი 0:0**

**საუკეთესო:** ვადიმ დემიდოვი (რეალ სოსიედადი)

**ვალენსია-მალაგა 2:0**

**საუკეთესო:** რობერტო სოლდადო (ვალენსია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 16 | 13 | 1 | 2 | 56-15 | 40 |
| 2. ბარსელონა | 16 | 11 | 4 | 1 | 50-8 | 37 |
| 3. ვალენსია | 16 | 10 | 3 | 3 | 26-16 | 33 |
| 4. ლევანტე | 16 | 9 | 2 | 5 | 25-19 | 29 |
| 5. ოსასუნა | 16 | 6 | 7 | 3 | 21-28 | 25 |
| 6. სევილია | 16 | 6 | 6 | 4 | 18-17 | 24 |
| 7. მალაგა | 16 | 7 | 3 | 6 | 20-22 | 24 |
| 8. ესპანიოლი | 16 | 7 | 2 | 7 | 17-20 | 23 |
| 9. ბილბაო | 16 | 5 | 7 | 4 | 23-19 | 22 |
| 10. ატლეტიკო | 16 | 5 | 4 | 7 | 23-27 | 19 |
| 11. ბეტისი | 16 | 6 | 1 | 9 | 17-22 | 19 |
| 12. ხეტაფე | 16 | 5 | 4 | 7 | 17-23 | 19 |
| 13. გრანადა | 16 | 5 | 4 | 7 | 10-16 | 19 |
| 14. მალიორკა | 16 | 4 | 6 | 6 | 15-22 | 18 |
| 15. სოსიედადი | 16 | 4 | 5 | 7 | 16-23 | 17 |
| 16. ვალეკანო | 16 | 4 | 4 | 8 | 17-25 | 16 |
| 17. ვილიარეალი | 16 | 3 | 6 | 7 | 13-23 | 15 |
| 18. სპორტინგი | 16 | 4 | 3 | 9 | 16-27 | 15 |
| 19. რასინგი | 16 | 2 | 8 | 6 | 11-21 | 14 |
| 20. სარაგოსა | 16 | 2 | 4 | 10 | 13-31 | 10 |

**ბომბარდირები:** 20 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 17 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 12 - გონსალო იგუაინი (რეალი); 11 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 9 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო).

**ასისტენტები:** 13 - ანხელ დი მარია (რეალი); 8 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 6 - კრიშტიანო რონალდო (რეალი), დანი ალვეში (ბარსელონა).

### მომდევნო ტური

**8 იანვარი: ესპანიოლი-ბარსელონა, ხეტაფე-ბილბაო, ლევანტე-მალიორკა, მალაგა-ატლეტიკო, რასინგი-სარაგოსა, რაიო ვალეკანო-სევილია, ბეტისი-სპორტინგი, რეალი-გრანადა, რეალ სოსიედადი-ოსასუნა, ვილიარეალი-ვალენსია.**

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ჰე

## უცხოური ფეხბურთი

### დღეს

**სიენა–ფიორენტინა 21.00**

**ტრანსლაცია:** ვერგასოლა, ბელმონტე - ლიანიჩი, სალიფუ, კასანი, კროლდრუპი.

**კალიარი–მილანი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ლარიეი (კალიარი).
**ტრანსლაცია:** გატუზო, აბატე, ფლამინი, კასანო, ნესტა, ძამბროტა, იეპესი (მილანი).

### ხვალ

**უდინეზე–იუვენტუსი 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბენეტია (უდინეზე).
**ტრანსლაცია:** ბარეტო, ბადუ, კოდა - ვუჩინიჩი.

**პალერმო–ჩეზენა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** კომოტო (ჩეზენა).
**ტრანსლაცია:** კაპელი, ბრიგა, ტირიბოკი - მარტინესი, კოლუჩი, მარტინიო.

**ბოლონია–რომა 23.45**

**ტრანსლაცია:** კასეტი, ბორინი, კიაერი, ბურდისო, გაგო (რომა).

**ინტერი–ლეჩე 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** კაროციერი (ლეჩე).
**ტრანსლაცია:** კიკუ, ვიციანო, სნეიდერი, ჯონათანი - ოფერე, ჯანდონატო, ბენასი, მესბა, ბერტოლაჩი, ესპოზიტო, ჟულიო სერჟიო.

**ლაციო–კიევო 23.45**

**ტრანსლაცია:** კონკო, ბროკი, დელ ნერო, მაკინგა, ბუერარდი, მარკეტი, მაური - რიგონი.

**ნაპოლი–ჯენოა 23.45**

**ტრანსლაცია:** ლავეცი - ბირსა, ბოვო, კუჩკა, ანტონელი, პალასაიო.

**ნოვარა–პალერმო 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** რიგონი - პინილია.
**ტრანსლაცია:** ლისუდო - ზაჰავი, ცორვასი, ერნანდესი, პიზანო.

**პარმა–კატანია 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** პალეტა - დელვეკიო.
**ტრანსლაცია:** ჯოვინკო - სუანზო, ბიაჯანტი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 15 | 9 | 6 | 0 | 26-10 | 33 |
| 2. მილანი | 15 | 9 | 4 | 2 | 33-16 | 31 |
| 3. უდინეზე | 15 | 9 | 4 | 2 | 20-9 | 31 |
| 4. ლაციო | 15 | 8 | 5 | 2 | 24-13 | 29 |
| 5. ინტერი | 15 | 7 | 2 | 6 | 18-18 | 23 |
| 6. ნაპოლი | 15 | 5 | 6 | 4 | 23-17 | 21 |
| 7. რომა | 15 | 6 | 3 | 6 | 19-19 | 21 |
| 8. ჯენოა | 15 | 6 | 3 | 6 | 18-18 | 21 |
| 9. კატანია | 15 | 5 | 6 | 4 | 17-20 | 21 |
| 10. პალერმო | 15 | 6 | 2 | 7 | 16-18 | 20 |
| 11. კიევო | 15 | 5 | 4 | 6 | 13-18 | 19 |
| 12. კალიარი | 15 | 4 | 6 | 5 | 12-15 | 18 |
| 13. პარმა | 15 | 5 | 3 | 7 | 18-23 | 18 |
| 14. ატალანტა | 15 | 5 | 8 | 2 | 19-18 | 17 |
| 15. ფიორენტინა | 15 | 4 | 5 | 6 | 15-15 | 17 |
| 16. ბოლონია | 15 | 4 | 3 | 8 | 14-22 | 15 |
| 17. სიენა | 15 | 3 | 5 | 7 | 14-16 | 14 |
| 18. ჩეზენა | 15 | 3 | 3 | 9 | 7-16 | 12 |
| 19. ნოვარა | 15 | 2 | 5 | 8 | 15-27 | 11 |
| 20. ლეჩე | 15 | 2 | 3 | 10 | 16-29 | 9 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 11 - დენისი (ატალანტა); 10 - დი ნატალე (უდინეზე), – იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 9 – კლოზე (ლაციო); 7 - ჯოვინკო (პარმა), კავანი (ნაპოლი), იოვეტიჩი (ფიორენტინა).

**გახსოვთ ალბათ, „ლეგა კალჩოსა“ და იტალიელ ფეხბურთელთა ასოციაციას შორის მომხდარი კონფლიქტის გამო, სერია A-ს სტარტი დაგეგმილზე გვიან შედგა, ამიტომ პირველი ტური გაურკვეველი ვადით გადაიდო - მოგვიანებით გაცხადდა, რომ გადატანილი თამაშები 20 და 21 დეკემბერს შედგებოდა... მოკლედ, მართალია, გუნდებს უკვე 15-15 შეხვედრა აქვთ ჩატარებული, მაგრამ ქვემოთ I ტურის წინასიტყვაობა უნდა ვთქვათ... თუმცა, მანამდე კვირას გამართულ ორ პაექრობას მივუბრუნდებით, რომლებიც თბილისის დროით გვიან ღამე გაიმართა და შესაბამისად, ტურის მიმოხილვაში მათზე არაფერი გვითქვამს.**

● იტალია. სერია A. I (გამოტოვებული) ტურის წინ

# დიდი ჯახი ფრიულიზე, ალეგრი კი სარდინიაზე ბრუნდება

## პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: ზამთრის ჩემპიონს პირველი ტური გამოავლენს

ანტონიო დი ნატალე ჯიჯი ბუფონისთვის გოლის გატანას შეეცდება

### ტურის გამოძახილი

კვირა ღამეს გამართული შეხვედრები XVI ტურის ცენტრალურ პაექრობებად მოინათლა და აუცილებლად უნდა გავამახვილოთ მათზე ყურადღება. იტალიის სამხრეთში „ნაპოლიმ“ „რომას“ უმასპინძლა და სერია A-ში მორიგი უნიათო შეხვედრა ჩაატარა. დიახ, **ვალტერ მაძარის** შეგირდებმაც ვერაფერი დააკლეს დედაქალაქელებს და სამივე ქულა მათ დაუთმეს. შეხვედრა ახალი დაწყებული იყო, როდესაც მარცხენა ფრთიდან მეტოქის საჯარიმოში **ერიკ ლამელა** შეიჭრა და დაბალი გადაცემით ვითარების გამწვავება სცადა - ბურთის დაუფლებას **მორგან დე სანკტისი** შეეცადა, თუმცა ხელიდან გაუვარდა და საკუთარი კარი დალაშქრა, 0:1. მთლიანად შეხვედრა სტუმართა უპირატესობით წარიმართა, რაც მეორე ტაიმის შუაწელს **პაბლო ოსვალდოს** გოლში აისახა - არგენტინული წარმოშობის იტალიელი **ფრანჩესკო ტოტიმ** მონახა შესანიშნავი გადაცემით და მასაც, ანგარიშის გაორება აღარ გასჭირვებია. შეხვედრის დარჩენილ პერიოდში გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს და „რომამ“ უმნიშვნელოვანესი სამი ქულა ჩაინერა აქტივში. ნამატჩევს, **ლუის ენრკე** ბედნიერი გახლდათ:

*„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემს რომაულ კარიერაში. ბიჭებმა ყველაფერი იღონეს იმისთვის, რომ გულშემატკივრები გაეხარებინათ და ეს მოახერხეს კიდეც. თუ „ნაპოლის“ მისსავე მოედანზე დამარცხება გსურს, თანაბრად წარმატებით უნდა ითამაშო დაცვასა და თავდასხმაში. ჩვენ ეს შევძელით და ამით ამაყი ვარ“.*

რომში'“ლაციომ“ „უდინეზეს“ უმასპინძლა და დაუზავდა, 2:2. შეხვედრა მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა, ფრიულელებმა კი კონტრშეტევებზე ააგეს თამაში და პრინციპში, არც ნაუგიათ. **ფრანჩესკო გვიდოლინმა** ყველა გააკვირვა, როდესაც **ანტონიო დი ნატალე** დატოვა სათადარიგოთა სკამზე, შემდეგ კი გაცხადდა, რომ ტოტოს მცირე ტრავმა ჰქონდა და სრული თამაშის ჩასატარებლად მზად არ იყო. დი ნატალემ მხოლოდ ბოლო 25 წუთი დაჰყო მინდორზე და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ საგოლე პასი გაეკეთებინა - სწორედ მისი გადაცემის შემდეგ დარჩა **პინცი** „ლაციოს“ კიპერთან პირისპირ და შეხვედრის საბოლოო რეზულტატი დაფიქსირა, 2:2. საგულისხმოა, რომ ანგარიშიც უდინელებმა გახსნეს, როდესაც მარცხენა ფრთიდან **პას კუალეს** მიერ გაკეთებულ გადაცემას **ფლორო ფლორესი** გამოეხმაურა და თავით გადაგზავნა ბურთი რომაელთა კარის ჩარჩოში. რაც შეეხება მასპინძლებს, მათგან ერთი **ლულიჩმა** შეაგდო, მეორე კი **კლოზემ**. ნამატჩევს, ფრანჩესკო გვიდოლინმა კმაყოფილება გამოთქვა როგორც შედეგით, ისე შეგირდთა თამაშით; **ედი რეიამ** კი დანაგებით აღნიშნა - უპატიებელი შეცდომები დავუშვით, თორემ ეს თამაში ჩვენი მოსაგები იყოო.

### I ტური

დღეს დაგეგმილი შეხვედრებიდან ყველაზე დიდ ინტერესს სარდინიული პაექრობა იწვევს, სადაც „კალიარი“ „მილანს“ დაუპირისპირდება. ამ მატჩის დამატებითი ინტრიგა ის გახლავთ, რომ **მასიმილიანო ალეგრის** ყოფილ გუნდთან მოუწევს დაპირისპირება. ვერ ვიტყვით, რომ „კალიარი“ კარგ ფორმაშია, მაგრამ ეს გუნდი საკუთარ კედლებში ყოველთვის სახიფათო მეტოქეა - ამაზე ამახვილებს ყურადღებას ალეგრი:

*„სარდინიაზე თამაში ყოველთვის რთულია და ამის შესახებ შესანიშნავად ვუწყი. ამიტომ, თუ მოგება გვინდა, მაქიმალური კონცენტრაცია გვმართებს. ამას წინათ ვთქვი, რომ ახალ წელს პირველ ადგილზე უნდა შევხვდეთ და მჯერა, ასეც იქნება. ფეხბურთელები შვებულებაზე ჯერ არ ფიქრობენ, წინ უმნიშვნელოვანესი თამაში გვაქვს, რომელშიც აუცილებლად სამი ქულა უნდა ავიღოთ“.*

მოკლედ, ალეგრის პირველ ადგილზე სურს გადასვლა, ამისთვის კი საჭიროა, რომ „იუვენტუსს“ უდინეში ფეხი დაუცდეს. „უდინეზე“ რომ სერიოზული ძალაა და თანაც, საკუთარ მოედანზე, ეს ცხადზე უცხადესია და ამას თვით **ანტონიო კონტე** ათასზგის ადასტურებს:

*„უკვე არ ვიცი რამდენჯერ ვთქვი, რომ მიმდინარე სეზონში ყველაზე მეტად „უდინეზეს“ თამაში მომწონს. ამ გუნდს საოცარი სისწრაფით შეუძლია გადავიდეს დაცვიდან შეტევაში, რაც მათი მთავარი იარაღია. დაცვაში ყურადღებით გვმართებს თამაში, შეტევაში კი ისეთი კრეატიულები უნდა ვიყოთ, როგორიც არასდროს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება უდინელთა მათსავე მოედანზე დამარცხება“.*

კონტე სავარაუდოდ 4-3-3 ტაქტიკას გამოიყენებს და ამჯერად, ცენტრალურ თავდამსხმელად **ალესანდრო მატრის** გაამწესებს. ფლანგებიდან **ემანუელე ჯაკერინი** და **სიმონე პეპე** გაირჯებიან, **ფაბიო კვალიარელა** და **ალექს დელ პიერო** კი ამჯერად თადარიგში დარჩებიან. რაც შეეხება ფრიულელებს, სრულ მზადყოფნაშია **ანტონიო დი ნატალე**, რომელიც ცენტრფორვარდის ფუნქციას შეასრულებს, უკნიდან კი მას სეხნია **ფლორო ფლორესი** დაეხმარება.

„ინტერი“ საკუთარ მოედანზე „ლეჩეს“ უმასპინძლებს და შეეცდება მიჯრით მოგებულ მატჩთა რიცხვი ოთხამდე გაზარდოს. **კლაუდიო რანიერის** თქმით, „ლეჩეს“ ძლიერი მხარე თავდასხმაა, სუსტი - დაცვა - ამიტომ, თამაში მეტოქის ნახევარზე უნდა გადავიტანოთ და ყველაფერი კარგად იქნებაო. ასე თქვა რანიერიმ და ალბათ გადაიტანენ კიდეც, რადგან აქეთ გამოღვიძებული „ინტერია“, იქით კი ჩემპიონატის აუტსაიდერი, სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე მყოფი გუნდი.

„რომას“ კიდევ ერთი რთული გასვლითი მატჩი ელის, მაგრამ სადაც „ნაპოლი“ დაამარცხა ნეაპოლში, იქაც „ბოლონიასთან' უნდა მივიჩნიოთ ფავორიტად. **ლუის ენრიკეს** თქმით, მისი გუნდი თამაშიდან თამაშამდე უმატებს და რამდენად მართალია ეს სიტყვები, სწორედ „როსობლუსთან“ პაექრობაში გამოჩნდება. ესპანელი ტაქტიკოსი შეტევაში ნაცად ტრიოს გამოიყენებს - „ბოლონიას“ **ტოტი, ოსვალდო, ლამელა** შეუტევენ და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან. ერთი სიტყვით, წინ საკმაოდ საინტერესო ტური გველის, დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება.

**ლაშა ნიკლაური**

● ამჯერად ინტერესი ბიბლიოთეკა

### დიდ-ბრალის აბანოში

ალბათ ყველას გახსოვთ **კრისტიანო დონი**, თავის დროზე „ატალანტაში“ ბრნყინავდა და ერთი ხანობა, იტალიის ეროვნულ ნაკრებშიც კი ინვევდნენ. შემდეგ, ბერგამოულმა კლუბმა სერია A დატოვა, B-ში დაქვეითდა და რადგან დონიმ კლუბის გამოცვლა არ ისურვა, ჩვენი თვალთახედვის არიდანაც დაიკარგა.

გასულ ზაფხულს, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ სერია B-ს საჭვო თამაშები გამოიძია და არაერთი პერსონა ამხილა, რომლებიც გარიგებული მატჩების ორგანიზებაში გახლდნენ გარეულნი. მათ შორის იყო 38 წლის კრიატიანო დონი, რომელსაც სამი წლით ფეხბურთის თამაში აეკრძალა. მიუხედავად ასეთი მკაცრი განაჩენისა, გამოძიება გაგრძელდა და საბოლოო ვერდიქტი ჯერ კიდევ არ გაცხადებულა - ერთი კი უკვე ვიცით, 3-ნლიან საფეხბურთო დისკვალიფიკაციას პატიმრობა დაემატა და ფეხბურთელი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა - თუ რამდენ ხანს მოუწევს დონის ვირის აბანოში ყოფნა, ეს საბოლოო ვერდიქტის შემდეგ გაირკვევა.

აქვე აღვნიშნოთ, რომ კრისტიანო დონის გარდა, პატიმრობა კიდევ 16 ადამიანს მიესაჯა, მათგან ერთს კი იტალიური ფეხბურთის გულშემატკივრები კარგად იცნობენ: „ინტერის“, „რომას“ და „პარმას“ ყოფილი მცველი **ლუიჯი სარტორი**.

### ძამპარინი თავის სტიქიაში

ტურის მიმოხილვაში ვივარაუდეთ, რომ სიცილიურ დერბიში მარცხს **დევის მანჯას** ჰოსტი შეენირებოდა და ასე აგიხდეთ ყველაფერი... **მაურიციო ძამპარინიმ** ტრადიციას არ უღალატა, მოთმინების ფიალა მალევე აევსო და მრავალჯერ ნაქმან მანჯას კარისკენ მიუთითა. აქვე ვთქვათ, რომ „პალერმომ“ დერბიში „კატანიასთან“ წააგო და სატურნირო ცხრილში მეათე ადგილზე ჩამოქვეითდა, ეს კი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ძამპარინის გადამწყვეტი ზომები მიეღო.

იტალიურ პრესაში გავრცელებული ცნობის თანახმად, დევის მანჯას 57 წლის სპეციალისტი **ბერტოლო მუტი** შეცვლის, რომელიც „პალერმოში“ 2001/2002 წლების სეზონში უკვე მუშაობდა. გარდა ამისა, მეტ-ნაკლები წარმატებით წვრთნიდა „ატალანტას“, „მესინას“, „რეჯინას“, „ბარის“, „კოზენცას“, „ნაპოლის“, „პიაჩენცას“, „ვერონას“ და ქვედა ლიგების კიდევ რამდენიმე გუნდს.

**ლაშა ნიკლაური**

### ეტორე დასაჯეს

კამერუნის ნაკრების თავდამსხმელ **სამუელ ეტოოს** ფეხბურთის ფედერაციამ სანაკრებოდ 15-მატჩიანი დისკვალიფიკაციით მიუსაჯა. ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ფედერაციამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, რომელსაც უკვე მოაწერა ხელი დისციპლინარული კომისიის ხელმძღვანელმა. სანქციები დაეკისრათ ასევე მის თანაგუნდელებს **ეიონგ ენოს** (აიაქსი) – 2 მატჩი. **ბენუა ასუ ეკოტოს** (ტოტენჰემი) – ფულადი ჯარიმა.

გადაწყვეტილების მიზეზი გახდა ის, რომ ფეხბურთელებმა ამა წლის 15 ნოემბერს უარი თქვეს ალჟირის ნაკრებთან მატჩში მონაწილეობაზე, რადგან მანამდე ფედერაციის მიერ მათთვის შეპირებული პრემიალური თანხები არ ჰქონდათ მიღებული.

**ლევან ბიბილაშვილი**

● მარსელი

# აიუს აღიარება

"მარსელის" თავდამსხმელმა **ანდრე აიუმ** მამის, XX საუკუნის აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული **აბედი პელეს** გზა გაიმეორა და კონტინენტის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. მამამ ეს ტიტული 1991 წელს დაიმსახურა. 2011 წელს კონკურენცია აღნიშნული ჯილდოსთვის როგორც არასდროს ისეთი დიდი იყო. მასზე წარდგენილნი იყვნენ **იაია ტურე, ჟერვინიო, სამუელ ეტოო** და **სეიდუ კეიტა**. ანდრემ გამოკითხულთა ხმების 1/3 დააგროვა. *"მე უბრალოდ გაოგნებული ვარ ამ აღიარებით, განსაკუთრებით იმას თუ გავითვალისწინებთ, თუ რამხელა ფეხბურთელები იღებდნენ ამ პრიზს ჩემამდე,"* – განაცხადა ფეხბურთელმა.

აიუს გადაბირების სურვილს რამდენიმე კლუბი რომ გამოთქვამდა, უკვე გაცნობეთ. ანდრეს შენარჩუნება მის აღმზრდელ კლუბსაც სურდა და რაკი კონტრაქტს ვადა 1,5 წელინადში გასდიოდა, მხარეებმა მისი გახანგრძლივება ვადამდე გადაწყვიტეს. 22 წლის განელმა "მარსელს" ბედი 2015-მდე დაუკავშირა. მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა, კლუბმა მას ანაზღაურებაც საგრძნობლად გაუზარდა. ანდრეს "ოლიმპიკში" დებიუტი 2007 წელს ჰქონდა, თუმცა თეთრ-ცისფერი მაისურით წარმატებული ასპარეზობა მან მხოლოდ გასული სეზონის მეორე ნახევარში დაიწყო. სულ აფრიკელის ანგარიშზე ლიგა 1-ის 62 შეხვედრაში გატანილი 16 გოლია.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ტურის გამოძახილი

რობერტო მანჩინი

დავიდ სილვას (№21) გოლს ულოცავენ

# მანჩესტ-ორი კვლავ ზევითაა

25 წლის ესპანელი **დავიდ სილვას** გოლით „მანჩესტერ სიტიმ“ ცხრილის სათავეში ადგილი შეინარჩუნა. ისტლენდელებმა ძლიერ მეტოქეს, „არსენალს“ მოუგეს. არადა, სანამ ეს მატჩი დასრულდებოდა, ინტერნეტის ონლაინ-ცხრილებში პირველ ადგილზე უკვე „მანჩესტერ იუნაიტედი“ ეწერა — ინგლისის ჩემპიონმა, რამდენიმე საათით ადრე, ლონდონში იოლად სძლია „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ - 2:0 და სულ ცოტა ხნით გაიხსენა, როგორია, როდესაც ინგლისურ ფეხბურთს ლიდერის პოზიციიდან გადმოჰყურებ.

„მეთოფეებთან“ გამარჯვებით გახარებული **რობერტო მანჩინი** დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი საშობაოდ... და მერეც, მთელი სეზონის განმავლობაში, პირველ ადგილზე იქნება. იტალიელმა თქვა:

*„ძალიან გვინდოდა გამარჯვება, ცხრილის სათავეში დამკვიდრება და ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ სეზონის დამთავრებამდე ჯერ დიდი დროა. თუ არ მოვდუნდებით და მუხლჩაუხრელ შრომას განვაგრძობთ, ბოლომდე ლიდერები ვიქნებით. რა საკვირველია, ყოველ შეხვედრაში დიდი ბრძოლები გველის. ფაქტია, „მანჩესტერ იუნაიტედი“ უძლიერესია და მისი ჯობნის გარეშე ჩემპიონობაზე ფიქრი გულუბრყვილობა იქნებოდა. ჩვენ უშუალოდ „იუნაიტედთანაც“ გველის დიდი საგაზაფხულო ბრძოლა“.*

თუმცა, საგაზაფხულო მანჩესტერულ დერბიმდე ჯერ შორია. ის 28 აპრილსაა დანიშნული. მანამდე კი ეგრეთ წოდებული „ბოქსინგ დეი“ ანუ შობის მეორე დღის თამაშები მოდის. მანამდე კი, კიდევ ერთი ტურია - ინგლისში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, თუ ვინ იქნება პირველ ადგილზე 25 დეკემბერს. ისტლენდელები ხვალ, საქართველოს დროით ღამის 23 საათსა და 45 წუთზე „სტოკ სიტის“ უმასპინძლებენ და თუ მოუგებენ, 1929 წლის შემდეგ პირველად შეხვდებიან უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს ცხრილის სათავეში. მანჩინის გაეცინა:

*„ჩვენ ცხრილის სათავეში ყოფნას მარტო საშობაოდ კი არ ვაპირებთ, იქ დიდი ხნით გვინდა დამკვიდრება. „სტოკთან“, რასაკვირველია, დიდი ბრძოლა გველის. დღეისათვის „სტოკ სიტი“ „არსენალივით“ არის, ზედიზედ ოთხი თამაში მოიგო“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

# ვენგერი და აჩრდილი

არსენ ვენგერი

**არსენ ვენგერმა** „მანჩესტერ სიტისთან“ დამარცხების შემდეგ აღიარა, რომ მისი „არსენალი“ მიმდინარე სეზონში პრემიერლიგის ტიტულისთვის ვეღარ იბრძოლებს. ამიერიდან, ჩემპიონობა აჩრდილივით გახდა — ჩრდილოლონდონის გუნდს ლანდად დაენახა და გაქრა. დღეს მეთოფეები ლიდერს 12 ქულით ჩამორჩებიან და, მართალია, ნინ კიდევ 22 ტურია, ფრანგმა სპეციალისტმა თითი მოკაკვა. არადა, მისი ღრმა რწმენით, კვირას, „ეტიჰედ სთედიუმზე“ გამარჯვების შემთხვევაში „არსენალი“ სწორედ საჩემპიონო ბრძოლაში ებმებოდა აქტიურად.

ვენგერმა თქვა: „დღევანდელი მდგომარეობიდან, „მანჩესტერ სიტის“ დანვევა ურთულესი საქმეა. სამწუხაროდ, ჩვენ დავმარცხდით იმ შეხვედრაში, რომელშიც დამარცხება არაფრით შეიძლებოდა. ახლა ლიდერს მეტისმეტად ჩამოვრჩით. რომ მოგვეგო, სხვაობა მათსა და ჩვენს შორის 6 ქულამდე შემცირდებოდა და ამასობაში ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელებიც გამოჯანმრთელდებოდნენ. გარდა განაპირა მცველებისა, სადაცაა ჯეკ უილშირი და აბუ დიაბიც დაუბრუნდებიან მოედანს.

სეზონის მეორე ნახევარში ჩვენი გუნდი უფრო ძლიერი იქნება. რასაკვირველია, ბრძოლას გავაგრძელებთ, ყურების ჩამოყრას ნამდვილად არ ვაპირებთ, მაგრამ, ვფიქრობ, დღევანდელ შეხვედრას მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. დღეს, ყველაფერზე მეტად მხნეობა და ქულები გვჭირდება. ამ ორიდან ჩვენ მხოლოდ პირველი გვაქვს“.

შემდეგ, ვენგერმა თქვა, რომ სეზონის კოშმარული სტარტის შემდეგ მისმა გუნდმა ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ „ეტიჰედ სთედიუმზე“ დამარცხებამ მკაფიოდ გამოაჩინა, რომ წინ კიდევ ელის სამუშაო.

*„აგვისტოს შემდეგ გუნდმა სახე იცვალა. დღეს „არსენალი“ მებრძოლი გუნდია, რაც „მანჩესტერ სიტისთან“ შეხვედრაში ერთხელაც დამტკიცდა. იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენ პროგრესის გზაზე სიარულს განვაგრძობთ და ლიდერებთან სულ მეტად და მეტად შევამცირებთ სხვაობას. ზოგადად თუ გადავხედავთ, ჩვენ კარგად ვთამაშობთ, არც ჟინი გვაკლია და არც ოსტატობა, მაგრამ პრემიერშიფის საუკეთესო გუნდებთან დაპირისპირებისას მაინც ჩანს, რომ სასურველ სიმაღლეზე ჯერ მაინც არ ვართ ასული“.*

ერთ-ერთი მთავარი პრობლემათაგანი, რომლის წინაშეც დღეს მეთოფეები დგანან, განაპირა მცველების ნაკლებობაა, მაგრამ ვენგერი „ეტიჰედზე“ წაგებული შეხვედრაში მაინც დადებითის დანახვას ცდილობს:

*„კოშელნიმ, ჯურუმ და ვერმაელენმა კარგად კი ითამაშეს, მაგრამ ისინი ცენტრალური მცველები არიან... რაც შეეხება ზოგადად თამაშს, ჩვენც შევქმენით საგოლე მომენტები მასპინძელთა კართან. მოკლედ, ამ შეხვედრაში ბევრი ისეთი რამ იყო, უკეთესი მომავლის იმედი რომ უნდა ჩაგვისახოს. ცოტა უიღბლობამაც შეგვიშალა ხელი. თან, „სიტის“ მეკარემ ითამაშა ძალიან კარგად. შესვენებისას ისეთი გრძნობა მქონდა, რომ თუ დაცვაში შეცდომას არ დავუშვებდით, ამ თამაშს მოვიგებდით. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა“.*

და კიდევ ერთი, ვენგერს ეჭვი აქვს, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში მანჩესტერელთა მცველმა, 23 წლის **მიკა რიჩარდსმა** საჯარიმოში ხელით ითამაშა, რისთვისაც პენალტი უნდა დანიშნულიყო.

*„პირადად მე, ეს ეპიზოდი კარგად ვერ დავინახე, მაგრამ რობინ ვან პერსი მეუბნება, რომ თერთმეტმეტრიანი ულაპარაკოდ უნდა დანიშნულიყო“.*

**ინგლისი. პრემიერლიგა.**

**XVII ტური**

**დღეს**

| | |
|---|---|
| **ვულვზი-ნორვიჩი** | **23:45** |
| **ბლეიბერნი-ბოლტონი** | **00:00** |

**ილია ბაბუნაშვილი**

● მოედანს მიღმა

ეროვნული ინფორმაციითქა

# შოპინგზე რატომ წაგიყვანა?

„ასტონ ვილას“ 27 წლის თავდამსხმელს, **დარენ ბენტს** ქომაგების წინაშე ბოდიშის მოხდამ მოუნია — მაშინ, როდესაც მისი გუნდი შინ, „ლივერპულთან“ 2:0-ს აგებდა, ის მაღაზიებში შოპინგზე წასულა. ბენტი მერსისაიდელებთან ტრავმის გამო არ თამაშობდა, მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ თამაში საერთოდ არ უნდა ენახა. ფეხბურთელის საქციელის გამო „ტვიტერში“ ერთი ამბავი ატყდა. ფოტოც კი გავრცელდა — ბენტი მაღაზიაში. 24 მილიონ ფუნტად შეძენილ ფორვარდს ფანებმა სულ უგულო და დაქირავებული მუშაკი უწოდეს.

მოგვიანებით ბენტმა „ტვიტერის“ საშუალებითვე მოიხადა ბოდიში. მან დაწერა:

*„ჩემთვის ფეხბურთის თამაშზე მნიშვნელოვანი არაფერია. სამწუხაროდ, „ლივერპულთან“ შეხვედრაში ტრავმის გამო მონაწილეობას ვერ ვიღებდი, ეს კი მძიმე გადასატანია. იმედი მაქვს, მოედანს მალე დავუბრუნდები. თამაშის დიდი ნაწილი ტელევიზორში ვნახე, შემდეგ კი გავედი. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ფეხბურთის დროს ჩემი ქუჩაში გამოჩენა ასეთ აჟიოტაჟს გამოიწვევდა. გულშემატკივარს ბოდიშს ვუხდი“.*

„ვილას“ მწვრთნელმა, **ალექს მაკლიშმა** ჟურნალისტებს უთხრა, რომ ბენტმა „ლივერპულთან“ ვარჯიშზე მიღებული ტრავმის გამო ვერ ითამაშა. როდესაც ზოგიერთმა ეჭვი გამოთქვა, რომ ტრავმა მოგონილი მიზეზია, „დიდი ეკი“ გაბრაზდა:

*„ჩემი თვალით ვნახე ბენტის დაშავების ეპიზოდი. სამშაბათის ვარჯიშზე კარში რომ დაარტყა, საზარდული ეტკინა და იმწუთასვე მოუხდა მოედნიდან გასვლა. ვერ ვიტან ამ კონსპირაციის თეორიას. როგორ ფიქრობთ, დარენს თამაში რომ შესძლებოდა „ლივერპულის“ წინააღმდეგ მოედანზე არ გავიყვანდი?“*

**ილია ბაბუნაშვილი**

დარენ ბენტი

● დაპირისპირება

# როი კინის დანახული ფერგიუსონი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილმა კაპიტანმა, ლეგენდარულმა **როი კინმა** სერ **ალექს ფერგიუსონის** წინააღმდეგ წარმოუდგენელი იერიში განახორციელა. ირლანდიელმა განაცხადა, რომ მისი ყოფილი თავკაცი ცდილობს „იუნაიტედის“ გულშემატკივარი მის წინააღმდეგ აამხედროს. თუმცა, მარტო ეს რომ ეთქვა, რა უჭირდა. კინმა დასძინა, ფერგიუსონისთვის „იუნაიტედის“ ინტერესები ყოველთვის უპირველესი სულაც არ არისო.

კინის მტკიცებით, „მანჩესტერ იუნაიტედის“ უდიდესი წარმატებები მწვრთნელზე მეტად მისი და მისნაირი ფეხბურთელების მოპოვებულია, რომლებიც გამარჯვების გამო მოედანზე ჯანმრთელობას ტოვებდნენ. გარდა ამისა, დღეს უკვე ტელემიმომხილველმა თქვა, რომ 2008 წელს, როდესაც „იუნაიტედს“ თავისი კლუბიდან გაშვება ცუდ საქციელად ჩაუთვალა, საქმე კინაღამ სასამართლომდე მივიდა. გარდა ამისა, ვეტერანმა გაიხსენა ფერგიუსონის კონფლიქტი დოლის ცხენის „როკ ოფ გიბრალტარის“ ირლანდიელ თანამფლობელ **ჯონ მანიერთან** და ამ კონფლიქტის მაგალითზე საცადა დაემტკიცებინა, რომ ფერგი ხშირად კლუბის ინტერესზე მაღლა თავისას აყენებს.

*„ხალხი ამბობს, რომ ფერგიუსონისთვის მთავარი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ინტერესებია, მე კი ვფიქრობ, რომ ის საკუთარ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებს. ასე მაგალითად, თავისი ცხენის გამო ის კლუბის ძირითადი მეწილის წინააღმდეგ წავიდა. როგორ შეიძლება, იმ კაცის წინააღმდეგ წასვლა, ვინც კლუბში ყველაზე მეტ ფულს დებს, ამ კლუბის ინტერესების სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯი ყოფილიყო? რასაკვირველია, არც იყო და ისიც კარგად ვიცით, ვისი მოყვანით დასრულდა ეს ყველაფერი“.*

კინმა და ფერგიუსონმა ერთად პრემიერლიგის ჩემპიონის შვიდი ტიტული მოიპოვეს. ასეთი თანამშრომლობის მიუხედავად, 2005 წელს მათ შორის ურთიერთობა გაფუჭდა, სულ ცოტა ხნის წინ კი კონფლიქტმა ახალი ძალით იხეთქა. მიზეზი: ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის გამო კინმა „იუნაიტედის“ ახალი თაობა გააკრიტიკა, რაზეც ფერგიუსონმა თქვა, ერთი თავისი სამწვრთნელო შედეგები გაგვახსენოსო.

კინი: *„ეს ხომ არგუმენტი არ არის. მაგ ლოგიკით, ნებისმიერი ტელემიმომხილველი უნდა გაჩუმდეს, რადგან როგორც მწვრთნელს იმდენი ტიტული არ მოუგია, რამდენიც ფერგიუსონმა მოიგო. მე ამაზე სხვანაირად ვუპასუხებ: ჩემნაირი ფეხბურთელები რომ არ ჰყოლოდა, ფერგიუსონი თავის ურიცხვ ტიტულს ვერ მოიგებდა. ამ ბოლო დროს რაღაც ბევრმა დაივიწყა, რომ ჩვენ, მოთამაშეები, ამ ტიტულების გამო მოედანზე ჯანმრთელობას ვტოვებდით“.*

ზემოთ კინსა და ფერგიუსონს შორის ახალი კონფლიქტი ვახსენეთ. კონფლიქტი „იუნაიტედის“ 19 წლის ნახევარმცველის, **ფილ ჯონსის** ნათქვამმა გააცოცხლა. ჯონსმა თქვა „ბაზელთან“ საბედისწერო თამაშის წინ მოშვებული ვიყავიო.

*„მე გუნდი და მისი ახალგაზრდები გავაკრიტიკე. სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი. ტელესტუდიაში, მიმოხილვის დროს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ შარფით ვერ დავჯდები. მახსოვს, „იუნაიტედიდან“ წასვლამდე ალექსს მწვრთნელის პროფესიაზე ველაპარაკე. მან გაიმეორა ის ორი სიტყვა, რომელიც ასე ძალიან უყვარს: ძალა და ყველაფრის კონტროლი. კეთილი, ეს ძალა და კონტროლი კლუბის ფარგლებში გასაგებია, მაგრამ ნუთუ ის ამ პოლიტიკის გატარებას უკვე „მანჩესტერ იუნაიტედის“ გარეთაც ცდილობს?“*

**ილია ბაბუნაშვილი**

როი კონი (მარცხნივ) და ალექს ფერგიუსონი

● გერმანიის თასი. 1/8 ფინალის წინ

# დღეს და ხვალ თასია

## ბაიერნი ბოხუმში, ჩემპიონი დიუსელდორფში

| **დღეს** | |
|---|---|
| **ბოხუმი-ბაიერნი** | **22:00** |
| **ნიურნბერგი-ფიურტი** | **22:00** |
| **ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი** | **23:30** |
| **ფორტუნა-ბორუსია (დ)** | **23:30** |
| **ხვალ** | |
| **ჰერტა-კაიზერსლაუტერნი** | **22:00** |
| **ჰოლშტაინ კილი-მაინცი** | **22:00** |
| **შტუტგარტი-ჰამბურგი** | **23:30** |
| **ბორუსია (მ)-შალკე** | **23:30** |

საფეხბურთო გერმანია 2011 წელს გერმანიის თასის მერვედფინალით დახურავს: ოთხი მატჩი დღეს გაიმართება, ოთხიც ხვალ. მიუნხენის „ბაიერნი“ და დორტმუნდის „ბორუსია“ დღეს თამაშობენ: რეკორდმაისტერი მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელ „ბოხუმს“ **ბოატენგისა** (გრიპი) და **მიულერის** (ტრავმა) გარეშე სტუმრობს, მოქმედი ჩემპიონი კი მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს, „ფორტუნას“ დიუსელდორფში შეხვდება. **იურგენ კლოპს** დაცვაში უჭირს: **შმელცერი** და **სანტანა** ტრავმირებულები არიან და რაკი **სუბოტიჩიც** ლაზარეთშია, იურგენი დაცვის ცენტრში **ჰუმელსს ოვომოიელას** შეუწყვილებს. გერმანიის თასის მფლობელი „შალკე“ კი ხვალ მიონხენგლადბახში ითამაშებს.

**გოტფრიდ ლენცი**

## უცხოური ფეხბურთი

● გერმანია. ბუნდესლიგა. XVII ტურის გამოხმაურება

# ერთგული რაული, სულელი რიბერი და ა.შ.

## პირველი წრე ვარგი იყო, აუფ ვიდერზეენ 20 იანვრამდე

**რაულმა ჰეთ-თრიკით შალკეს ფანები გააბედნიერა, ხოლო ამ ჟესტით კი გელზენკირხენულ კლუბს ერთგულება აღუთქვა**

პირველი წრის ბოლო ტურში ბევრი საინტერესო რამ მოხდა: ბერლინის „ჰერტას“ ხელმძღვანელები იძულებულები გახდნენ, მწვრთნელი **მარკუს ბაბელი** გაეთავისუფლებინათ, **ფრანკ რიბერი** ცუდად მოიქცა და მოედანი ნაადრევად დაატოვებინეს, **რაულმა** ჰეთ-თრიკი შეასრულა, **მარკო როისი** ყურადღების ცენტრში დაბრუნდა და ა.შ.

სეზონის პირველი ნახევრის ყველაზე ძლიერმა გუნდებმა - „ბაიერნმა“, „დორტმუნდმა“, „შალკემ“ და „გლადბახმა“ უპრობლემოდ გაიმარჯვეს. ერთადერთი რამ, რის გამოც, ახლა უკვე ოფიციალურად, „შემოდგომის ჩემპიონ“ „ბაიერნში“ უკმაყოფილებამ დაისადგურა, რიბერის გაძევება გახლდათ. რატომ ახსენა **ული ჰაინესმა** „ჯეკ დენიელსი“, რატომ მიიღო მოქმედმა ჩემპიონმა ფრიადი მინუსით და რატომ უნდა გააკეთონ „გლადბახისა“ და „შალკეს“ ბოსებმა ყველაფერი იმისათვის, რომ თავიანთი ლიდერები **როისი** და რაული შეინარჩუნონ? ამ ყველაფერზე ქვემოთ ვიმსჯელოთ.

### სულელი რიბერი

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტურში მარტო რიბერი არ გაუძევებიათ, ყველაზე ცუდი საქციელის ავტორი მაინც მიუნხენური გრანდის ფრანგი დრიბლიორია. პრინციპში, არანაკლებ ცუდი იყო ბერლინელი **რაფაელისა** და მაინცელი **შეხტერის** ქმედებებიც, უბრალოდ, რიბერის მათზე გაცილებით მეტი მოეთხოვება, პირველ რიგში კი ნერვების მოთოკვა. კიოლნელმა **ენრიკე სერენომ** რიბერი თავის „დაკრულზე აცეკვა“ - იმდენად იოლად შეძლო ფრანგის პროვოცირება, რომ ყველანი პირდაღებულები დარჩნენ. სხვა საქმეა ის, რომ ამან „კიოლნს“ ვერ უშველა, „ბაიერნს“ კი ვერაფერი დააკლო. მიუნხენელები ერთი საათის განმავლობაში კაცნაკლულები იყვნენ და „თხებს“ მაინც სამი გოლი გაუტანეს.

„ბაიერნის“ მენეჯერმა **კრისტიან ნერლინგერმა** რიბერიზე თქვა, არ მოიქცა ჭკვიანურადო, ბუნდესლიგის ექსპერტმა **თომას ჰელმერმა** კი ფრანგ გარემარბს პირდაპირ სულელი უწოდა. წყობიდან გამოვიდა თვით ძალიან მშვიდი **იუპ ჰაინკესიც**, რომელიც მიუხედავად „შემოდგომის ჩემპიონობისა“, რიბერის საქციელის გამო უკმაყოფილებას ვერ მალავდა.

### მსახიობი ჯეკ დენიელსი

სამაგიეროდ, „კიოლნთან“ 3:0-ის შემდეგ ბრწყინვალე ხასიათზე იყო „ბაიერნის“ პრეზიდენტი **ული ჰაინესი**. *„ძალიან კმაყოფილი ვარ და თანაც ყველაფრით,* - სიხარულს ვერ მალავდა ენაჭარტალა ული, - *ბუნდესლიგის პირველი წრე მოვიგეთ, ჩემპიონთა ლიგაშიც საუცხოოდ ვითამაშეთ და ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ და რაც ასევე მნიშვნელოვანია, გერმანიის თასზე ასპარეზობასაც ვაგრძელებთ. მე საახალწლოდ მეტი არც არაფერი მინდოდა.“*

ჰაინესი იმდენად იყო ეიფორიაში, რომ შემდეგი განცხადებისას ლეგენდარული მსახიობი **ჯეკ ნიკოლსონი** ასევე ლეგენდარული ვისკის სახელწოდებაში აერია: *„ყველაფერი ისეა, როგორც იმ ცნობილ ფილმში, ჯეკ დენიელსი რომ თამაშობს: „უკეთესად წარმოუდგენელია!“*

### მატყუარა გაბელი ან მატყუარა პრეეტცი

„ჰოფენჰაიმისა“ და „ჰერტას“ დაპირისპირება 1:1 რომ დამთავრდა, ეს ბერლინში მეორე დღეს აღარავის აინტერესებდა, რადგან **ლევან კობიაშვილის** გუნდში სულ სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. ყველაფერი მწვრთნელ **მარკუს ბაბელის** განცხადებით დაიწყო, რომელმაც კვირის ვარჯიშის შემდეგ თქვა, მორჩა და გათავდა, შეფებს აღარ ველაპარაკებიო. მისი გაბუტვის მიზეზი ის გახლდათ, რომ მენეჯერი **მიხაელ პრეეტცი** ამტკიცებდა, ბაბელმა მხოლოდ გასულ სამშაბათს გვამცნო, რომ ჩვენთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებსო, თავად მარკუსი კი ირწმუნებოდა, რომ ეს გაცილებით ადრე გააკეთა. ამრიგად, პრეეტცმა ბაბელს უწოდა მატყუარა, ბაბელმა კი პრეეტცს და რა გასაკვირია, რომ ეს ამბავი მარკუსის პოსტიდან გათავისუფლებით დამთავრდა. პრეეტცმა ოფიციალურ განცხადებაში თქვა, ერთმანეთის მიმართ ნდობა იმდენად დავკარგეთ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდაო.

„ბილდის“ ინფორმაციით, ბაბელისა და პრეეტცის დავა ახლა სასამართლოში გაგრძელდება.

### ესენი ოცნებობენ ბარსას დამარცხებაზე?

*„...და თქვენ უნდა ითამაშოთ ბარსელონასთან?“* - ყვიროდნენ „ლევერკუზენის“ გამწარებული ფანები საკუთარ მოედანზე „ნიურნბერგთან“ აბსოლუტურად ლოგიკური (!) 0:3-ის შემდეგ. მათი ნამდვილად გვესმის, რადგან თუკი „ბაიერს“ გოლები **დანიელ დიდავიმ, იენს ჰეგელერმა** და **ტომას პეკჰარტმა** გაუტანეს, იოლი წარმოსადგენია, რა ამბავს დაატრიალებს „ლევერკუზენის“ საჯარიმოში თუ მის მისადგომებთან **ლეო მესი** – ხომ გახსოვთ, „ბაიერი“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში სწორედ „ბარსას“ უნდა დაუპირისპირდეს.

რა გასაკვირია, რომ ამ უმძიმესმა და პირდაპირ ვთქვათ, აუხსნელმა ფიასკომ „ლევერკუზენის“ ისედაც ფეთქებადი სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი** წყობიდან გამოიყვანა: *„ეს იყო ნამდვილი კატასროფა! განსაკუთრებით სამარცხვინოდ პირველ ტაიმში ვითამაშეთ,“* - ყვიროდა რუდი მიკროფონში...

### დორტმუნდი: ფრიადი მინუსით

დორტმუნდის „ბორუსიამ“ უმარტივესი გამარჯვება მოიპოვა – პრინციპში, მოქმედი ჩემპიონისგან უსუსურ „ფრაიბურგთან“ სხვა რამ არც იყო მოსალოდნელი. დორტმუნდელებმა ოთხი გოლი გაიტანეს და პირველი წრე მეორე ადგილზე, „ბაიერნის“ უმთავრესი მდევრის რანგში დაასრულეს. სწორედ ამიტომ დაუნერა მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** თავის შეგირდებს ფრიადი მინუსით, ოღონდ ისიც დასძინა, არც „ბაიერნი“ იმსახურებს ფრიადს, რადგან მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით, მიუნხენელებს პირველი წრე მინიმუმ შვიდქულიანი უპირატესობით უნდა დაესრულებინათო...

### როისი დაბრუნდა, გლადბახმა მოიგო

გამოჯანმრთელდა თუ არა **მარკო როისი**, მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ ისევ მოიგო. ზედიზედ ორი მოუგებელი მატჩის შემდეგ **ლუსიენ ფავრის** ბიჭებმა როისთან ერთად „მაინცი“ 1:0 დაამარცხეს. ის გოლი კი ამჯერად მარკოს არ გაუტანია – **ჰერმანმა** შეაგდო, როისი კი ასისტენტად მოგვევლინა. ამრიგად, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ მიონხენგლადბახელებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ როისი ზაფხულში სხვა გუნდში, მაგალითად „ბაიერნში“ არ გადავიდეს...

### „ძურდი“ რაული

ტურის წინ, ცენტრალური მატჩის მთავარ ინტრიგად „შალკესა“ და „ვერდერის“ გოლეადორების, **კლაას-იან ჰუნტელაარისა** და **კლაუდიო პისაროს** დუელი მოვიხსენიეთ. პისაროს საერთოდ არაფერი გაუკეთებია, ჰუნტელაარმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა და ისიც უმნიშვნელო, რადგან იმ მომენტისთვის გელზენკირხენელები ბრემენელებს უკვე 4:0-ს უგებდნენ.

პისაროსა და ჰუნტელაარს შოუ 34 წლის რაულმა მოუპყარა - პირველი სამი გოლი მის ანგარიშზეა. ვეტერანმა ესპანელმა მატჩის შემდეგ თქვა, „შალკეში“ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, მეტიც, აქ ბედნიერი ვარ და სიამოვნებით დავრჩებიო. თამამად ვიტყვით: ამ სიტყვებით მან გელზენკირხენელ ფანებს საუკეთესო საშობაო საჩუქარი გაუკეთა!

### მე-17 ტურის სიმბოლური ნაკრები (4-1-2-3, კიკერი)

მოჰამედ ამსიფი (აუგსბურგი, I) – გენედიქტ ჰიოვედესი (შალკე, I), კირიაკოს პაპადოპულოსი (შალკე, I), ფილიპ ეოლშაიდი (ნიურნბერგი, III), კრისტიან ფუხსი (შალკე, III) – ტონი კროოსი (ბაიერნი, III) – ჯინჯი კაბაკა (ბორუსია დ, III), რაული (შალკე, I) – კლაას-იან ჰუნტელაარი (შალკე, V), მარიო გომესი (ბაიერნი, VI), რობერტ ლევანდოვსკი (ბორუსია დ, IV).

რაკი ამ ტურში ყველაზე ხმაურიანი გამარჯვება „შალკემ“ მოიპოვა (5:0 ვერდერთან), ლოგიკურია, რომ „კიკერის“ სიმბოლურ ნაკრებში ხუთი გელზენკირხენელი მოხვდა. საოცარი ის არის, რომ იმ დროს, როცა „შალკეს“ მარცხენა მცველი **კრისტიან ფუხსი** სიმბოლურში უკვე მესამედ მოხვდა, რაულისთვის ეს პირველი შემთხვევაა.

### ტურის გმირი

**რაული (შალკე, I)**

ჰეთ-თრიკი მე-17 ტურში? შეიძლება აღარ გახსოვდეთ და სიამოვნებით გაგახსენებთ, რომ ერთი წლის წინ, 2010 წლის 18 დეკემბერს, „შალკემ“ „კიოლნს“ 3:0 მოუგო და სამივე გოლი მის ანგარიშზე იყო. ახლა კი იმავე „ვერდერთანაც“ გაიმეორა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ასაკი ვერაფერს აკლებს.

**გვერდი მოამზადა**
**გოტფრიდ ლენცმა**

### საუკეთესო ფეხბურთელები

17 ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | ს/შ. |
|---|---|---|
| 1. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 2.30 |
| 2. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 2.35 |
| 3. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 2.50 |
| 4. მატს ჰუმელსი | ბორუსია (დ) | 2.53 |
| 5. სვენ ულრაიხი | შტუტგარტი | 2.59 |
| 6. სვენ გენდერი | ბორუსია (დ) | 2.59 |
| 7. გერდ ლენო | ლევერკუზენი | 2.69 |
| 8. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 2.71 |
| 9. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 2.71 |
| 10. რომან ვაიდენფელერი | ბორუსია (დ) | 2.74 |

### გოლს ჭლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | 16 | 15 | 5 | 20 |
| 2. მარიო გომესი | ბაიერნი | 16 | 16 | 3 | 19 |
| 3. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 15 | 12 | 7 | 19 |
| 4. ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | 16 | 14 | 5 | 19 |
| 5. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 17 | 12 | 6 | 18 |
| 6. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 17 | 8 | 9 | 17 |
| 7. რაული | შალკე | 17 | 10 | 5 | 15 |
| 8. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 15 | 10 | 4 | 14 |
| 9. ჰაპის დემბა სისე | ფრაიბურგი | 17 | 9 | 3 | 12 |
| 10. მოჰამედ აბდელაუ | ჰანოვერი | 14 | 9 | 2 | 11 |

● ლიგა 1. XVIII ტურის გამოხმაურება და XIX ტურის წინ

# მოპარული გამარჯვება

როცა ერთმანეთის მოქმედი ჩემპიონი და გათამაშების ფავორიტი ხვდებიან ხოლმე, გულშემატკივარი, როგორც წესი, გოლებს ელის. მე-18 ტურის ცენტრალურ შეხვედრაში მაყურებელმა გოლი ვერ ნახა, მაგრამ იხილა ყველაფერი, რაც ფეხბურთს მიმზიდველ სანახაობად აქცევს - დაძაბულობა, ნერვების თამაში, გაფუჭებული მომენტები, მეკარის თავგანწირული ნახტომები და ასე შემდეგ. ამ მატჩმა განსაკუთრებული ინტერესი ჯერ კიდევ წინა დღეებში მიიქცია და რატომ, ამაზე ტურის წინა მიმოხილვაში ვწერდით.

თამაში უფრო აქტიურად მასპინძლებმა დაიწყეს და 2-3 მწვავე შეტევის განხორციელება დებიუტშივე მოახერხეს. განსაკუთრებით აქტიური იყო მასპინძელთა ფლანგები, სადაც **ნენე** და **მენეზი** თამაშობდნენ. თუმცა პსჟ-მა დიდხანს ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობის ხელში ჩაგდება ვერ შეძლო. პირველი რეალური სახიფათო მომენტი **ხავიერ პასტორეს** პასის შემდეგ **კევინ გამეიროს** შეექმნა, მაგრამ მან მომენტი ქარს გაატანა.

"ლილის" მხრიდან თუკი ვინმე აქტიურობდა, ყველაზე მეტად ეს **მატიე დებიუშიზე** ითქმის. საფრანგეთის ნაკრების მარჯვენა მცველი თავის უშუალო ფუნქციებსაც მშვენივრად ასრულებდა და არც შეტევაში ჩართვა ეზარებოდა. მან მასპინძელ გუნდს ძალიან ბევრი პრობლემა შეუქმნა. ჟურნალისტებმა დაითვალეს და აღმოჩნდა, რომ მეტოქის საჯარიმოში მატიემ 20-მდე ჩაწოდება შეასრულა. აქედან ნახევარი უმისამართო იყო, მაგრამ "ლილის" თავდამსხმელებს უფრო დაკვირვებით რომ ეთამაშათ, ორიოდე გოლის გამოდნობა კი შეიძლებოდა. სტუმართაგან გატანა მართებდათ **მარკო ბაშასა** და თავად **დებიუშის**, მაგრამ მათ დარტყმებს **სალვატორე სირიგუ** გაუმკლავდა. საგოლე მომენტებით ღარიბი შეხვედრისთვის ნერტილის დასმა შეცვლაზე შესულ **ირენეუშ ელენს** შეეძლო. პოლონელი თავდამსხმელის დარტყმას წინ ისევ სირიგუ აღუდგა.

მატჩის ყველაზე უსარგებლო ფეხბურთელის პრიზი რომ დაეწესებინათ, მისი მოპოვების ყველაზე დიდი შანსი იმ ფეხბურთელებს ექნებოდათ, ვისგანაც სპეციალისტები ყველაზე მეტს ელოდნენ - ლაპარაკია ხავიერ პასტორესა და **ედენ აზარზე**. საუკეთესოები თავისი გუნდის შემადგენლობაში **ფლორან ბალმონი** (ლილი) და **მატიე ბოდმერი** (პსჟ) იყვნენ. ჩემპიონობის მაძიებელ გუნდებს გაუმართლათ, რომ ვერც "მონპელიემ" იმარჯვა "ტულუზთან" დაპირისპირებაში. ასე რომ, სატურნირო ცხრილში არაფერი შეცვლილა. პსჟ ბურთების სხვაობის გამო ისევ მეორე ადგილზეა, "ლილი" კი ლიდერებს 2 ქულით ჩამორჩება. ბოლოს კი გაგაცნობთ, რა განაცხადეს მატჩის შემდეგ პრეს-კონფერენციაზე გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა.

**ანტუან კომბუარე** (პარი სენ-ჟერმენი): *"ჩემი შეგირდების ასპარეზობამ გაორებული შეგრძნება დამიტოვა. პირველ ტაიმში კარგად გამოვიყურებოდით. შესვენებაზე ბიჭებს ვუთხარი, რომ რეალური იყო "ლილის" კიდევ უფრო მეტ წნეხში მოქცევა და გოლის გატანა. მაგრამ მეორე ნახევარში ყველაფერი გართულდა, რადგან ჩვენ წინააღმდეგ ბევრად უფრო ძლიერმა გუნდმა ითამაშა. საერთო ჯამში დაცვამ შეტევა აშკარად დაჯაბნა. წინ "სენტ ეტიენთან" თამაში გვაქვს, სადაც აუცილებლად უნდა მოვიგოთ".*

**რუდი გარსია** (ლილი): "ფრე ჩემპიონატის ფავორიტთან გასვლით შეხვედრაში არ არის ცუდი შედეგი. რატომაა "პარი სენ-ჟერმენი" ფავორიტი? იმ ინვესტიციების წყალობით, რომელიც კლუბში ჩაიდო, შეუძლებელია ეს ასე არ იყოს. მასპინძელს მეორე ტაიმში ვუჩვენეთ, რისი პოტენციალიც გვაქვს. მართალია, ჩემს ბიჭებს ჰქონდათ მოგების ამბიცია, მაგრამ არ ჰყოფნიდათ იდეები, რანაირად გაეკეთებინათ ეს. წინააღმდეგობა რისი გადალახვაც ვერაფრით მოვახერხეთ, ეს სალვატორე სირიგუ იყო. ის ხანდახან არაადამიანურ რეაქციას ავლენდა. სწორედ იტალიელმა წაგვართვა ეს გამარჯვება. მიუხედავად ამისა, კმაყოფილი ვარ ბიჭების გარჯით და იმით, რომ ისინი აგრძელებენ პროგრესს".

ლევან ბიბილაშვილი

**დღეს:**

| | |
|---|---|
| ნანსი-მარსელი | 00:00 |

**ხვალ:**

| | |
|---|---|
| ოსერი-დიჟონი | 22:00 |
| ევიანი-მონპელიე | 22:00 |
| ლილი-ნიცა | 22:00 |
| ლორიანი-კანი | 22:00 |
| რენი-ბორდო | 22:00 |
| სოშო-აიაჩო | 22:00 |
| ტულუზი-ბრესტი | 22:00 |
| ვალანსიენი-ლიონი | 22:00 |
| სენტ ეტიენი-პარი სენჟერმენი | 00:00 |

| | თ | მ | გ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონპელიე | 18 | 11 | 4 | 3 | 37-19 | 37 |
| 2. პსჟ | 18 | 11 | 4 | 3 | 30-17 | 37 |
| 3. ლილი | 18 | 9 | 8 | 1 | 29-15 | 35 |
| 4. ლიონი | 18 | 11 | 2 | 5 | 31-20 | 35 |
| 5. სტ. ეტიენი | 18 | 8 | 6 | 4 | 23-20 | 30 |
| 6. ტულუზი | 18 | 8 | 6 | 4 | 20-17 | 30 |
| 7. რენი | 18 | 8 | 5 | 5 | 28-23 | 29 |
| 8. მარსელი | 18 | 7 | 7 | 4 | 24-17 | 28 |
| 9. ბორდო | 18 | 5 | 8 | 5 | 20-21 | 23 |
| 10. ლორიანი | 18 | 6 | 5 | 7 | 18-21 | 23 |
| 11. ბრესტი | 18 | 3 | 11 | 4 | 19-19 | 20 |
| 12. ევიანი | 18 | 4 | 7 | 7 | 23-27 | 19 |
| 13. კანი | 18 | 5 | 4 | 9 | 24-29 | 19 |
| 14. ოსერი | 18 | 4 | 6 | 8 | 24-28 | 18 |
| 15. ნანსი | 18 | 4 | 6 | 8 | 16-23 | 18 |
| 16. სოშო | 18 | 4 | 6 | 8 | 21-32 | 18 |
| 17. დიჟონი | 18 | 5 | 3 | 10 | 18-33 | 18 |
| 18. ნიცა | 18 | 4 | 5 | 9 | 17-19 | 17 |
| 19. ვალანსიენი | 18 | 4 | 5 | 9 | 17-21 | 17 |
| 20. აიაჩო | 18 | 2 | 6 | 10 | 18-36 | 12 |

ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა

მედცენტრი Shine

გაწუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პრობლემები?

გთავაზობთ მაღთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე

მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და ძვიდა კიდურების არეში

დისპოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა

ჩაწერა წინასწარ
ტელ: 2 230 330

მის: პეკელიძის 14
www.shine.ge

საახალწლო აქცია

ელექტრონიკის მაღაზიათა ქსელში

ელექტრონიკა
ჩვენ გიუმჯობესებთ ცხოვრებას

ტელევიზორები უარეცენდენტო ფასდაკლებით

2011 წლის 19 დეკემბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით

LE26C350D1 649.00 599.00 66სმ SAMSUNG
LE32D403G1 699.00 649.00 81სმ SAMSUNG
LE32C350D1 749.00 699.00 81სმ SAMSUNG
PS43D450A2 1099.00 999.00 109სმ SAMSUNG
PS51D450A2 1349.00 1299.00 130სმ SAMSUNG
KLV-26BX300 749.00 699.00 66სმ SONY
KLV-32BX300R 849.00 749.00 81სმ SONY
32PFL3605H/12 899.00 799.00 81სმ PHILIPS
TX-LR32C20 929.00 799.00 81სმ Panasonic
32AV703 749.00 699.00 81სმ TOSHIBA
TS 2181 179.00 54სმ Prima
TS 2192 189.00 54სმ Prima
TS 21T18 PF TS 21181 PF 189.00 54სმ THOMSON
TS 21181 SL TS 21189 SL 199.00 54სმ THOMSON
TS 29181 PF 299.00 72სმ THOMSON
29LZJ27 349.00 72სმ TOSHIBA

• დილომი, ბელიაშვილის 8, ტელ: 2-518-815
• ვარკეთილი, კალაუზნისა და ჯავახეთის ქ.კვეთა ტელ: 2-236-007
• ისანი, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია, ტელ: 2-478-676
• საბურთალო, ვაჟა-ფშაველას 39, ტელ: 2-236-008
• გლდანი, სავაჭრო ცენტრი "ვერაზინი", ტელ: 2-478-673
• რუსთავი, შარბავას გამზ. №4. ტელ: 2-146-765
• სავაჭრო ცენტრი "ვეგალაინი", პავ. 87-89. ტელ: 2-478-672
• სავაჭრო ცენტრი "კიდობანი", პავ. 27. ტელ: 2-478-690
• გორი, ჭავჭავაძის 24, ტელ: 8-370-224-257

გვეწვიეთ! საუკეთესო ხარისხის 1000-ზე მეტი დასახელების საქონელი

ელექტრონიკა ჩვენ გიუმჯობესებთ ცხოვრებას

ტელ: 2 518 815

Samsung Indesit SONY Panasonic TOSHIBA PHILIPS Hotpoint Ariston TEFAL Rowenta Moulinex

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი

# ბერძენ-რომაელთა ქართული არენა

## გზა ლონდონის ოლიმპიადისკენ ეროვნულ ჩემპიონატზე გადის

**24-25 დეკემბერს სპორტკომპლექს „არენაში“ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ქვეყნის პირველობა გაიმართება, რომელშიც ყველა უძლიერესმა ფალავანმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. საერთოდ, ბოლო წლებში ამ საკითხს დიდი ყურადღება ექცევა და ზემდგომნი მკაცრად მოითხოვენ ეროვნული ჩემპიონატების უფრო მეტად დაფასებას. თუმცა უკვე ზეპირ მოთხოვნებს არ დასჯერდნენ და პრაქტიკული საფუძველიც გაურიეს – ქვეყნის პირველობაზე ნაჩვენები შედეგებით დაენიშნებათ ხელფასი ანუ თავის არიდება უხელფასობას ნიშნავს. ამის მიუხედავად, „გაძრომის“ გარკვეული მცდელობები მაინც არის, თუმცა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა.**

ყოველ შემთხვევაში, ბერძენ-რომაელთა პირველობასთან დაკავშირებით ფედერაციაც და ნაკრების ხელმძღვანელობაც გვპირდება, რომ შეღავათს არავის გაუნევს და ამჯერად ყველა იასპარეზებს. ნინასწარი მონაცემებით, ტურნირში ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **რამაზ ნოზაძეც** (96) უნდა გამოვიდეს. მართალია, ცოტა ძნელია განსაზღვრო რას იზამს ის უშუალოდ აწონისას, რადგან ბოლო წლებშიც გვახსოვს მაგალითები, როცა ასევე წინასწარი დაპირებების მიუხედავად, არ აიწონა და არც იასპარეზა, მაგრამ სადღეისოდ ნამდვილად ვარჯიშობს და ემზადება ოლიმპიადაზე წასასვლელად. საქართველოს ჩემპიონატი ლონდონისკენ მიმავალ გზაზე მთავარი პუნქტია – იქ გამოსვლის გარეშე არც მას და არც სხვა ათლეტს ლიცენზიისთვის ბრძოლის შანსიც არ მიეცემა, რადგან უამისოდ ვერც ნაკრებში მოხვდებიან. ვნახოთ, რამდენად იქნება მზად შეჯიბრებისთვის ნოზაძე, რომლის დონის სპორტსმენიც ნამდვილად წაადგება ამ წონის კონკურენციას იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლებში აქ პერსპექტიული ახალგაზრდები გამოჩნდნენ და დიდი ტურნირების მედალოსანიც გვყავს – შარშან **სოსო ჯაბიძე** ევროპის მესამე პრიზიორი გახდა. ვფიქრობთ, ნოზაძის დაბრუნება კონკურენციას კიდევ უფრო გაზრდის და ახალგაზრდების დაოსტატებასაც ფრიად წაადგება.

სიტყვამ მოიტანა და აქვე გეტყვით, რომ სპორტში დაბრუნება და ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლა თავის დროზე ნოზაძის უმთავრესმა და უხერხულმა კონკურენტმა, „ეგვიპტელ მუმიად“ წოდებულმა **კარამ მოჰამედ გაბერ იბრაგიმმაც** მოისურვა – ნოემბერში ფინეთში იჭიდავა, თუმცა წარუმატებლად.

გავუბრუნდეთ ისევ საქართველოს პირველობას, რომელშიც ყველა წარმატებულმა სპორტსმენმა უნდა იასპარეზოს ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **მანუჩარ კვირკველიას** (74) თაოსნობით – ახალგაზრდებმაც და ძველებმაც. ბუნებრივია, ტრავმების საშიშროება არსებობს. მით უფრო, ბოლო ხანებში რამდენიმე ახალგაზრდას მართლაც აწუხებდა ტრავმა (მაგალითად, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონ მძიმეწონოსან **შოთა გოგისვანიძეს**), თუმცა ჯერჯერობით ექიმების და ფედერაციისთვის გათავისუფლების თხოვნით არავის მიუმართავს. ასევე მკაცრი მოთხოვნაა, რომ ყველამ საკუთარ წონაში იჭიდაოს და მართლაც ასე მოხდება. ერთადერთ გამონაკლისს სან **მანუჩარ ცხადაიასთვის** აპირებენ, რომელიც 66-ში ასპარეზობს, თუმცა ახლა 74-ში ჭიდაობის ნებას დართავენ. შეგახსენებთ, რომ ის ისედაც ლამობდა ამ წონაში გადასვლას – შარშან ქვეყნის ჩემპიონატში გამოვიდა კიდეც, მაგრამ კვირკველიასთან დამარცხდა და კვლავ 66-ში მოუხდა დაბრუნება. მაშინ კვირკველია სხვებზე მართლაც ბევრად ძლიერი გამოჩნდა.

არაა გამორიცხული, ცხადაიას მსგავსი შეღავათი ევროპის ნლევანდელ ჩემპიონ **რევაზ ლაშხსაც** (60) მისცენ და ისიც ზედა წონაში აჭიდაონ, მაგრამ ეს საკითხი ჯერ არაა გადაწყვეტილი, სხვებთან მიმართებაში კი მსგავსი წინადადებები არც განიხილება.

საერთოდ, ამ ტურნირზე ბევრი რამ უნდა გაირკვეს, რადგან ის ერთგვარი წყალგამყოფიც შეიძლება აღმოჩნდეს ძველსა და ახალ თაობას შორის. თუმცა ძველი თაობა თითქმის აღარც შემორჩა ნაკრებში – ისინი თანდათან ჩაანაცვლეს ახლებმა, ანუ თაობათა ცვლა დაიწყო. სამწუხაროდ, ეს მტკივნეული პროცესი ჩვენთანაც მძიმედ წარიმართა – ახალგაზრდებმა ან მყარად ფეხის მოკიდება ვერ მოახერხეს ნაკრებში, ან ვინც დამკვიდრდა, დიდი წარმატებები ვერც იმათ მოიპოვეს, მხოლოდ ერთეულები იქცნენ სტაბილურ ფალავნებად. გაჩნდა აზრი, რომ ეს უპერსპექტივო თაობა იყო, თუმცა ბოლო ორ სეზონში მომდევნო ახალი თაობა წამოვიდა, რომელმაც თავის ასაკში ძალიან ბევრს მიაღწია და ეროვნულ გუნდშიც დიდი ამბიციებით შემოაბიჯა. მაგალითად, წლეულს ევროპის პირველობაზე 4 მედალი – 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო მოიპოვეს, მსოფლიოზე – 2-2 ოქრო-ვერცხლი და 1 ბრინჯაო. ორივე ტურნირზე რვა წონითი კატეგორიიდან უმედლოდ მხოლოდ 55-ში დავრჩით, რაც გუნდის სტაბილურობაზე მიუთითებს. ისიც სათქმელია, რომ ამ შეჯიბრებებზე შემადგენლობაც იცვლებოდა, რამაც უმეტესად გაამართლა. მაგალითად, მძიმე წონაში შოთა გოგისვანიძეს და 84-ში **რევაზ ნადარეიშვილს** ევროპაზე არ უჭიდავიათ, მსოფლიო კი მოიგეს. იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ორივეგან მოიპოვეს მედლები – **ზურაბ დათუნაიშვილი** (74) და **სერგო დიხამინჯია** (96) ევროპაზე მესამენი იყვნენ, მსოფლიოზე კი ფინალი იჭიდავეს (აღსანიშნავია, რომ დიხამინჯია უფროსებში საქართველოს შარშანდელი ჩემპიონია). ერთი საინტერესო ფაქტიც – მსოფლიოზე რვიდან ოთხი კაცი ანუ გუნდის ნახევარი ფინალში გავიდა, რაც მშვენიერი შედეგია. ბარემ აქვე სხვა მედალოსნებსაც შეგახსენებთ – **ქემალ ხარაბაძე** (60) მსოფლიოს პრიზიორი გახდა, **ნიკოლოზ ცეცხლაძე** (50) და **საჩინო დავითაია** (66) – ევროპის ვიცე-ჩემპიონები. საინტერესოა, რომ დავითაიამ შარშანაც იჭიდავა ევროპული ფინალი.

უეჭველია, ეს ახალგაზრდები ნლევანდელ ჩემპიონატში დიდი გეგმებით ჩაებმებიან. მით უფრო, ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი უჩნდებათ. სამწუხაროდ, ამ ნაკრებს ჯერ მხოლოდ ერთი ლიცენზია გააჩნია და მთელ რიგ წონებში სერიოზული საკადრო პრობლემებიცაა. დასახელებულთა უმრავლესობას ადრეც უჭიდავია ქვეყნის მთავარ შეჯიბრებაში და გამოცდილებაც აქვთ, ხარაბაძე და დიხამინჯია კი ჩემპიონებიც არიან.

დასასრულ, შეგახსენებთ, რომ „არენაში“ შეხვედრები 11 საათზე დაიწყება. 24-ში იჭიდავებენ 55, 66, 84 და 120 კილოგრამის ფალავნები, 25-ში – დანარჩენები.

**ირაკლი თავაძე**

ბოგბურთი

# კალაშნიკოვას დაბრუნება

ზუსტად 7 თვის იძულებითი უქმობის შემდეგ კორტებს 21 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** (347) დაუბრუნდა - ეს თურქეთის დედაქალაქ ანკარას საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი დოლარი) მოხდა. კალაშნიკოვას საფრანგეთის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ბადეში ასპარეზობის შემდეგ არსად უთამაშია, ზურგს მკურნალობდა. ამასობაში ჩვენებურმა რეიტინგში დაახლოებით 200 ადგილი დაკარგა (ოქსანას საუკეთესო შედეგი მსოფლიოს 156-ე ჩოგნობაა).

კალაშნიკოვა ანკარაში საკვალიფიკაციო ბადეში მოხვდა თანამემამულეებთან, **ეკა გორგოძესთან** (397), **სოფიო ქვაცაბაიასა** (433) და **თეონა ტატიშვილთან** ერთად. ოქსანა მე-3 ნომრად იყო განთესილი, ხოლო გორგოძე - მერვედ. კალაშნიკოვა პირველ წრეში ისვენებდა, გორგოძემ უკრაინელ **ხრისტინა კაზიმოვას** (839) მოუგო - 6:3, 7:5. დანარჩენი ორი ჩვენებური დამარცხდა - ქვაცაბაიამ მე-5 ნომრად განთესილ ბელარუს **პოლინა პეხოვასთან** (366) დათმო - 3:6, 5:7, ხოლო ტატიშვილმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია თურქ **ბუსრა კაირუნს** (1170) - 3:6, 0:6.

მეორე წრეში შედგა სწორედ კალაშნიკოვას დაბრუნება ჩოგბურთში, მან ხორვატ **დარია იურაკს** (733) სძლია - 6:3, 6:3. ამავე ანგარიშით მოუგო გორგოძემ იაპონელ **ჩიჰირო ტაკაიამას** (428). ორივე ჩვენებური ფინალურ რაუნდში გავიდა, სადაც კალაშნიკოვამ პეხოვას მოუგო - 6:2, 7:6 (6) და ძირითადი ბადის საგზური მოიპოვა. ძირითადი ბადე ჯერ სრულად არ დაკომპლექტებულა, ერთ ჩვენებურს კი იქ თამაში მაღალი რეიტინგით ერგო - **სოფიო შაფათავა** (265) 18 წლის პუერტორიკოელ **მონიკა პუიგს** (214) ხვდება.

ოქსანა კალაშნიკოვა

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

თავისუფალი ჭიდაობა



# ომზარ შოშიტაშვილის პირველი ტურნირი

გლდანში, ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, ღირსების ორდენის კავალერის, ჭიდაობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციის (ფილას) ორდენოსნის, სპორტის დამსახურებული მუშაკის, ჭიდაობის ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივნის **ომზარ შოშიტაშვილის** (1941-2010) პირველი მემორიალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

ომზარ შოშიტაშვილი ჭიდაობის თემის ნამდვილი რაინდი, ერთ დროს ყველა ჭიდაობის სახეობის გაერთიანების ხელმძღვანელი, ადამიანურ ურთიერთობებში კი ნამდვილი ჩემპიონი იყო.

ომზარის მეგობრებმა გლდანში საასპარეზოდ 280 ჭაბუკს მოუყარეს თავი, ამიტომაც დიდი ჯაფა დაადგა შეჯიბრების მდივანს, **თენგიზ ღამბაშიძეს.**

მომავალში ფედერაციის დახმარებით ომზარ შოშიტაშვილის სახელობის მემორიალური შეჯიბრება საერთაშორის მასშტაბის გახდება...

ოჯახის წევრებმა ომზარის სპეციალური პრიზით დააჯილდოეს 80 კილოგრამში გამარჯვებული - **კონსტანტინე გაბაშვილი** (გლდანი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

### კვარცხლბეკი

**2000-2002 წლებში დაბადებულები**

**23 კგ.** 1. გიორგი გოგრიჭიანი (ამბროლაური), 2. ოთარ მამულაშვილი (ბოლნისი), 3. იგორ აფციაური (ომც), 3. მიხეილ ჭელიძე (ბაღდათი).

**26 კგ.** 1. ირაკლი ლუხუტაშვილი (ქუთაისი), 2. გიორგი ნეკაშვილი (ქარელი), 3. თეიმურ კუნჭულია (ბაღდათი), 3. ბექა გიგაური (ქარელი).

**29 კგ.** 1. ნიკო გოგრიჭიანი (ამბროლაური), 2. გორა კირკიტაძე (ქუთაისი), 3. გიორგი გელაშვილი, 3. გიგი ბლიაძე ( ორივე - ხაშური).

**32 კგ.** 1 გიორგი ელბაქიძე (ამბროლაური), 2. ნიკა მათიაშვილი (აფხაზეთი), 3. ბაგრატ გაგნიძე (ქუთაისი), 3. გიგი გელაშვილი (ამბროლაური).

**35 კგ.** 1 ლადო გამყრელიძე, 2. ილია ჯეგბაშვილი (ორივე - ამბროლაური), 3. დავით კოლუაშვილი (ქუთაისი), 3. ვლადიმერ კაკაბაძე (ომც).

**38 კგ.** 1. ავთანდილ გოდელაშვილი (ხაშური), 2. გიორგი ჩოჩორავა (გლდანი), 3. შალვა გელაშვილი (ამბროლაური), 3. ლუკა ჯიქურაძე (მართვე).

**42 კგ.** 1. აკაკი გოგსაძე (ამბროლაური), 2. ლუკა დავითაშვილი (ომც), 3. როლანდ მანაშვილი (კარტოზიას სკოლა), 3. აგილ მამად-ოღლი (ქარელი).

**47 კგ.** 1. იუნის ბაირამოვი (ქარელი), 2. გიორგი ნანიშვილი (ქუთაისი), 3. ამირან მაისურაძე (ონი), 3. ოთარ ესართია (გლდანი).

**53 კგ.** 1. დავით ქოჩქიანი (დილომი), 2. ანზორ მელქოშვილი, 3. ბაჩანა კალანდია (ორივე - გლდანი), 3. რევერი მწითური (ხაბელოვის სკოლა).

**+53 კგ.** 1. ვანო გუგეშაშვილი (ონი), 2. ჭაბუკი გამყრელიძე (ამბროლაური), 3. იონა ბერაძე (თბ. 173 სკოლა), 3. მამუკა ხიზანიშვილი (ფალავანთა კლუბი).

**1997-1998 წწ. დაბადებულები**

**35 კგ.** 1. გიორგი ხაჩიძე (ხაშური), 2. ლევან ლელაძე (ბაღდათი), 3. ბესო კესარელი (ომც), 3. ლევან ფერიამაშვილი (თბილისი).

**38 კგ.** 1. ტარიელ ლეჟავა, 2. ბექა თევზაძე (ორივე - ქუთაისი), 3. ალიკო ლომიძე (ხაშური), 3. გოგა მამიაური (ომც).

**42 კგ.** 1 გიორგი სულავა (ქუთაისი), 2. გიორგი სამაკაშვილი (მართვე), 3. ბესო ჯაშიაშვილი (რუსთავი), 3. ირაკლი ნამალაიძე (მართვე).

**46 კგ.** 1. გაიოზ გონგლაძე, 2. თორნიკე კვინიკაძე (ორივე - ხაშური), 3. ანზორ ფირუზაშვილი (დილომი), 3. ვანო გოდელაშვილი (ხაშური).

**50 კგ.** 1. მამუკა ჩაჩუა (გლდანი), 2. გიორგი გოგოლაური (ფალავანთა კლუბი), 3. ცოტნე მიქელაშვილი (ხაშური), 3. ოთარ გაბელია (ხაბელოვის სკოლა).

**55 კგ.** 1. იმედა ქაშიაშვილი (გურჯაანი), 2. გიორგი ჭალიძე (კარტოზიას სკოლა), 3. გიორგი ჭიკაძე (დილომი), 3. სტეფანე ტატალაშვილი (ომც).

**60 კგ.** 1. ჯანგირ ახმედოვი (ქარელი), 2. მირზა სხულუხია (ქუთაისი), 3, საბა ჭილაია (რუსთავი), 3. ვალერი ლომთათაძე (ქუთაისი).

**66 კგ.** 1 მექი სიმონია (ქუთაისი), 2. დავით ფირუზაშვილი (დილომი), 3. ზაურ ბერაძე (ომც), 3. ლუკა თავზარაშვილი (ფალავანთა კლუბი).

**73 კგ.** 1. თორნიკე კიკნაძე (ხაბელოვის სკოლა), 2. შენგელი არაბული (სოფელი გამარჯვება), 3. ნიკოლოზ კურტანიძე (კარტოზიას სკოლა), 3. მიხეილ აბრამიშვილი (გლდანი).

**80 კგ.** 1. კონსტანტინე გაბაშვილი, 2. გიორგი შამათავა (ორივე - გლდანი), 3. გიორგი ებანოიძე (ფალავანთა კლუბი), 3. ბაჩანა მიქელაშვილი (ხაშური).

**+80 კგ.** 1. გივი მაჭარაშვილი (მცხეთა), 2. დავით კობახიძე (გლდანი), 3. ალექსი ჟორჟოლიანი (ქუთაისი), 3. თორენა სადოიანი (გლდანი).

**სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების, ძალაძების და რაიონების საყურადღებოდ!**

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

**ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ტყვიის სროლა. საქართველოს ჩემპიონატი

# პნევმატურმა ჩემპიონები გამოავლინა

გუშინ **ნინო სალუქვაძის** სახელობის ტირში დამთავრდა საქართველოს პირველობა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონის მიერ გახსნილ სასროლეთზე სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მოლოდინისამებრ, ქალთა შორის თავად სალუქვაძე უკონკურენტო იყო და გამარჯვება არც გასჭირვებია – საკვალიფიკაციოშიც საუკეთესო იყო 384 ქულით და ფინალშიც მეორე შედეგი აჩვენა – 98.6, ჯამში კი 482.6 მოუგროვდა. ფინალში მას სულ ცოტათი აჯობა ქუთაისელმა **ნინო უჩაძემ**, რომელიც ისევ დაუბრუნდა სპორტს. ის შესარჩევში 376 ქულით მეორე იყო, ფინალში კი საუკეთესო შედეგი ჰქონდა – 98.7, ჯამში 474.7 და ვერცხლის მედალი. დაძაბულად წარიმართა ბრძოლა ბრინჯაოსთვის, სადაც საკვალიფიკაციოს შემდეგ ისევ თბილისელი **ხათუნა ბერიკაშვილი** დაწინაურდა 373 ქულით, რომელიც ახალი სახელია ქართულ ტყვიის სროლაში. ადრე ის თურმე თოფით ისროდა, მაგრამ ამ დისციპლინის მინავლების შემდეგ პისტოლეტიდან სროლაზე გადმოვიდა, სადაც მწვრთნელად მუშაობს, სპორტსმენის რანგში კი პირველად მიიღო მონაწილეობა. ზუსტად ასეთივე გზა გაიარა თბილისელმა **თამილა ასათიანმა** – ისიც თოფოსნებიდანაა. ძირითადი ბრძოლაც მათ შორის წარიმართა, თუმცა - ფინალში, შესარჩევი კი ასათიანმა საკმაოდ სუსტად ჩაატარა – 367 ქულა და მხოლოდ მეხუთე ადგილი, რადგან დამატებითი მაჩვენებლებით თანაბარქულიან **ემილია სიმონიანსაც** ჩამორჩა. სამაგიეროდ, ნაკრების ძველმა წევრმა და გუნდურში ევროპის ვიცე-ჩემპიონმა ასათიანმა ფინალში ისროლა კარგად – 94.4 დააგროვა, ბერიკაშვილმა კი, პირიქით, დაბალი შედეგი აჩვენა – 79.1. ამდენად, ასათიანმა 461.4 ქულა დააგროვა და ბრინჯაოც მოიპოვა.

ვაჟებში სამივე საპრიზო ადგილი თბილისელებს ხვდათ წილად – ჩემპიონი გუნდის ლიდერი **ლევან ქადაგიძე** გახდა 563 ქულით, მომდევნო ადგილებზე კი 559-იანი **ბესიკ სირაძე** და **დავით ახვლედიანი** გავიდნენ, ოლონდ დამატებითი მაჩვენებლებით ვერცხლი სირაძეს ერგო.

გოგოებში დიდ ინტერესს იწვევდა კიდევ ერთი ქუთაისელის – **ნინო ფანჩულიძის** გამოსვლა, რომელმაც შარშან საკმაოდ მაღალი შედეგებით დაგვამახსოვრა თავი. სამწუხაროდ, ის ამჯერად ჩვეული ნარმატებით ვერ გამოვიდა, თუმცა ოქრო მაინც ქუთაისელებს დარჩათ – **ლიზი კილაძემ** 366 ქულით გაიმარჯვა. მეორეზე 363-იანი თბილისელი **ანა გაგილაძე** გავიდა, ფანჩულიძემ კი 362 დააგროვა. ახალგაზრდა ბიჭებშიც სამივე მედალი თბილისში დარჩა – ოქრო 556-ქულიან **მიხეილ სანიკიძეს** ერგო, ვერცხლი – 554-იან **ომარ სანოძეს**, ბრინჯაო – 550-იან **თენგიზ იმნაიშვილს**.

შოთა ქველიაშვილის სახელობის თასის გათამაშების შემდეგ, ეს ჩემპიონატი მეორე მოსამზადებელი ეტაპი იყო პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში 14-20 თებერვალს ფინურ ვირუმაეკიში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის. მანამდე ჩვენები 25-28 იანვარს მიუნხენის ტრადიციულად ძლიერ საერთაშორისო ტურნირში აპირებენ გამოსვლას, ევროპის პირველობის წინ, 1 თებერვლიდან კი დორტმუნდში სურთ შეკრების გავლა, თუმცა ეს ყველაფერი სპორტის სამინისტროზეა დამოკიდებული – დაფინანსებს თუ არა ფედერაციის ამ სურვილს. არადა, გერმანია ჩვენებისთვის ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა – მიუნხენის ტურნირში ხომ უცვლელად გამოდიან, როგორც მთელი მსოფლიოს მსროლელები, იქ შეკრებაზეც ხშირად ჩადიოდნენ. თუმცა ადრე ამას მიუნხენური შეჯიბრების წინ აკეთებდნენ, რადგან მაშინ ევროპის ჩემპიონატი შედარებით გვიან, მარტში იმართებოდა, ახლა კი თებერვალში გადმოიტანეს. რაკი მიუნხენის ტურნირიც იანვრის ბოლოს ტარდება, ვადები უკვე ემთხვევა ერთმანეთს – მიუნხენიდან დორტმუნდში (უფრო სწორად, მის სიახლოვეს, ქალაქ ბასუმში) გადავლენ შეკრებაზე, იქიდან კი ფინეთში წავლენ კონტინენტის პირველობაზე. ამით საქართველოსა და გერმანია-ფინეთს შორის რამდენჯერმე გადაფრენ-გადმოფრენასაც თავიდან აიცილებენ, თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ ბასუმში ბევრად უფრო ხელსაყრელ პირობებში, ღია სასროლეთსა და თანამედროვე ელექტროფარებზე მოემზადებიან.

**ირაკლი თავაძე**

პროფესიული კრივი

# ტორნადომ მეტოქე წალეკა

პროფესიულ კრივში WBC-ის ყველა ტიტული პრესტიჟულად მიიჩნევა. სწორედ აქ გაარღვია ჩაკეტილი წრე ქართველმა ოსტატმა **ავთანდილ ხურციძემ,** რომელიც კრივის სამყაროში „ტორნადოს" სახელითაა ცნობილი. 72,5 კილოში მას ამჯერად მეტოქეობას უწევდა განელი **ოსი დურანი.** ორთაბრძოლას უკრაინის ქალაქ ზაპოროჟიეს რინგმა უმასპინძლა. საკმაოდ მძიმე პაექრობა აღმოჩნდა. თავიდან განელი უფრო აქტიურობდა, იმდენი მოახერხა, რომ მესამე რაუნდში ხურციძე ნოკდაუნში აღმოჩნდა, თუმცა ეს არ ყოფილა კლასიკური ნოკდაუნი, ამიტომ ქართველი სპორტსმენი დროზე მოეგო გონს და განელს ქარიშხალი დაატეხა თავს - ზუსტი დარტყმებით მეტოქე, ფაქტობრივად, წალეკა. დროდადრო ოსის კონტრშეტევები მიზანს ვერ აღწევდა, რადგან ხურციძე კარგად იცავდა თავს. საბოლოოდ ორმა მსაჯმა გამარჯვება ქართველს არგუნა, ერთმაც ფრე დააფიქსირა. ამ წარმატებისთვის საბჭოს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის „ვერცხლის ქამარი" ერგო.

საგულისხმოა, რომ ამ წონაში მსოფლიოს ჩემპიონად მექსიკელი **ხულიო-სესარ ჩავესი** მიიჩნევა, „საპატიო" ჩემპიონი და „ბრილიანტის ქამრის" მფლობელია არგენტინელი **სერხიო მარტინესი,** ტიტულის მთავარი პრეტენდენტია მექსიკელი **მარკო რუბიო.** ქართველი მოკრივე მათს ამქარში გაერია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად, ცხადია, ამ სახელოვან სპორტსმენებთან მოუნევს პაექრობა.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ჯავახაძე დაწინაურდა

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში გუშინ მე-5 ტურის პარტიები გათამაშდა. გაუწყებთ მეწინავეთა შეხვედრების შედეგებს: ირაკლი ბერაძე-ზურაბ ჯავახაძე 0:1, გაიოზ ნიგალიძე-გიგა ყუფარაძე 0,5:0,5, შოთა აზალაძე-გიორგი გამზარდია 1:0, ირაკლი ჯანიაშვილი-ივერი ჭილლაძე 0,5:0,5, ბაჩანა მორჩიაშვილი-გიორგი ნიკოლაშვილი 1:0, გიორგი ხელაია-დავით ლომსაძე 0:1, ჯამბულ მახარაძე-გიორგი სიბაშვილი 1:0.

ხუთი ტურის შემდეგ 4,5 ქულით ჯავახაძე დაწინაურდა. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ყუფარაძე, ლომსაძე, აზალაძე და მორჩიაშვილი ჩამორჩებიან. 8 მოჭადრაკეს 3,5-3,5 ქულა აქვს.

მე-6 ტურში ითამაშებენ: ჯავახაძე-აზალაძე, ყუფარაძე-მორჩიაშვილი, ლომსაძე-ბრეგაძე, ჯანიაშვილი-ნიგალიძე, ჭილლაძე-ბერაძე, ვოლკოვი-მახარაძე, ნიკოლაშვილი-ჭიპაშვილი.

**ვაჟა დანელია**

რეგიონი. შეწყვეტილი ოცნება

# ნახევარრემონტი გორის სპორტსკოლაში

დათქმული თარიღის მიუხედავად, ჯერაც ვერ დასრულდა გორის ცენტრალური სასპორტო სკოლის შენობის სარემონტო სამუშაოები. ან უკვე სკოლის ყოფილმა დირექტორმა **იაგო ჯალაბაძემ** სამუშაობის დასაწყისში (ივნისში) გვითხრა, რომ სასპორტო სკოლის რეაბილიტირებული შენობა ოქტომბერში გაიხსნებოდა. მაგრამ დღეისათვის შენობის მხოლოდ ნაწილია გარემონტებული. ეს კი, ბუნებრივია, აფერხებს სპორტსმენთა დაოსტატების პროცესს. არადა, სკოლის აღზრდილებს ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების იმდენი მედალი აქვთ მოპოვებული, ბევრ ქვეყანასაც რომ შეშურდება. რემონტი, გორის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, გამიზნულად დაემთხვა ზაფხულის არდადეგებს, რათა სპორტულ ჯგუფებს მუშაობაში ხელი არ შეშლოდათ. ყველაზე საშური ღია ცის ქვეშ დარჩენილი თავისუფალი ჭიდაობის უმცროსი და ახალგაზრდული გუნდების სადმე დროებით განთავსება იყო. ისინი ჯერ **გურამ პაპიტაშვილის**

ნანახევროდ გარემონტებული გორის სასპორტო სკოლა

დარბაზში მიიყვანეს, შემდეგ კი, ვინაიდან ძიუდოს სექციაც იქ შეიხიზნა, ცოტა ხანში გორის მესამე საჯარო სკოლაში გადაიყვანეს. სასნავლო წლის დაწყების შემდეგ კი **ნუგზარ სხირელის** ფალავნები უკვე მესამე საჯარო სკოლისთვისაც ზედმეტნი(!) აღმოჩნდნენ და ერთი თვის წინათ სასპორტსკოლის მარჯვენა ფლიგელის რემონტის დასრულებისთანავე სასწრაფოდ ძველ ადგილზე დაუბრუნეს. მალე სამუშაოები სულაც შეჩერდა. დღესდღეობით კი, როგორც აღვნიშნეთ, ნახევარი შენობაა გარემონტებული. ცოტა ხნის წინათ მოჭიდავეთა დარად სხვა სახეობების სპორტული ჯგუფებიც დაბრუნდნენ გარემონტებულ ფართეზში, თუმცა ძიუდოს, ჭადრაკის, ტანვარჯიშის სექციებს ჯერაც ვერ მიეცათ მეცადინეობის დაწყების საშუალება. ისინი ხიზნებად რჩებიან ქალაქის სხვა დარბაზებში. როგორც სასპორტო სკოლის ახალდანიშნულმა დირექტორმა **გიორგი ნასყიდაშვილმა** გვითხრა, სპორტსკოლის შენობის დარჩენილი ნაწილის გასარემონტებლად ხელახლა გამოცხადებული ტენდერი და გამარჯვებული ფირმა მომავალი წლიდან შეუდგება მუშაობას. აღმოჩნდა, რომ თავიდან შენობა სარემონტო ტენდერში გამარჯვებულ ორ სხვადასხვა ფირმას ჰქონდა შუაზე გაყოფილი. ერთმა საქმე შეასრულა, მეორეს კი... არც დაუწყია.

ჯერჯერობით, გორის ცენტრალური სასპორტო სკოლის შენობა ერთი მხრიდან (გარემონტებული) მტერს უხეთქავს გულს, მეორე მხრიდან (გაურემონტებელი) კი მოყვარეს...

**ვასილ ბალახაძე**

გორიდან

დავით ასპანიძის ფოტო

ჭადრაკი. მსოფლიოს ჩემპიონატი

ნანა ძაგნიძე (მარცხნივ) და ელინა დანიელიანი

# ფავორიტები სათავეში მოექცნენ

მოჭადრაკე ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატს სულ სამი წლის ისტორია აქვს. წინა ორ ტურნირში, რომლებსაც რუსულმა ეკატერინბურგმა და ჩინურმა ნინბომ უმასპინძლეს, ოქროს მედლები ჩინელებმა მოიპოვეს, მეორე-მეოთხე ადგილებზე ორჯერვე, შესაბამისად, რუსები, უკრაინელები და ქართველები გავიდნენ. ჩინელები ამჯერადაც უძლიერესი შემადგენლობით ასპარეზობენ და, როგორც ტურნირის რეიტინგფავორიტები, ტიტულის შესანარჩუნებლად იბრძოლებენ. ნაკრებს ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი მეწინავეობს. საგულისხმოა, რომ 2007 წელს ეკატერინბურგში მისი და ლელა ჯავახიშვილის შეხვედრა ქართველი დიდოსტატის გამარჯვებით დამთავრდა. ამის მიუხედავად, იფანმა მე-2 დაფაზე 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით მცირე ოქროს მედალი დაისაკუთრა. 8-დან 6 ქულით მეორე იყო ჯავახიშვილი. ამ დაფაზე ბრინჯაო უკრაინელ ანა უშენინას ხვდა.

მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის ვერცხლის პრიზიორი რუსეთის ნაკრები ბოლო ორი წელიწადია, ფაქტობრივად, უცვლელი შემადგენლობით გამოდის. დები კოსინცევები - ტატიანა და ნადეჟდა წინა შეჯიბრებებშიც მონაწილეობდნენ, ზედიზედ ორჯერ ევროპის გუნდური ჩემპიონობა მოიპოვეს, ხანტი-მანსიისკში კი მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა მოიგეს პირად პირველობაში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკთან და ვალენტინა გუნინასთან ერთად. ეს კვარტეტი მარდინშიც ერთადაა. უკრაინელებს, რატომღაც, ორგზის ევროპის ჩემპიონმა კატერინა ლახნომ უგანა. თუმცა, იგი გუნდში 2009 წელსაც არ თამაშობდა. სამაგიეროდ, ჩინური ბრინჯაოს მფლობელთაგან გუნდში არიან ანა უშენინა, ნატალია ჟუკოვა, მარია მუზიჩუკი, 2007 წლის ნაკრებიდან კი ინა გაპონენკო და ტატიანა ვასილევიჩი დააბრუნეს. სხვათა შორის, გაპონენკომ მე-3 დაფაზე მაშინ მცირე ოქრო, ვასილევიჩმა კი მეოთხეზე ბრინჯაო დაიმსახურეს.

ჩემპიონატების უცვლელი მონაწილეა სომხეთის ძლიერი ნაკრები, რომელიც გუშინ საქართველოს ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა. პირველ დაფაზე შესანიშნავად ითამაშა 2008 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულმა **ნანა ძაგნიძემ**, რომელმაც ელინა დანიელიანს - 37-ე სვლაზე გააჩერებინა საათი, რაც ამ შეხვედრაში გადამწყვეტი აღმოჩნდა, რადგან მომდევნო სამ დაფაზე დაზავდნენ: ლილით მკრტჩიანი-**ლელა ჯავახიშვილი, ბელა ხოტენაშვილი**-ლილით გალოიანი, მარია კურსოვა-**ნინო ხურციძე.** საბოლოო ანგარიშია 2,5:1,5 ჩვენების სასარგებლოდ.

დანარჩენი შეხვედრები: **უკრაინა - რუსეთი 1:3** (ანა უშენინა - ნადეჟდა კოსინცევა 0,5:0,5, მარია მუზიჩუკი - ტატიანა კოსინცევა 0:1, ნატალია ჟუკოვა - ალექსანდრა კოსტენიუკი 0,5:0,5, ტატიანა ვასილევიჩი - ვალენტინა გუნინა 0:1), **საბერძნეთი - ვიეტნამი 1,5:2,5** (ელენა დემბო - ნგუენ ფჭამ ლე ტაო 0,5:0,5, მარინა მაკროპულუ - ჰოანგ თი ბაო თრამი 0:1, ეკატერინი პავლიდუ - ნგუენ თი მაი ჰუნგი 0,5:0,5, ზოი იორდანიდუ - ნგუენ თი თან ანი 0,5:0,5), **ჩინეთი - სამხრეთ აფრიკა 4:0** (ცზიუ ვენძიუნი - სესილ ვან დერ მერვე 1:0, ჟაო სიუე - ანზელ სოლომონსი 1:0, თან ჟონი - დენის ფრიკი 1:0, ჟან სიაოვენი - ლორენ ვან ნიეკერი 1:0), **ინდოეთი - თურქეთი 3,5:0,5** (ჰამფი კონერუ - ბეთულ ილდიზი 1:0, ტანია საჩდევი - კუბრა ოზთურქი 0,5:0,5, როუთ რადმინი - კარდელენ კემჰანი 1:0, სვამინათან სოუმია - ებრუ კაპლანი 1:0).

ორი ტურის შემდეგ 4-4 ქულით **საქართველო** (საერთო მონაგარი 6,5 ქულა), **ჩინეთი** (6,5) და **რუსეთი** (5,5) ლიდერობენ. შემდეგ მოდიან: ინდოეთი-3 (5,5), სომხეთი-2 (5,5), ვიეტნამი-2 (4), უკრაინა-1 (3), თურქეთი-0 (2), საბერძნეთი-0 (1,5), სამხრეთ აფრიკა-0 (0).

დღეს მესამე ტურში ითამაშებენ: **ვიეტნამი-საქართველო**, თურქეთი-უკრაინა, სამხრეთ აფრიკა-ინდოეთი, სომხეთი-ჩინეთი, რუსეთი-საბერძნეთი.

**ვაჟა დანელია**

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ. ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

# ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲘ ᲛᲝᲮᲡᲜᲔᲑᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚ ნომერში შემოგთავაზეთ მოკლე მიმოხილვა „ბენეტონი“-“დინამო სასარის“ მატჩისა, რომელშიც **ნიკა მეტრეველმა** 14 წუთში 16 ქულა ჩააგდო. დღეს კიდევ ორ „ქართულ“ კლუბზე „კანტუსა“ და „ვირტუსზე“ შევჩერდებით.

## ᲛᲝᲜᲤᲔ-ᲠᲐᲢᲝᲛ?

მართალია, ზედიზედ ოთხი მატჩის შემდეგ **ვიქტორ სანიკიძემ** ტრადიცია დაარღვია და ორმაგი დუბლი ვერ შეასრულა, მაგრამ იტალიის ჩემპიონატის გასულ ტურს ქართული „დაბლ-დაბლის“ გარეშე მაინც არ ჩაუვლია. „კანტუს“ ქართველმა ცენტრმა **გიორგი შერმადინმა** „მონფერატოსთან“ 65:69 წაგებულ მატჩში 11 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ სერია A-ს ამ ტურში გიორგის 12 მოხსნა ყველაზე მაღალი შედეგი იყო.

შერმადინმა 29 წუთი ითამაშა, 6-დან 4 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა, რასაც 2 დაფარებაც წაამატა. ქართველმა ცენტრმა ბურთი ოთხჯერ დაკარგა, სამჯერ დაჯარიმდა, მასზე კი თამაშის წესები მეტოქეებმა ორჯერ დაარღვიეს. „კანტუს“ სტაჟიანმა ნეკრმა **მანუჩარ მარკოიშვილმა** 22 წუთში 5 ქულა (3-დან 0 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი, 2 საჯარიმო), 2 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა. რატომ წააგო „კანტუმ“ „მონფერატოსთან“ ძნელი სათქმელია, თუმცა არ უნდა, დაგვავიწყდეს, რომ კანტუელები პარალელურად ევროლიგაზე ასპარეზობენ და ზოგჯერ ჩემპიონატის მატჩებისთვის კონცენტრირება უჭირთ.

„კანტუს“ „ვირტუსის“ დარად 6 მოგება და 4 მარცხი აქვს, თუმცა ბურთების შეფარდების გათვალისწინებით ცხრილში მე-7 პოზიციაზე იმყოფება. „ვირტუსი“ მეოთხე ადგილზეა. მომდევნო ტურში, 27 დეკემბერს, კანტუელები მილანის „არმანი ჯინსს“ უმასპინძლებენ. ვირტუსელები კი ტრევიზოს „ბენეტონს“ უმასპინძლებენ.

## ᲕᲘᲠᲢᲣᲡᲛᲐ ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲐ ᲒᲐᲐᲪᲘᲐ

როგორც უკვე მოგახსენეთ, ვიქტორ სანიკიძის ორმაგი დუბლების სერია მეხუთე მატჩში შეწყდა. თუმცა მას არც ამჯერად უთამაშია ურიგოდ. რაც მთავარია, მისმა გუნდმა გაიმარჯვა, რაშიც სანიკიძემ სოლიდური წვლილი შეიტანა.

„ვირტუსი“ ბოლონაში „ვენეციას“ მასპინძლობდა და მეტოქე - 88:80 დაამარცხა. სანიკიძე ხუთეულში იყო და მოედანზე 30 წუთი გაატარა. ამ ხნის მანძილზე ვიქტორმა 3-დან 3 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 10–დან 7 საჯარიმო ჩააგდო. შესაბამისად, მის ანგარიშზე 16 ქულაა, რასაც 3 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მოაყოლა. ვიქტორმა ბურთი სამჯერ დაკარგა, 2 პერსონალური მიიღო, მასზე კი მეტოქეები 6-ჯერ დაჯარიმდნენ.

ბოლონიელთა შორის საუკეთესო შედეგი **ჯუზეპე პოეტამ** აჩვენა, რომელმაც 17 ქულა მიითვალა, **ანჯელო ჯილიმ** კი ქართველი ფორვარდის დარად 16 ქულა მოაგროვა.

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ

# ᲞᲔᲘᲜᲡᲘᲡ 35 ᲥᲣᲚᲐ ᲓᲐ MVP-ᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝ

**ᲘᲒᲝᲠ ᲙᲝᲙᲝᲨᲙᲝᲕᲐ** კვირა დილას მითხრა - მომავალში შეიძლება აზრი შევიცვალო, მაგრამ ამ ეტაპზე ვფიქრობ, რომ ჩვენი ნაკრების ღირსება **მარკიზ ჰეინსმა**, ან **ტორინ გრინმა** უნდა დაიცვასო. ამ განცხადებიდან სამიოდ საათში ჰეინსი მოედანზე გავიდა და თავის ევროპულ კარიერაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

მარკიზისა და ტორინის „გრან კანარია“ სტუმრად „ვალიადოლიდს“ ეთამაშა და მიმდინარე სეზონში პირველი გასვლითი მატჩი რომ მოიგო, საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულ მოთამაშეს უნდა უმადლოდეს. მარკიზ ჰეინსმა 30 წუთში მეტოქეს 35 ქულა ჩაუგდო და კანარიელებს გამარჯვება გაუნაღდა - 89:70.

მისი თამაში გამოცემა ACB-ში განსაკუთრებითაა აღნიშნული, სათაურით: „ჰეინსი გაგიჟდა“: „საქართველოს პასპორტის მქონე ამერიკელმა, მარკიზ ჰეინსმა ვალიადოლიდში დიდებული მატჩი ჩაატარა. მან საწყის 12 წუთში 23 ქულა ჩააგდო, ხოლო დიდ შესვენებაზე 25-ით გავიდა. საბოლოოდ 8-დან 5 ორქულიანი, 10-დან 5 სამიანი და 13-დან 11 საჯარიმო ჩააგდო. მისებრ 35 ქულა გასულ სეზონში **ჯეის ქეროლს** ჰქონდა, რომელიც მიმდინარე სეზონის დასაწყისში მადრიდის „რეალში“ გადავიდა.“

„ევრობასკეტმა“ მარკიზი ესპანეთის ჩემპიონატის მე-12 ტურის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელა: „ჰეინსის 35 ქულა „გრან კანარიას“ „ვალიადოლიდის“ სტუმრად დამარცხებაში, ხოლო მარკიზს ტურის საუკეთესოდ აღიარებაში დაეხმარა. ამერიკელ კალათბურთელს სეზონში საშუალოდ 12.5 ქულა აქვს, თუმცა ამჯერად მაღალი პროცენტული სიზუსტით ისროლა როგორც ორქულიანები (62.5), ასევე სამიანები (50.0).“

ბოლოს დავძენთ: საქართველოს ნაკრების კიდევ ერთმა ნატურალიზებულმა ტორინ გრინმა „გრან კანარიას“ მაისურით მხოლოდ 3 წუთი ითამაშა და 1 ქულა მიითვალა.

16-ᲬᲚᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

# ᲙᲐᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲗ ᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ

21 ᲓᲐ 22 დეკემბერს საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები 2 ამხანაგურ მატჩს გამართავს სომეხ თანატოლებთან. შეხვედრები ვაკეში მდებარე „საკალათბურთო აკადემიის“ დარბაზში გაიმართება. საქართველოსა და სომხეთის პირველი სპარინგ-მატჩი 21 დეკემბერს 21 საათზე გაიმართება, ხოლო მეორე შეხვედრა 17 საათზე დაიწყება.

საქართველოს კადეტთა გუნდის მთავარი მწვრთნელის, **გია კაზანჯიანის** განცხადებით, ამ შეხვედრებში ნაკრების კანდიდატები გამოიცდებიან. თავის გამოჩენის შანსი ყველა კალათბურთელს მიეცემა, რომლებიც საქართველოს შესაბამისი ასაკის ჩემპიონატში გამორჩეულად ასპარეზობენ.

შეგახსენებთ, რომ 16-წლამდელებს 2012 წელს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ელით. შეჯიბრება რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში 19 ივლისს დაიწყება. 21 გუნდი 4 ჯგუფადაა გაყოფილი. თითოდან მომდევნო ეტაპზე 2-2 საუკეთესო გავა და შედგება ორი ქვეჯგუფი. შემდეგი ეტაპი ნახევარფინალებია, ხოლო ორი ფინალისტი 2013 წლის კადეტთა ევროპის ჩემპიონატის საგზურს მიიღებს.

**A ჯგუფი:** ისრაელი, ლუქსემბურგი, ფინეთი, შვედეთი, ბელარუსი.

**B ჯგუფი:** ბულგარეთი, სლოვაკეთი, მაკედონია, დანია, ბელგია.

**C ჯგუფი:** საქართველო, ჩერნოგორია, ბოსნია, ესტონეთი, რუმინეთი.

**D ჯგუფი:** უნგრეთი, ნორვეგია, ავსტრია, შვეიცარია, ჰოლანდია, პორტუგალია.

**C ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ**

**19 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ**

ᲑᲝᲡᲜᲘᲐ-ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ

**20 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ**

ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲐ-ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲑᲝᲡᲜᲘᲐ

**21 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ**

ᲑᲝᲡᲜᲘᲐ-ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ

**22 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ**

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ-ᲑᲝᲡᲜᲘᲐ
ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲐ-ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ

**23 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲐ
ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ-ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
**ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ**

ᲤᲝᲢᲝᲒᲐᲚᲔᲠᲘᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ ᲗᲣ ᲪᲔᲙᲕᲐ?

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲠᲐᲓᲘᲝ
ᲯᲐ — ᲙᲝ
Ja — Ko
FM 96.3

XI ᲢᲣᲠᲘ

23 დეკემბერი
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ-ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ 17:00

23 დეკემბერი. ᲠᲣᲮᲗᲐᲕᲘ
ᲠᲣᲮᲗᲐᲕᲘ-ᲨᲡᲚ 15:00

24 დეკემბერი
ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ
ᲠᲝᲢᲘᲛᲘ-ᲐᲠᲜᲘᲐ 14:00
ᲡᲪᲣ-ᲡᲝᲮᲣᲛᲘ 16:00
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 18:00

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# პირველიც და ბოლოც ჩვენია

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მე-14 ტურის შემდეგ, პირველი და ბოლო ადგილები ქართველ მორაგბეთა გუნდებს უჭირავთ. პლეი ოფში მოხვედრის შანსს კი, ჯერჯერობით, მხოლოდ ორი ინარჩუნებს.

**გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლმა", რომელიც დივიზიონს 47 ქულით ლიდერობს, შინ დაამარცხა უშუალო კონკურენტი, მეორეადგილოსანი „დაქსი" - 18:16. შედეგად „ალპელებმა" უახლოეს მდევარს ხუთი ქულით გაუსწრეს. მენაბდიშვილი განაცხადში არ იყო.

**დავით ლოსაბერიძესა** და **ზერო პეტრიაშვილის** „პომ" სტუმრად წააგო „ოიონაქსთან" მშრალი ანგარიშით 0:26. ამ მარცხის გამო ჩვენებურთა გუნდი სატურნირო ცხრილში ერთი საფეხურით დაქვეითდა და ახლა 38 ქულით მეოთხე ადგილზეა. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

**თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგომ", რომელიც 14 ქულით აუტსაიდერია, შინ მინიმალური სხვაობით წააგო **მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბთან" - 21:22.

მარგველაშვილი თამაშში მე-40 წუთიდან ჩაერთო, დადუნაშვილი მოედანზე 12 წუთის შემდეგ გამოჩნდა, ძირითად შემადგენლობაში იყო მაგრაქველიძეც, რომელიც 44-ე წუთზე შეცვალეს, ზიბზიბაძე და მირცხულავა განაცხადში არ იყვნენ.

**ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკმა" შინ მოუგო ლანგედოკურ „ბეზიეს" - 19:13. სამივე ქართველი მორაგბე ძირითად შემადგენლობაში იყო, დათუნაშვილმა სრულად ითამაშა, ასეიშვილი და ნაცარაშვილი კი ერთდროულად შეცვალეს 41-ე წუთზე.

**II დივიზიონი**

**XIV ტური**

**ოში-მონ დე მარსანი 15:9, ორიაკი-ბეზიე 19:13, ლა როშელი-ექსი 34:3, ნარბონი-კარკასონი 12:14, ოიონაქსი-პო 26:0, გრენობლი-დაქსი 18:16, ალბი-ბურგუენი 41:17, პერიგო-ტარბი 21:22.**

**საბურნირო მდგომარეობა**

**1. გრენობლი - 47 ქულა, 2. დაქსი - 42, 3. მონ დე მარსანი - 39, 4. პო - 38, 5. ლა როშელი - 38, 6. ოიონაქსი - 37, 7. კარკასონი - 37, 8. ალბი - 36, 9. ბურგუენი - 35, 10. ექსი - 35, 11. ტარბი - 34, 12. ოში - 31, 13. ორიაკი - 26, 14. ნარბონი - 19, 15. ბეზიე - 17, 16. პერიგო - 14.**

ფედერალ 1 დივიზიონში რამდენიმე შეხვედრა გადაიდო. ამიტომ საბურნირო ცხრილი სრულად არ ასახავს გუნდებს რეალურ მდგომარეობას. თუმცა, A ჯგუფში ქართველ მორაგბეთა გუნდები ცხრილის სათავეში მაინც მყარად არიან გამაგრებულნი.

გათამაშების ლიდერმა **დავით ბოლღაშვილის** „ლილმა" შინ დაძაბულ ბრძოლაში შეძლო **შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასის" დამარცხება - 6:3. ლილელებმა ამ გამარჯვებით 37 ქულა დააგროვეს პარიზულ გუნდს რვა ქულით გაუსწრეს.

**ავთანდილ კოპალანისა** და **შოთა საყვარელიძის** „ორლეანმა" შინ გაანადგურა **რეზო გიგაურის, ნიკოლოზ გიორგაძისა** და **დიმა ხოჭოლავას** „ბულონი" - 55:3. ორლეანელები 13 ქულით ბოლოსწინა ადგილზე არიან. „ბულონი" კი ერთადერთი გუნდია მთელ დივიზიონში, რომელსაც ჯერ ქულა არ მოუპოვებია.

**გიორგი მჭედლიშვილის** „დიჟონმა" შინ დაამარცხა „სტრასბური" 31:13. **ელიზბარ ყუფარაძისა** და **დევი დათუნაშვილის** „მონლუსონის" შეხვედრა შინ „მაკონთან" გადაიდო.

**A ჯგუფი**

**ლილი-მასი 6:3, დიჟონი-სტრასბური 31:13, ორლეანი-ბულონი 55:3, მონლუსონი-მაკონი (გადაიდო), ბობინი-ნევერი (გადაიდო).**

**საბურნირო მდგომარეობა**

**1. ლილი - 37 ქულა, 2. მასი - 29, 3. მონლუსონი - 24, 4. ნევერი - 23, 5. მაკონი - 23, 6. დიჟონი - 23, 7. ბობინი - 20, 8. სტრასბური - 15, 9. ორლეანი - 13, 10. ბილონი - 0.**

B ჯგუფში ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან საუკეთესო შედეგი ჯერჯერობით **გია ლაბაძის, რეზო ბელქანიასა** და **ვახტანგ მაისურაძის** „ლე სეინს" აქვს, რომელიც მე-9 ტურში სტუმრად დამარცხდა „კასტანესთან" - 9:19. ჩვენებურთა გუნდს ახლა 26 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა.

„ლა სეინს" ხუთი ქულით ჩამორჩება და მე-5 ადგილზეა **გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარი", რომელმაც შინ იოლად სძლია **თენგიზ გელანტიას** „ნიმს" - 26:8.

თავის ისტორიაში რეკორდული ანგარიშით გაიმარჯვა **დავით კაჭარავასა** და **ნიკოლოზ მაღალდაძის** „ნიცამ". კოტ დაზურელებმა შინ აუტსაიდერი „პოკენი" გაანადგურეს - 94:0. „ნიცას" შედეგად 16 ქულა დაუგროვდა და მე-8 ადგილზეა.

**ირაკლი მაჩხანელის** „სენტ ეტიენმა" კი შინ წააგო სატურნირო ცხრილის მეზობელ **ირაკლი ნინიძის** „რომანთან" - 20:33. ეს უკანასკნელი ახლა მეტოქეს ერთი ქულით უსწრებს და მე-6 ადგილზეა.

**B ჯგუფი**

**ბურგ ან ბრესი-მონტობანი 28:9, სენტ ეტიენი-რომანი 20:33, შატორენარი-ნიმი 26:8, ნიცა-პოკენი 94:0, კასტანე-ლა სეინი 19:9.**

**საბურნირო მდგომარეობა**

**1. ბურგ ან ბრესი - 34 ქულა, 2. მონტობანი - 30, 3. ლა სეინი - 26, 4. კასტანე - 26, 5. შატორენარი - 21, 6. რომანი - 19, 7. სენტ ეტიენი - 18, 8. ნიცა - 16, 9. ნიმი - 11, 10. პოკენი - 3.**

C ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ერთი გუნდია და ისიც აუტსაიდერია. **მერაბ კვირიკაშვილის, გიორგი ჩახაიძის, რობერტ აბესლამიძისა** და **დავით ოზგებაშვილის** „სენ ჟუნიენი" შინ დამარცხდა „ვანთან" - 12:16 და როგორც უკვე ვთქვით, 14 ქულით ბოლო ადგილზეა.

**C ჯგუფი**

**სენ ჟუნიენი-ვანი 12:16, სენ ჟან დე ლუზი-კოლომიე 3:9, მორლაა-ლანჟონი 18:22. სენ მედარი-ლავორი (გადაიდო), სენ ნაზერი-აგეტმო (გადაიდო).**

**საბურნირო მდგომარეობა**

**1. კოლომიე - 38 ქულა, 2. ვანი - 22, 3. ლავორი - 22, 4. ლანჟონი - 21, 5. სენ ჟან დე ლუზი - 18, 6. სენ მედარი - 18, 7. სენ ნაზერი - 16, 8. აგეტმო - 15, 9. მორლაა - 15, 10. სენ ჟუნიენი - 14.**

D ჯგუფშიც ერთი ქართული გუნდია. **დიმიტრი ბასილაიასა** და **გიორგი ნემსაძის** „ვალანს დაჟენის" მატჩი სტუმრად „მოლეონთან" გადაიდო. ჩვენებურთა გუნდი ამჟამად 24 ქულით მეოთხე ადგილზეა.

**D ჯგუფი**

**ბლანიაკი-ოლორონი 9:8, ლანამეზანი-რიბერაკი 15:13, ტიროსი-ლიმოჟი 31:13, მარმანდი-ლურდი (გადაიდო), მოლეონი-ვალანს დაჟენი (გადაიდო).**

**საბურნირო მდგომარეობა**

**1. ტიროსი - 32 ქულა, 2. ლიმოჟი - 28, 3. ლურდი - 25, 4. ვალანს დაჟენი - 24, 5. ოლორონი - 22, 6. ბლანიაკი - 22, 7. ლანამეზანი - 22, 8. მარმანდი - 10, 9. მოლეონი - 9, 10. რიბერაკი - 7.**

მეტოქეები

# რუმინეთის ნაკრებს ჭინკუ უთავკაცებს

ევროპის ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქეს, რუმინეთის ეროვნულ გუნდს დროებითი მწვრთნელები დაუნიშნეს. აწ უკვე ყოფილებს **რომეო გონტინიაკს** და **სტივ მაკდაუელს** რუმინეთის რაგბის ფედერაციამ კონტრაქტები აღარ გაუგრძელა და, შესაბამისად, ახალი მწვრთნელების ძიებაშია.

მანამდე, კი „სტეუარის" დროებით მთავარი მწვრთნელი ნაკრების კაპიტანი და ფრანგული „პერპინიანის" შერკინების კვაჭი **მარიუს ტინკუ** იქნება. მას დაეხმარებიან **ჰარი დუმიტრაში** და **ევგენი აპიოკი.** დუმიტრაში „ბუქარესტის" ტექნიკური დირექტორია, აპიოკი კი „ბაია მარეს" მწვრთნელი.

როგორც რუმინეთის რაგბის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, მწვრთნელთა ეს შემადგენლობა „მუხის ფოთლებს" ერთა თასის პირველ ორ შეხვედრაში უხელმძღვანელებს. რუმინელები 4 თებერვალს პორტუგალიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან, მომდევნო ერთი კვირისთავზე კი აუტსაიდერ უკრაინას ეთამაშებიან.

მსოფლიოს თასის ექო

# სონი ბილი გვემშვიდობება?

ახალი ზელანდიის ნაკრების შუამარბი **სონი ბილ ვილიამსი,** რომელიც „ოლ ბლექსთან" ერთად წლეულს მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა, რაგბი ლიგიდან რაგბიში სამი წლის წინათ გადაბარგდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის ისევ უკან, რაგბი ლიგაში დაბრუნებას აპირებს.

თუმცა სონი ბილი ამას მომდევნო, 2012 წელს ვერაფრით შეძლებს, რადგან ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს „ვაიკატოსთან". ავსტრალიური გაზეთის, „სიდნეი ტელეგრაფის" ცნობით კი ვილიამსს სიდნეის შემოგარენში დასახლება სურს. ამასთან ერთად, გაზეთის ცნობით, ის ფარულად მოლაპარაკებებს აწარმოებს თავის სამომავლო კარიერასთან დაკავშირებით.

ეს ინფორმაცია საკმაოდ დიდ გაურკვევლობას იწვევს. რადგან დიდი ხანი არ არის, რაც სონი ბილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რაგბიდან წასვლას არ აპირებს და ძალიან მოსწონს „ოლ ბლექსში" თამაში.

*„ახალი ზელანდიის ნაკრები შესანიშნავი გუნდია. შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს მგეზავ აარონ კრადენთან, ბრწყინვალე მოთამაშეა რიჩარდ კაჰუი. ძალიან მინდა ბევრი ვიმუშავი და ისეთივე დიდი მორაგბე გავხდე, მაა ნონუ რომ არის,"* - თქვა მან.

როგორც გაირკვა, სონი ბილ ვილიამსის თავის რიგებში ხილვა ორ ავსტრალიურ გუნდს, „პარამატა ილზს" და „სიდნეი როსტერსს" სურს. პირველი ვილიამსის მშობლიური გუნდია და იქ ბევრი მეგობარი ჰყავს. მეორეს მფლობელი მულტიმილიონერი **ნიკ პოლიტისია,** რომლის „სქელ ქისასაც" იოლად შეუძლია სონი ბილი გადაიბიროს.

ერთი სიტყვით, ჯერ გარკვეული არაფერია და მსოფლიოს რაგბის სამყარო, მოუთმენლად ელის მოვლენების განვითარებას. ყველას აინტერესებს, დაგვემშვიდობება თუ არა სონი ბილ ვილიამსი?

# ისთერს პომების კაპიტნობა სურს

ინგლისის ნაკრებისა და „ჰარლიქუინზის" მესამეხაზელ **ნიკ ისთერს** „პომების" კაპიტნობა სურს. ინგლისის ეროვნული გუნდი ახალ ზელანდიაში მოსფლიოს თასზე განცდილი ფიასკოს შემდეგ, მედიის კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოექცა. შედეგად თნამდებობა დატოვეს ნაკრების მწვრთნელებმა, მათ ნაცვლად კი დროებითი თავკაცები დანიშნეს.

ისთერს კაპიტნობის წადილი მას შემდეგ გაუჩნდა, რაც **ლუის მუდიმ** ნაკრებიდან წასვლის თაობაზე განაცხადა. ამასთან ერთად, გაურკვეველია შუამარბის **მაიკ ტინდოლის** სანაკრებო კარიერის ბედი. ისთერი ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ შეუძლია საერთაშორისო არენაზე ინგლისის ნაკრებს სარგებლობა მოუტანოს და იმედი აქვს, რომ ახალი დროებითი მწვრთნელი **სტიუარტ ლანკასტერი** ახალგაზრდებისა და გამოცდილი მორაგბეების დიდებულ სინთეზს შექმნის.

*„დარწმუნებული ვარ, რომ ლანკასტერი ნაკრებში ბევრ ახალგაზრდა მორაგბეს უხმობს. თუმცა, მას მაინც დასჭირდება გამოცდილ მოთამაშეებს დაეყრდნოს და მეც საკმაოდ დიდი ამბიცია მაქვს, ეროვნულ გუნდში წარმატებისთვის ვიბრძოლო,*

*თუ ლანკასტერი კაპიტნობას მანდობს, ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნება. თუმცა ვისურვებდი, რომ ჩემი კაპიტნობა, მისი მწვრთნელობისგან განსხვავებით, დროებითი არ იქნება".*

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი

# ყველაზე საინტერესო, რაც შეიძლება მოხდეს

27 წლის კუბელი მოკრივე, IBF-ის ვერსიით კრუისერვეიტის ჩემპიონი **იოან პაბლო ერნანდესი** და ამ ტიტულის ყოფილი მფლობელი, 35 წლის ამერიკელი **სტივ კანინგემი** 4 თებერვალს გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში შეებრძოლებიან ერთმანეთს. ეს ცნობა ორივე მოკრივის პრომოუტერმა კომპანია „ზაუერლანდ ივენთმა“ გააკრცელა. ერნანდესისა და კანინგემის ბრძოლა რემატჩია. მათმა პირველმა დაპირისპირებამ დიდი ეჭვები და კამათი წარმოშვა. შეგახსენებთ, რომ კრუისერვეიტი ის წონითი კატეგორიაა, რომლის ზედა წონაც 90,7 კილოგრამით არის შემოფარგლული.

კანინგემი ჟურნალისტებს შაბათს, ატლანტიკ სიტიში, Super Six-ის ფინალის დროს შეხვდა. მოგეხსენებათ, სუპერსაშუალწონოსანთა ამ ფინალში ამერიკელმა **ანდრე უორდმა** ბრიტანელი **კარლ ფროჩი** დაამარცხა. კანინგემმა თქვა:

*„თავიდან ამბობდნენ, რომ ბრძოლა იანვარში გაიმართებოდა, ახლა კი ის თებერვლისთვის გადადეს. ეგ არაფერი, მთავარია, რინგ ზე გავიდე და ჩემი ტიტული დავიბრუნო. მართალი გითხრათ, არ მგონია, ერნანდესს კიდევ უნდოდეს ჩემთან შეხვედრა. უბრალოდ, იძულებულია. მე კი მზად ვარ. ერთადერთ რამე ზე ვფიქრობ, მის პირისპირ დავდგე და დავამთავრო ის, რაც დავიწყე“.*

გავიხსენოთ რა მოხდა ამ ორი მოკრივის პირველ დაპირისპირებაში, რომელიც პირველ ოქტომბერს, გერმანიის ქალაქ ნიურნბერგში გაიმართა. ცნობისათვის: ერნანდესი მართალია კუბელია, მაგრამ გერმანიაში ცხოვრობს. პროფესიულ რინგზე მას 25 ბრძოლა მოუგია, რომელთაგან 13 ნოკაუტი იყო. ერნანდესს კარიერაში ერთი მარცხი აქვს ნაწვნევი. რაც შეეხება კანინგემს, მისი სტატისტიკაა - 24-3. 24 მოგებიდან ამერიკელმა თორმეტში მოწინააღმდეგე ნოკაუტში ჩააგდო.

ნიურნბერგში, ერნანდესისა და კანინგემის ხსენებული ბრძოლა ექვსი რაუნდის შემდეგ ტექნიკური ნოკაუტით დასრულდა. ამერიკელმა შედეგი გააპროტესტა, IBF-მა კი საქმის განხილვის შემდეგ რემატჩი ბრძანა. „ზაუერლანდ ივენტსის“ გენერალური მენეჯერი, კრის მაიერი: *„კრუისერვეიტში ყველა ზე საინტერესო რაც შეიძლება მოხდეს, კანინგემისა და ერნანდესის ბრძოლაა. მათი პირველი მატჩი ნამდვილი ტრილერი იყო და დარწმუნებული ვარ, მეორე კიდევ უფრო ამაღელვებელი იქნება“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

იოან ერნანდესი

# ბრუკსი ამერიკაში

25 წლის ინგლისელმა მოკრივემ, **კელ ბრუკსმა** ამერიკელი ფანების წინაშე სახელის მოხვეჭაზე დაიწყო ფიქრი და ამისათვის, შაბათს, ატლანტიკ სიტიში პირველი ნაბიჯიც გადადგა. ბრუკსმა პუერტორიკოელი **ლუის გალარსა** დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ გალარსა ხელწამოსაკრავი მოკრივე არ არის და ბრუკსისთვის გასაბდღვნელად არავის მიუგდია. ბრძოლა ინგლისელმა მეხუთე რაუნდში დაასრულა.

ბრუკსი ველტერვეიტის წონაში ტიტულისთვის ბრძოლას აპირებს და ამ ნაბიჯის გადასადგმელად მეთოდურად ემზადება. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საამისოდ აუცილებელი იყო, მას სახელი ოკეანის გადაღმაც მოეხვეჭა. ველტერვეიტი ის წონაა, რომლის ზედა ზღვარი 66,7 კილოგრამით შემოიფარგლება.

„ბორდუოქ ჰოლში“ გამართულ ბრძოლაში ბრუკსმა თავიდანვე ისარგებლა იმ უპირატესობებით, რაც ჰქონდა და მოწინააღმდეგე დაჩაგრა. ამ გამარჯვების შემდეგ მისი სტატისტიკა ასეთია: 26-0. 26 გამარჯვებიდან ბრიტანელმა 18 მოწინააღმდეგე დაანოკაუტა. რაც შეეხება დამარცხებულ პუერტორიკოელს, ამიერიდან მისი შედეგებია: 17-3. 17 გამარჯვებიდან 13 ნოკაუტი გახლდათ.

**ილია ბაბუნაშვილი**

ბრუკსი და გალარსა

● ჰოკეი

# ტვინშერყეულები

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ტვინის შერყევის პრობლემა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ბოლო პერიოდში ამ მიზეზით რეგულარულ ჩემპიონატს ხანგრძლივი დროით გამოაკლდა რამდენიმე წამყვანი ჰოკეისტი.

დაახლოებით ერთი წლის წინ, 2011 წლის "ყველა ვარსკვლავის მატჩისადმი" მიძღვნილ ღონისძიებაზე NHL-ის კომისარმა **გერი ბეტმენმა** ტრადიციული პრესკონფერენცია ტვინის შერყევის შესახებ გრძელი მონოლოგით დაიწყო. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ძალიან აქტუალური თემა ყოფილა და ბეტმენის გამოსვლას დღეს ბევრი იხსენებს.

ზუსტი სტატისტიკის მოყვანა რთულია, რადგან NHL-ის კლუბები ხშირად არ ამხელენ ჰოკეისტთა ტრავმების რეალურ მიზეზებს, მაგრამ არსებობს ეჭვი, რომ დაახლოებით ორი ათეული ჰოკეისტი დღეისთვის თავის ქალას ტრავმის გამო არ თამაშობს. ზუსტი ციფრის დაფიქსირებას ხანდახან ხელს უშლის შეგნებულად დამბანეველი ტერმინოლოგია. მაგალითად, ზოგიერთი კლუბის ხელმძღვანელობა შემოიფარგლება ხოლმე ზოგადი ფორმულირებით: "სხეულის ზედა ნაწილის ტრავმა", მაგრამ გუნდების შემადგენლობის გადახედვისას რთული მისახვედრი არ არის, რომ სისტემური პრობლემა არსებობს, თანაც აქამდე არნახულ მასშტაბებში.

დაახლოებით ერთი თვის წინ ტვინის შერყევა მიიღო ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა **კრის პრონგერმა** "ფილადელფიადან". კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე გამოაცხადა, რომ ვეტერანი ვარსკვლავი ამ სეზონში ვეღარ ითამაშებს, მოგვიანებით კი შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ პრონგერს, შესაძლოა, კარიერის დასრულებამ მოუწიოს. მიზეზი – სერიოზული "პოსტკონტუზიური სინდრომია". ეს ცნება თავის თავში აერთიანებს თავის ტკივილს, გულის რევას, უძილობას, შუქის მიმართ მგრძნობელობას, მეხსიერებისა და ორიენტაციის დაკარგვას, დეპრესიასა და სხვა სისაძაგლეებს. თუ ექიმებმა იციან, რომ პრონგერი მინიმუმ ნახევარი წელი არ ითამაშებს, მაშინ ამ სიმპტომებიდან მას საკმაოდ შთამბეჭდავი კოლექცია ექნება.

მაგრამ მხოლოდ პრონგერით არ შემოიფარგლება ეს პრობლემა. იმავე "ფილადელფიას" გაურკვეველი ვადით გამოაკლდა NHL-ის საუკეთესო ბომბარდირი **კლოდ ჟირუ**. იგივე ითქმის ლიგის საუკეთესო სნაიპერზე, "ოტავას" ფორვარდ **მილან მიხალეკზე**. მისმა ძმამ – პიტსბურგელმა **ზბინეკ მიხალეკმა** ტვინის შერყევის გამო შვიდი მატჩი გამოტოვა. "კაროლინაში" მკურნალობენ გასული სეზონის საუკეთესო ახალბედა **ჯეფ სკინერი** და მცველი **იონი პიტკანენი**. ვერაფრით იბრუნებს ოპტიმალურ ფორმას "რეინჯერსის" მცველი **მარკ სტაალი**. ვერ გადარჩა "ბაფალოს" მეკარე **რაიან მილერიც**, რომელმაც ნოემბერში შერყევის გამო რამდენიმე მატჩი გამოტოვა. და ა.შ.

და, რა თქმა უნდა, სიდნი კროსბი – მთავარი პრობლემაა. პლანეტის საუკეთესო ჰოკეისტი ახლახან დაბრუნდა მწყობრში, თანაც თავის ჩვეულ, უმაღლეს დონეზე ათამაშდა და... ამას მოჰყვა ბოსტონელ **დავიდ კრეისისთან** შეჯახება, სათადარიგოთა სკამზე შეხლა-შემოხლა – და ბოლოს სიჩუმე. ისევ ტვინის შერყევის სიმპტომები, ისევ გაურკვეველი ვადით უთამაშებლობა, ახალი შეკითხვები კომისრის მისამართით, ახალი პრობლემები...

რაც მთავარია, ლიგამ თავი აარიდა ორი კითხვას – "რა ვქნათ?" და "ვინ არის დამნაშავე?" თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ NHL-მ უკვე ბევრი გააკეთა. ძალიან შეიცვალა წესები, რომლითაც მკაცრად ისჯებიან "ბინძური" ჰოკეისტები, რომელთა მთავარი სამიზნე მეტოქის თავი გახლავთ. მოთამაშეთა უსაფრთხოების საკითხებში ლიგის ახალი ვიცე-პრეზიდენტი **ბრენდან შენეჰანი** უფლებამოსილია მკაცრად დასაჯოს წესის დამრღვევი. ტესტებს გადის ახალი ჩაფხუტები და სხვა დამცავი ატრიბუტები. მაგრამ მიღებული ზომების მიუხედავად, ტვინის შერყევის ფაქტები არ შემცირებულა, პირიქით, გაიზარდა. ამიტომაც, ხომ არ არის აუცილებელი, ლიგამ უფრო რადიკალურ ზომებს მიმართოს?

■ ■ ■

კითხვა – "ვინ არის დამნაშავე?" - მთლად ერთმნიშვნელოვანი არ არის. თუ კონკრეტული ტრავმების წარმოშობის მიზეზებს დავაკვირდებით, ზუსტი პასუხის მიღება რთული იქნება. მაგალითად, პრონგერს ყვანჯი სახეში მაშინ მოხვდა, როცა **მიხაილ გრაბოვსკი** კარში ურტყამდა. ჟირუ ყინულზე მაშინ დაეცა, როცა მეტოქისთვის შაიბის ართმევას ცდილობდა და წაქცეული თავით პირდაპირ შეეტაკა თავისიანს – მცველ **სიმონდს**, რომელმაც კლოდს კეფაში მოახვედრა მუხლი. მილან მიხალეკიც საკუთარ პარტნიორს შეეჯახა. სკინერი მეტოქის ზონაში შეასკდა გიგანტ **ენდი სატონს**, რომელმაც "სუფთა" ძალისმიერი ილეთი შეასრულა. ახალგაზრდა კაროლინელს თავში არავინ დამუქრებია, უბრალოდ დაცემისას დაზიანდა. საინტერესოა, რომ ამ მატჩში სატონმა უხეშად ითამაშა **ანდრეი პონიკაროვსკის** წინააღმდეგ, რისთვისაც შვიდმატჩიანი დისკალიფიკაცია მიიღო. რაც შეეხება კროსბისა და კრეისის შეჯახებას, რთული სათქმელია, თავში დარტყმა შეგნებული იყო თუ ჩეხი შაიბის დამორჩილებას ცდილობდა და უბრალოდ, ხელთ მოხვდა კანადელი.

მაგრამ ბევრი ისეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა ტვინის შერყევა მეტოქის უხეში თამაშიდან მოდიოდა. მაგალითად, "პინგვინების" "პოლიციელმა" **მეტ კუკმა** პრაქტიკულად დაასამარა ბოსტონელი **მარკ სავარის** კარიერა, როცა შეგნებულად ჩაარტყა იდაყვი საფეთქელში. მაგრამ, მეორე მხრივ, ახლა კუკი მუდმივად მოჰყავთ ბეტმენის მიერ გატარებული ეფექტური ზომების მაგალითად. ახალი წესების შემოღების შემდეგ, პიტსბურგელი ფორვარდი ნამდვილი "ანგელოზი" გახდა.

შესაძლოა, ყველაფრის მიზეზი ის არის, რომ NHL-ში ჰოკეი უფრო სწრაფი გახდა და ჰოკეისტები ძალიან დიდი სიჩქარეებით ეჯახებიან ერთმანეთს. ამიტომაც არის წინადადება, რომ გააფართოონ მოედნები ევროპულ ზომებამდე. მაგრამ ამ იდეას სკეპტიკურად უყურებენ, რადგან NHL-მ ბევრი იშრომა იმისთვის, რომ მაყურებლისთვის მიმზიდველი პროდუქტი მიეღო და ახლა თამაშს მოსაწყენად ვერ გადააქცევს.

*"ევროპულ მოედნებზე ჰოკეის თამაში ნაკლებად მიმზიდველია,* - ამბობს "ვაშინგტონის" გენერალური მენეჯერი **ჯორჯ მაკფი**. – *დიახ, ევროპაში ტექნიკის ძალიან მაღალი დონეა, მაგრამ გვერდიდან ეს ყველაფერი ორი კაცის თევზაობას ჰგავს".*

თუ მოედნის გაფართოება და სხვადასხვა ხერხით ჰოკეის შენელება – ერთადერთი გამოსავალია, მაშინ NHL-ს უბრალოდ მოუწევს გადაწყვიტოს საკითხი ბიზნესის მხრივ: რა უფრო მოსაწყენია – კარში ნაკლები დარტყმა და შეჯახება თუ ჰოკეი კროსბის გარეშე? მანამდე კი ეკიპირებაში ახალი ტექნოლოგიები ერთადერთ სვლად მოჩანს, რომელიც ბეტმენმა შეიძლება ჰოკეისტებს შესთავაზოს. სხვა ყველაფერი უკვე გაკეთებულია.

კროსბი კი კვლავინდებურად არ თამაშობს. და ისევ ისმის კითხვა: საერთოდ ითამაშებს თუ არა?

**გია თვალაბეიშვილი**

● NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ფლორიდა-კაროლინა 3:2 (OT)**

**1:1, 0:1, 1:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 ბერნეგჰაიმი-7 (მატისი-8, ჯოვანოვსკი-4), 1:1 გლისონი-1 (მაკბეინი-10, ტ. რუუტუ-8), 1:2 ლაროუზი-9, 2:2 გარისონი-10 (სამუელსონი-5, ჯოვანოვსკი-5), 3:2 ვერსტიგი-16 (უეისი-21, ბ. კემპბელი-23).

**სტ. ლუისი-კოლამბუსი 6:4**

**2:1, 0:2, 4:1**

**გოლები:** 0:1 მაკენზი-4 (ტიუტინი-12), 1:1 შატენკირკი-5 (დ'აგოსტინი-6), 2:1 ოში-11 (ბექსი-10), 2:2 დორსეტი-7 (ტიუტინი-13, ნიკიტინი-11), 2:3 ლეტესტუ-5 (უმბერგერი-6, ბრასარი-4), 3:3 სტინი-11 (ოში-12, კოლაიაკოვო-8), 4:3 არნოტი-6 (პერონი-4, ლანგენბრუნერი-9), 5:3 პიეტრანჯელო-5 (ბექსი-11), 5:4 ბრასარი-3 (უმბერგერი-7, ტიუტინი-14), 6:4 ბერგლუნდი-8 (ლანგენბრუნერი-10, პერონი-5).

**ჩიკაგო-კალგარი 4:2**

**1:0, 2:0, 1:2**

**გოლები:** 1:0 მონტადორი-5 (მეიერსი-4, სტალბერგი-11), 2:0 ჰიალმარსონი-1 (მარიან ჰოსა-21, კრიუგერი-7), 3:0 პ. კეინი-9 (კეიტი-19, ტევუზი-17), 3:1 ო. იოკინენი-11 (ტანგეი-17, გლენკროსი-9), 4:1 მარიან ჰოსა-15 (შარპი-18, ბოლანდი-5), 4:2 გლენკროსი-10 (იგინლა-12, ო. იოკინენი-16).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

# 12 წლის შემდეგ

ნორვეგია ზეიმობს

ბრაზილიაში დასრულდა ქალებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი ხელბურთში, რის შემდეგაც სპორტის ამ სახეობაში ნორვეგიელთა სრული დომინირება დაფიქსირდა. ამ ქვეყნის მამაკაცთა ნაკრებს ქალთა გუნდმა მიბაძა და მანაც მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

სან პაულუში გამართულ ფინალში ნორვეგია საფრანგეთს ხვდებოდა. ბოლოს ეს სკანდინავიური ქვეყანა პლანეტის ჩემპიონი 1999 წელს იყო და მაშინაც ფინალში ფრანგებს დაუპირისპირდა. ასე რომ, ისტორია განმეორდა.

ფინალი უკეთ საფრანგეთმა დაიწყო - **კამილ აილონმა ლინ იორუმ სულანდის** პასი ჩაჭრა, კონტრშეტევაში გაიქცა და თავისი გუნდი - 5:3 დააწინაურა.

ნორვეგიამ მალე გამოასწორა სიტუაცია. **იდა ალსტადმა,** მართალია, ტრავმის ფასად, მაგრამ მოახერხა ანგარიშის გათანაბრება - 6:6. ამ ხელბურთელმა **ბლანდენ დანსეტთან** შეჯახებისას მიიღო დაზიანება. ალსტადმა კოჭლობით დატოვა მოედანი და საბოლოოდ, თამაშის გაგრძელება ვერ მოახერხა.

ამასობაში, ფრანგებს პრობლემები შეექმნათ - ისინი ვერ უმკლავდებოდნენ სულანდს, რომელმაც ნორვეგიელთა პირველი რვა გოლიდან ოთხი თავის ანგარიშზე მიითვალა - სწორედ მან გახადა ანგარიში - 8:6.

საფრანგეთი ახერხებდა ასე თუ ისე ანაბარ ბრძოლას, მაგრამ მასზე ცუდად იმოქმედა **ალექსანდრა ლაკრაბერის** უხეშობამ - **ჰეიდი ლოკეს** წინააღმდეგ წესის დარღვევისთვის ეს ხელბურთელი ორი წუთით გააძევეს მოედნიდან - ამ დროს ნორვეგიის უპირატესობა მინიმალური იყო, მაგრამ **კრისტინ ლუნდე-ბორგერსენმა** სათავე დაუდო გაქცევას, რომლის შემდეგაც ნორვეგიის უპირატესობა 7 ბურთამდე გაიზარდა. ეს გაქცევა ჰეიდი ლოკემ დაასრულა და შესვენებისთვის დაფიქსირდა ნორვეგიის სოლიდური უპირატესობა - 19:13.

მეორე ტაიმის დასაწყისში ნორვეგიამ გააგრძელა ზეწოლა მეტოქეზე და სულ მალე ლუნდე-ბორგერსენის ზუსტი დარტყმით სკანდინავიელებმა თითქმის გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს - 23:15.

მაგრამ ფრანგების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ შეწყვიტეს წინააღმდეგობა, მინი-გაქცევა მოაწყვეს - 4:1 და **კლოდინ მენდის** მეოთხე გოლის წყალობით ხუთ ბურთამდე შეამცირეს სხვაობა.

ეს ჩამორჩენა შეიძლებოდა კიდევ შემცირებულიყო, მაგრამ 26:21-ზე ნორვეგიელთა სათადარიგო მეკარემ **კარი გრიმსბომ** შვიდმეტრიანი აუღო ლაკრაბერს და სწორედ ეს აღმოჩნდა გარდამტეხი მომენტი მატჩში.

საფრანგეთი ფსიქოლოგიურად გატყდა და დარჩენილ დროში წინააღმდეგობა ველარ გაუწია ნორვეგიას. სკანდინავებმა უპრობლემოდ მიიყვანეს საქმე ბოლომდე - 32:24 მათ სასარგებლოდ.

ფინალის გმირები კრისტინ ლუნდე-ბორგერსენი და ლინ იორუმ სულანდი გახდნენ, რომელთა ანგარიშზე შესაბამისად ექვსი და ხუთი გოლი მოდის.

ნორვეგიამ 1999 წლის შემდეგ პირველად გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ეს ამ გუნდის მეორე ტიტულია პლანეტის პირველობის ისტორიაში.

**სიმბოლური ნაკრები**: ჩანა მასონი (ბრაზილია) – ემილია ტურეი (რუსეთი), ანდრეა პენეუიჩი (ხორვატია); ჰეიდი ლიოკე (ნორვეგია); ალისონ პინო (საფრანგეთი); ლინე იორგენსენი (დანია); კარმენ მარტინი (ესპანეთი).

**საუკეთესო ბომბარდირები**: 1. ალექსანდრა დო ნასიმენტო (ბრაზილია) – 57; 2. ლინ იარუმ სულანდი (ნორვეგია) – 51; 3. ანდრეა პენეუიჩი (ხორვატია) – 49; 4. შიო ფუიჯი (იაპონია) – 46; 5. კარმენ მარტინი (ესპ) – 45.

**საბოლოო კლასიფიკაცია**: 1. ნორვეგია; 2. საფრანგეთი; 3. ესპანეთი; 4. დანია; 5. ბრაზილია; 6. რუსეთი; 7. ხორვატია; 8. ანგოლა; 9. შვედეთი; 10. ჩერნოგორია; 11. ს. კორეა; 12. ისლანდია; 13. რუმინეთი; 14. იაპონია; 15. ჰოლანდია; 16. კოტ დ'ივუარი; 17. გერმანია; 18. ტუნისი; 19. ყაზახეთი; 20. ურუგვაი; 21. ჩინეთი; 22. კუბა; 23. არგენტინა; 24. ავსტრალია.

ფორმულა 1

# ფერარიმ გერმანელს დაუმიზნა

ადრიან სუტილი

"ფორს ინდიადან" გაშვების შემდეგ გერმანელ **ადრიან სუტილს** კარიერის გაგრძელების ძალიან საინტერესო და მაცდუნებელი წინადადება გამოუჩნდა.

შეგახსენებთ, რომ სუტილისთვის არ მოიძებნა ადგილი ინდურ საჯირიბოში და შესაბამისად, უმუშევარი დარჩა. 28 წლის გერმანელისთვის პრიორიტეტულია "უილიამსთან" თუნდაც ხანმოკლე კონტრაქტის გაფორმება, თანაც ეს ინტერესი ორმხრივია.

*"უილიამსი" დაინტერესებულია ადრიანით, და აქ საქმე მხოლოდ პილოტის სპონსორში არ არის. სეზონის მეორე ნაწილში სუტილმა ბევრი გააკეთა თავისი რეპუტაციის გასაუმჯობესებლად",* - წერს გერმანული გამოცემა Auto Motor und Sport.

გარდა ამისა, იმავე წყაროს ცნობით, სუტილის სამსახურით დაინტერესებას "ფერარიც" გამოხატავს, სადაც ჯერაც ვერ გარკვეულან ბრაზილიელი **ფელიპე მასას** მომავალ კარიერასთან დაკავშირებით.

*"სუტილი შეიძლება საინტერესო ვარიანტი იყოს 2013 წელს "ფერარისთვის". სწორედ ამიტომაც სურს ადრიანს მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება "უილიამსთან",* - ვარაუდობს ჟურნალი.

ლაურეატები

# შეჯამება დაიწყო

გერმანიის ქალაქ ბადენ-ბადენში გაიმართა ქვეყნის 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენის დაჯილდოების ცერემონია.

წლის საუკეთესო ქალ სპორტსმენად აღიარეს ბიატლონში მსოფლიოს ათგზის ჩემპიონი **მაგდალენა ნოიერი**. თავის ნომინაციაში მან უკან ჩამოიტოვა ჩოგბურთელი **ანდრეა პეტკოვიჩი** და მსოფლიოს თასის მფლობელი, სამთომოთხილამურე **მარია რიში**.

მამაკაცებს შორის საუკეთესო გახდა "დალას მავერიქსის" კალათბურთელი **დირკ ნოვიცკი,** რომელმაც წელს NBA-ის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და "მაიამისთან" ფინალური სერიის MVP გახდა. ნოვიცკის კონკურენტები იყვნენ ფორმულა 1-ში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი** და მაგიდის ჩოგბურთის მოთამაშე **ტიმო ბოლი**.

■ ■ ■

საუკეთესოები დაასახელეს ბელგიაშიც. WTA-ის ტურში თითქმის სანახევროდ გაცდენილი სეზონის მიუხედავად, ქალებს შორის ყველას აჯობა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **კიმ კლაისტერსმა**. ამ უკანასკნელმა ძალიან ძლიერად ჩაატარა სეზონის სტარტი, როცა ზედიზედ გავიდა სიდნეის, ავსტრალიის ღია პირველობისა და პარიზის ფინალებში, თუმცა აქედან მხოლოდ მელბურნში გამარჯვება მოახერხა – იქ კიმმა კარიერაში მეოთხედ მოიგო "დიდი სლემის" ტურნირი.

ნოვიცკი ცერემონიას არ ესწრებოდა

კაცებს შორის გამარჯვებული გახდა ველოსიპედოსი **ფილიპ ჟილბერი,** რომელმაც მთელი ველოსეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და სათავეში ჩაუდგა UCI-ის (ველოსიპედოსთა საერთაშორისო კავშირი) რეიტინგს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაგეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფუხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიფი** | |
| კრ. პალასი-ბირმინგემი | 1:0 |
| **კონფერენსი** | |
| იორკი-კიდერმინსტერი | 2:3 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| პესკარა-სამპდორია | 1:0 |
| **სერია C1/A** | |
| ვიარეჯო-ტრიტიუმი | 0:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| სტ. პაული-აინტრახტი | 2:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| გინგამი-სედანი | 1:3 |
| **პორტუგალია** | |
| ოლანენსე-ბრაგა | 3:4 |
| **ტურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| რიზე-ბოლუ | 2:2 |
| **პოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალმერი-ეინდჰოვენი | 1:3 |
| **კვიპროსი** | |
| არისი-ენოსისი | 1:0 |
| ერმისი-აპოლონი | 0:2 |
| აპოელ-აეკ | 3:0 |
| ალკი-ომონია | 0:3 |
| **რუმინეთი** | |
| სტიაუა-ვოინტა | 1:0 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ჰ)-მაკაბი (ნ) | 2:1 |
| **კალათბურთი** | |
| **საბერძნეთი** | |
| პანათინაიკოსი-მარუსი | 93:84 |

TV პროგრამა

**20 დეკემბერი. სამშაბათი**

**GMG-ფუხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
**11:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტური. ბაიერნი-კიოლნი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XVI ტური. კატანია-პალერმო.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XVIII ტური. ბორდო-სოშო.
**18:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XVI ტური. მანჩესტერ სიტი-არსენალი.
**21:00** იტალიის ჩემპიონატი. XVII ტური. სიენა-ფიორენტინა (LIVE).
**22:50** იტალიის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
**23:45** იტალიის ჩემპიონატი. XVII ტური. კალიარი-მილანი (LIVE).
**01:45** ესპანეთის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჩეზენა-ინტერი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 2011 წლის ფინალური მატჩები. რაფაელ ნადალი-ნოვაკ ჯოკოვიჩი. რომი. იტალია.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერეენვენი-ალკმაარი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ლესტერი-კლერმონი.
**18:45** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
**19:15** სუპერკოლაჟი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**21:00** F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. VII ეტაპი. საემიროები.
**22:00** საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
**22:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**00:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XIX ტური. ნანსი-მარსელი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონრეალი. კანადა.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ნოვარა.
**15:00** სპორტ-NEWS.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონრეალი. კანადა.
**17:30** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ევიანი.
**19:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონრეალი. კანადა.
**23:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლესტერი-კლერმონი.
**00:40** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.

კალათბურთი

# დევისი ნიუ იორკში მიდის

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვეტერანი გამთამაშებელი **ბაირონ დევისი** დიდი ხანი არ დარჩენილა უმუშევარი. „კლივლენდ კავალიერზიდან" დათხოვილი მცველი სულ მალე „ნიუ იორკ ნიქსთან" გააფორმებს კონტრაქტს. შეგახსენებთ, რომ ნიუიორკულმა კლუბმა შემადგენლობიდან გაუშვა **ჩონსი ბილაპსი** და მის შემცვლელად სხვა ასაკოვან გამთამაშებელს ეძებდა.

სავარაუდოდ, დევისი ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს, რომლის ღირებულება 2.5 მილიონი დოლარი იქნება. ჟურნალისტების აზრით, „ნიუ იორკის" მწვრთნელი **მაიკ დ'ენტონი** ბაირონს სათადარიგო გამთამაშებლად გამოიყენებს. ძირითადი „პირველი ნომერი" კი **ტონი დუგლასი** იქნება.

32 წლის დევისისთვის „ნიქსი" მეხუთე კლუბია კარიერაში. მანამდე მას „შარლოტში", „გოლდენ სტეიტში", „ლოს ანჯელეს კლიპერსსა" და „კლივლენდში" უთამაშია. მისი საშუალო სტატისტიკა 16.5 ქულას, 7.3 შედეგიან პასსა და 3.9 მოხსნას უდრის.

■ ■ ■

ამასობაში, **კობი ბრაიანტმა** დაამშვიდა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" თაყვანისმცემლები - ბოლოდროინდელი უკმაყოფილო გამონათქვამების მიუხედავად, კალიფორნიული გრანდის ლიდერი არ აპირებს კლუბის დატოვებას.

*„არ ვიცი, საიდან მოდის ჭორები, თითქოს კლუბის დატოვება მინდა. არსად წასვლას არ ვაპირებ. რა თქმა უნდა, „ლეიკერსში" დარჩენა მინდა. რატომაც არა? მე აქ უკვე 16 წელია ვთამაშობ და სხვაგან რატომ უნდა წავიდე?!*

*მინდა NBA-ის ზოგიერთი ვარსკვლავივით მთელი კარიერა ერთ კლუბში გავატარო. ეს რაღაც განსაკუთრებული იქნებოდა ჩემთვის. დღეს ასეთი რამ იშვიათად ხდება",* - განაცხადა კობი ბრაიანტმა.

NBA. საჩვენებელი მატჩები

**ბოსტონი-ტორონტო 76:75**

**18:17, 22:16, 21:18, 15:24**

**ბ**: დენიელსი (11), გარნეტი (9+7 მოხსნა), ო'ნილი (8), ალენი (12), რონდო (5+8 პასი+4 ჩაჭრა) - სტარტი; ბასი (9+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), დულინგი (5), უილკოქსი (7+5 მოხსნა), ბრედლი (4), მური (4), სტიმსმა (2).

**ტ**: დ. ჯონსონი (2), ბარნიანი (16+9 მოხსნა), მაგლიორი (0), დეროზანი (14), კალდერონი (7+6 პასი) - სტარტი; ბეილესი (10), ა. ჯონსონი (4+5 მოხსნა), ბარბოზა (5), დევისი (10+10 მოხსნა), ფორბსი (5), გრეი (2).

**მაიამი-ორლანდო 118:85**

**21:22, 32:24, 29:15, 36:24**

**მ**: ჩელმერსი (8+5 პასი), უეიდი (14+5 პასი), ენტონი (0), ჯეიმსი (19+6 მოხსნა), ბოში (14+3 ჩაჭრა) - სტარტი; ჰარისი (16), ჰასლემი (11+9 მოხსნა), კოული (8+8 პასი), ჰოვარდი (2), ბაიარსი (12), პიტმანი (6), გლედნესი (4), უაიზი (4).

**ო**: ჯ. რიჩარდსონი (11), ნელსონი (1+7 პასი), ჰოვარდი (5+6 პასი+3 დაფარება), დევისი (6), თურქოგლუ (5) - სტარტი; ანდერსონი (22+8 მოხსნა), რედიკი (22), დუპონი (3), უაფერი (4), კ. რიჩარდსონი (4), კლარკი (2).

**დალასი-ოკლაჰომა 92:106**

**24:25, 27:33, 19:32, 22:16**

**დ**: უესტი (5+5 პასი), კარტერი (9), ჰეივუდი (4), ოდომი (14+7 მოხსნა), მერიონი (6+6 მოხსნა) - სტარტი; ჯონსი (17+7 პასი), ბობუა (17), მაინმი (8), კარდინალი (3), რენდლი (5), ტერი (4).

**ო**: სეფოლშა (5), უესტბრუკი (12), პერკინსი (8+8 მოხსნა), დურანტი (21), იბაკა (5) - სტარტი; მეინორი (9), ჰარდენი (16), კოლისონი (4+7 მოხსნა), მოჰამედი (0+6 მოხსნა), ჰეივორდი (4), კუკი (12), ოლდრიჩი (5), ჯექსონი (3), რეიდი (2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ავტოსპორტი

ლიდერობს პროსტი

# პროსტს რბოლა არ დავიწყებია

სტარტი აიღო ყინულის ტრადიციულმა რბოლამ - Andros Trophee-მ. სამი კვირის განმავლობაში მონაწილეებმა ექვსი რბოლის ჩატარება მოასწრეს - დაწყებული ალპებით და დასრულებული ანდორას ეტაპით.

საერთო ჩათვლის ლიდერი გახდა ფორმულა 1-ის ოთხგზის ჩემპიონი **ალენ პროსტი**, რომელმაც შარშან დიდი დრო დახარჯა Dacia Duster-ის მორჯულებისთვის და ახლა, ამ მანქანით ჯერ-ჯერობით უკონკურენციოდაა.

ანდორაში „პროფესორმა" მეორე ადგილი დაიკავა შაბათის რბოლაში და მოიგო კვირის სტარტი. მისმა ვაუმა - **ნიკოლა პროსტმა** ეს ეტაპი მეექვსე ადგილზე დაასრულა.

სამი ეტაპის შემდეგ Andros Trophee-ზე საშობაო არდადეგების დრო დადგა, თუმცა მთავარი ბრძოლა ჯერ ისევ წინ არის. პროსტს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება Mini-თ მოასპარეზე მოქმედი ჩემპიონი **ჟან-ფილიპ დაირო**. ამ წყვილთან ახლოს არის **ოლივიე პანისი** „შკოდათი". ფორმულა 1-ის კიდევ ერთმა ყოფილმა ჩემპიონმა, კანადელმა **ჟაკ ვილნევმა** ანდორას ერთ-ერთ რბოლაში ფინალამდე ვერ გააღწია და საერთო ჩათვლაში ტოპ-ათეულის მიღმა აღმოჩნდა.

● ინციდენტი

# მანქანა მძღოლის გარეშე

უცნაური შემთხვევა დაფიქსირდა ამერიკის ქალაქ არლინგტონში, კოლეჯებს შორის ამერიკული ფეხბურთის მატჩის შემდეგ.

ელექტრომანქანა მინდორზე შევარდა და შვიდი ადამიანი დააზიანა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ საჭესთან არავინ იჯდა და მანქანა უმართავი იყო.

ამ სიტუაციაში არ დაიბნა გამარჯვებული გუნდის - „სპრინგ დეკენის" მწვრთნელი **ვილი ამენდოლა**. მართალია, უმართავი ელექტროქარისგან ისიც დაზარალდა, მაგრამ სწორედ მან სცადა საჭესთან დაჯდომა და მანქანის გაჩერება. ბოლომდე ამის გაკეთება ვერ შეძლო, თუმცა დასახმარებლად მინდვრის ერთ-ერთი მუშა გამოვარდა, რომელიც საჭეს მიუჯდა და ინციდენტიც ამით ამოიწურა.

რაც მთავარია, გაურკვეველი დარჩა, როგორ მოვიდა თავისით მოძრაობაში მანქანა, რასაც კინაღამ საშინელი ტრაგედია მოჰყვა.

უმართავი მანქანა

● მძლეოსნობა

# რეკორდსმენი ქალებს ერჩის

ორი დღის წინ საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა წამყვან ფრანგულ გაზეთ „ეკიპში". სკანდალში გაეხვია სამხტომში დარბაზებისთვის მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი, ფრანგი **ტედი ტამგო**. ჟურნალისტებმა საკმაოდ ძველი ამბავის შესახებ შეიტყვეს. ოქტომბერში ტამგო ტრავმის შემდეგ აღდგენით კურსს გადიოდა დაბა ბულურში მდებარე საწვრთნელ ბაზაზე. მორიგი ვარჯიშის დროს ტედიმ რაღაც ვერ გაიყო ერთ-ერთ ადგილობრივ ქალ სპორტსმენთან, რომელსაც საერთოდ არ იცნობდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მძლეოსნებმა ხელჩართული ჩხუბი გამართეს ერთმანეთში.

საფრანგეთის მძლეოსნობის ფედერაციის წარმომადგენელმა დაადასტურა ეს ინფორმაცია, თუმცა ინციდენტის დეტალები არ გაუმხელია. მან მხოლოდ ის განაცხადა, რომ მამაკაცებს შორის მსოფლიოს რეკორდსმენი დღეს წარსდგება სადისციპლინო კომისიის წინაშე: *„თუ მას დამნაშავედ სცნობენ, ტედის ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ელის, რომელმაც, შესაძლოა, ოლიმპიური თამაშებიც მოიცვას"*. ტამგოს საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ მას ერთხელ უკვე გამოუცხადეს ხაყვედური ასევე ქალ სპორტსმენთან კონფლიქტის გამო.

ამჟამად, ტამგო და მისი მწვრთნელი **ივან პედროსო** ფლორიდაში ოლიმპიური სეზონისთვის ემზადებიან, თუმცა ფრანგს სამშობლოში გამგზავრება და სადისციპლინო კომიტეტის წინაშე გამოცხადება მოუწევს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაგეიშვილმა**

● ჩოგბურთი

# არის მესამე ნოვაკი

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** საკუთარ ბიზნესს აფართოვებს. გასულ უქმეებზე სერბეთის ქალაქ ნოვი სადში გაიხსნა „ნოლეს" რესტორნების ქსელის მორიგი, რიგით მესამე დანესებულება. ამის შესახებ იუწყება ჩოგბურთელის ოფიციალური ვებგვერდი.

რესტორნების ქსელმა, რომლის სახელწოდებაა Novak, უკვე ორ ქალაქში – ბელგრადსა და კრაგუევაცში შეაღწია. ნოვი სადში გამართულ ცერემონიას ესწრებოდნენ ჩოგბურთელის ოჯახის წევრები. შეგახსენებთ, რომ ნოვაკი ამჟამად აბუ დაბიში იმყოფება, სადაც ახალი სეზონისთვის წინასასეზონო მზადებას გადის.

დავამატებთ, რომ ნოვი სადის რესტორანში გამოფენილია ATP-ის სპეციალური პრიზი, რომელიც ჯოკოვიჩს მონრეალში გადასცეს რეიტინგში პირველობის მოპოვების სანაცვლოდ.




• • •

ამასობაში, პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (ATP) თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა 2011 წლის სეზონის მთავარ მოვლენათა სია, რომელშიც პირველ სამ ადგილს ჯოკოვიჩის მიღწევები და რეკორდები იკავებს:

10. რეიტინგში **მილოშ რაონიჩისა** და **კეი ნიშიკორის** პროგრესი;
9. **ხუან მარტინ დელ პოტროს** დაბრუნება;
8. **ენდი მიუერის** აზიური ჰეთ-თრიკი (ზედიზედ სამ ტურნირში გამარჯვება – ბანგკოკში, ტოკიოსა და შანხაიში);
7. **როჯერ ფედერერისა** და **დანიელ ნესტორის** მიერ კარიერაში მოპოვებული მე-800 გამარჯვება;
6. ATP-ის შემაჯამებელ ტურნირზე ფედერერის სარეკორდო, მეექვსე ტრიუმფი;
5. ძმები **ბრაიანების** რეკორდი წყვილთა რეიტინგში ლიდერობის ხანგრძლივობით;
4. **რაფაელ ნადალის** ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება მონტე კარლოს ტურნირზე და მეექვსე მოგება როლან გაროსზე (გაიმეორა **ბიორნ ბორგის** რეკორდი);
3. მასტერსის სერიის ტურნირებზე ნოვაკ ჯოკოვიჩის სარეკორდო – ხუთი მოგება;
2. ნოვაკ ჯოკოვიჩის სამი ტრიუმფი "დიდი სლემის" ტურნირებზე;
1. სეზონის სტარტზე ნოვაკ ჯოკოვიჩის ზედიზედ 41 მოგება.

# რაფა და როჯერი კამათობენ

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** იმ უთანხმოებების შესახებ ილაპარაკა, რომელიც მასსა და **როჯერ ფედერერს** შორის წარმოიშვება იმ საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით, რასაც მოთამაშეთა პროფკავშირი განიხილავს. შეგახსენებთ, რომ ფედერერი ამ პროფკავშირის პრეზიდენტია, ნადალს კი ვიცე-პრეზიდენტის პოსტი უკავია.

*"მას, როგორც პროფკავშირის თავმჯდომარეს, საკუთარი აზრი გააჩნია, მე სხვა იდეები მაქვს. საქმე იმაში არ არის, რომ ჩვენი შეხედულებები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, უბრალოდ, მათი შეჯერებაა საჭირო. რა საჭიროა ბოიკოტის მოწყობა იმის გამო, რომ ვიღაცას მოსწონს რეიტინგის ორწლიანი დათვლის იდეა და ვიღაცას – არა.*

*მხოლოდ მე არ მიმაჩნია, რომ უნდა შემოვიღოთ რეიტინგის დათვლის ორწლიანი სისტემა. ბევრი მოთამაშე არსებობს, ვინც ამ აზრს იზიარებს. აღნიშნული სისტემა არა მხოლოდ წამყვანი მოთამაშეების, არამედ ყველა ჩოგბურთელის ინტერესს გამოხატავს. მთავარია, რომ ის იცავს ტრავმირებულ მოთამაშეებს.*

*დიახ, დღეს შესაძლებელია ტრავმის შემდეგ წამყვან პოზიციებზე სწრაფად დასრულება, მაგრამ ახალი გზის გავლა სადღაც მე-700 პოზიციიდან გინევს, როგორც ეს ხუან მარტინ დელ პოტროს შემთხვევაში იყო. ვფიქრობ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ ჩოგბურთელებს კლასიფიკაციაში ძალიან უკან არ გადავაგდებთ და ისინი ზედმეტი პასუხიმსგებლობის ტვირთით არ გავლენ კორტზე"*, - ამბობს ნადალი Tennis.com-თან კომენტარში.

# პიტმა კარლოსს მოუგო

ახალი საჩოგბურთო სეზონის დაწყებამდე ორ კვირაზე ნაკლები დრო რჩება და ჩოგბურთელები უკვე შეუდგნენ 2012 წლისთვის ინტენსიურ მზადებას. ამ დღეებში ხშირად იმართება სხვადასხვა საჩვენებელი ტურნირი და ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება ჩინეთის ქალაქ ვუჰანში გაიმართა. ეს გახლავთ როლან გაროსის ჩემპიონის - **ნა ლის** მშობლიური ქალაქი, სადაც ქვეყნის ნომერ პირველმა ჩოგბურთელმა მსოფლიოს ორი ყოფილი ჩოგანი - **პიტ სამპრასი** და **კარლოს მოია**, აგრეთვე მოქმედი გერმანელი ვარსკვლავი **საბინ ლისიცკი** დაპატიჟა.

პირველები კორტზე ვეტერანები - სამპრასი და მოია გავიდნენ. ლეგენდარულ ამერიკელს კარიერაში „დიდი სლემის" 14 ტურნირი აქვს მოგებული, მოიას - მხოლოდ ერთი. მათ შორის კლასში სხვაობა აქაც შესამჩნევი იყო, თუმცა პირველი სეტი ესპანელმა 6:4 მოიგო, მაგრამ მეორე პარტიაში სამპრასი 3:0 დაწინაურდა და ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა - 6:3.

მესამე სეტი ტაი-ბრეიკის პრინციპით გათამაშდა - ეს იყო ერთგეიმიანი პარტია, რომელშიც გამარჯვებული ის იქნებოდა, ვინც პირველი მოიგებდა 10 ქულას. უფრო იღბლიანი სამპრასი გამოდგა, რომელმაც 10:7 მოუგო ესპანელს და კორტი გამარჯვებულმა დატოვა.

სამპრასმა იმ დღეს მეორეჯერაც მოუგო მოიას. შერეულ დუეტთა მატჩში პიტს ლისიცკი შეუწყვილდა, მოიას - ნა ლი. გათამაშდა ერთი სეტი, რომელიც გერმანულ-ამერიკულმა დუეტმა 6:3 მოიგო.

ლისიცკი, სამპრასი და ნა ლი